დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში

კვლევა ჩატარდა კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის ფარგლებში (GREWS)

პროექტი 72011421CA00001

„განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“

2021 წელი, ივლისი

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

(კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას)

სარჩევი

დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალთა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში 3

შესავალი 3

ნაწილი I: კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები 4

ნაწილი II: ძირითადი მიგნებები 5

2.1. ეკონომიკური უსაფრთხოება 5

2.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 7

2.3. განათლების უსაფრთხოება 9

2.4. ჯანმრთელობის უსაფრთხოება 11

2.5. ფიზიკური უსაფრთხოება 12

2.6. სასურსათო უსაფრთხოება 15

2.7. ეკოლოგიური უსაფრთოხება 16

2.8. მოსახლეობის ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის ხარისხი და მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობა 16

ნაწილი III. დასკვნა და რეკომენდაციები 17

ცალკეული სამიზნე მუნიციპალიტეტების ანგარიშები

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით

ქუთაისის მუნიციპალიტეტი 22

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 42

ხონის მუნიციპალიტეტი 59

სენაკის მუნიციპალიტეტი 79

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 97

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 119

დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალთა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების

კონსოლიდირებული ანგარიში

ეკატერინე გამახარია

შესავალი

ქვეყანაში ორი მოუგვარებელი და გაყინული კონფლიქტის, რთული შიდაპოლიტიკური და საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ყოველთვის არსებობს კონფლიქტის და ძალადობის ესკალაციის რისკი. გარდა ამისა, ადამიანის უსაფრთხოების და დაცულობის დაბალი ხარისხი, სამუშაო ადგილების და შემოსავლების დაკარგვის შიში, ჯანმრთელობის დაცვის სუსტი გარანტიები, გარემოს დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, საზოგადოებაში და ოჯახში ძალადობის გაზრდილი ნიშნული, საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. ადამიანის უსაფრთხოების დაბალი ხარისხი საზოგადოებაში ზრდის აგრესიას და აფერხებს მოსახლეობის განვითარებას და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის ქვეყნის მშვიდობასა და სტაბილურობას.

არსებულ ვითარებაში, საზოგადოებაში შესაძლო კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების, მათი წარმოშობის მიზეზებისა და კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის ტენდენციების საგულდაგულოდ შესწავლას და გაანალიზებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამას ემსახურება ფონდი „სოხუმის“ მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში კონფლიქტების გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის მოქმედებისთვის მდგრადი მექანიზმის შექმნის მცდელობა.

კონფლიქტების გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS)[1] გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით, მოსალოდნელი კონფლიქტების ან კრიზისების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და საფრთხეების იდენტიფიცირებას, მონაცემების სისტემატიზაციას და ანალიზს, და ასევე, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დროული რეაგირების სტრატეგიის შემუშავებას. კონფლიქტის ადრეული გაფრთხილების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანების საჭიროებებს და პრიორიტეტებს, ხოლო მისი ეფექტიანობა და წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თემების/ადგილობრივი მოსახლეობის (ქალებისა და მამაკაცების) განვითარების ხელშეწყობაზე და მათ უშუალო და ქმედით ჩართულობაზე ინფორმაციის შეგროვების, მონაცემების ანალიზის, პრობლემების რეაგირებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

წინამდებარე საჭიროებათა კვლევის მიზანია ფონდი „სოხუმის“ სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ქალებისა და ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირება და მათთვის პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთა, პრობლემებზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების გამომუშავება და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე.

---

1 Gender Responsive Early Warning System (GREWS) - გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემა

ნაწილი I: კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები

მეთოდოლოგია: საჭიროებათა კვლევის განხორციელებას წინ უსწრებდა სამიზნე რეგიონებში წინასწარ შერჩეული სათემო ლიდერების გადამზადება და მონაცემების შეგროვების და პრობლემების იდენტიფიცირების საქმეში მათი უნარ-ჩვევების გაძლიერება. მონაცემთა შეგროვების პროცესში ჩაერთო ექვსი სამიზნე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თემის 90 ქალი და ახალგაზრდა ლიდერი.

კვლევა ჩატარდა **რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების** გამოყენებით. **რაოდენობრივი კვლევისთვის** შემუშავდა კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან და მოიცავდა ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანკეტირება განხორციელდა ონლაინ ფორმატით. კითხვარის შევსებისას რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ კითხვარში მითითებული პასუხებიდან რამდენიმე ვარიანტი ან დაეფიქსირებინათ ალტერნატიული აზრი. ანკეტირების გზით გამოიკითხა **1029 ქალი. თვისებრივი კვლევის** ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა და ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუ წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. საერთო ჯამში ჩატარდა 24 ფოკუს-ჯგუფი და 24 ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელშიც, ძირითადად, ჩაერთნენ ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული ჯგუფები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდით გამოიკითხა **152 ქალი,** ხოლო **ინდივიდუალური ინტერვიუს** გზით - 25 ადამიანი, რომელგან **16 იყო ქალი და 9 კაცი**. სულ თვისებრივ კვლევაში ჩაერთო **177 ადამიანი**. მთლიანობაში კვლევამ მოიცვა **1206 მოქალაქე, რომელთაგან 1 997 იყო ქალი**, მათ შორის: დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველი და შშმ პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, პედაგოგები, ექიმები, მეწარმეები, თემის ლიდერები, სტუდენტები, პენსიონერები, ახალგაზრდები, ადგილობრივი ექსპერტები და სხვა.

კვლევამ მოიცვა დასავლეთ საქართველოს 2 რეგიონის - **იმერეთის და სამეგრელოს ექვსი -** ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის - **მუნიციპალიტეტის მოსახლეობა**. კვლევაში უპირატესად ქალთა ჯგუფების ჩართვამ განაპირობა გენდერულად მგძნობიარე და მოსახლეობის ქალთა ნაწილისთვის რელევანტური საჭიროებების და მწვავე პრობლემების გამოკვეთა. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც მონაცემების განზოგადების საშუალებას იძლევა. **კვლევა ჩატარდა** 2021 წლის აპრილ-მაისის განმავლობაში.

კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები: ანკეტირების გზით გამოკითხულთა **ასაკობრივი ზღვარი** მერყეობდა 18 წლიდან 65 წლის ზევით, რომელგან უმრავლესობა (39,3%) - 18-30 წლამდე ასაკის ქალი იყო; 31,9% - 31-45 წლამდე; 22.3% - 45-65 წლამდე და შედარებით მცირე ნაწილს, კერძოდ კი 6.5%-ს 65 წელს გადაცილებული ქალები წარმოადგენდნენ.

რესპონდენტთა **უმრავლესობა - 80,3%** - ადგილობრივი მოსახლეობაა, ხოლო 19,2% - დევნილი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ **ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში გამოკითხული ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები და გოგონები არიან,** რაც რესპონდენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით მესამედს (31,9%) შეადგენს. **სოციალური სტატუსის მიხედვით,** გამოკითხვაში მონაწილე სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირთა საერთო წილმა შეადგინა 12%, მრავალშვილიანი დედების - 6.1%, მარტოხელა დედების - 5.9%, ხოლო შშმ ქალების - 1.3%. გამოკითხვაში განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჩართულობა საშუალებას იძლევა, გამოვ-

ლინდეს სპეციფიკური მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და პრიორიტეტები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები.

დასაქმების ტიპის მიხედვით, გამოკითხულთა **29%** უმუშევარია, ხოლო **24,2%** - სახელმწიფოს მიერ დასაქმებული. მონაცემების ჩაღრმავებული ანალიზის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დასაქმებულ პირთა შორის უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა, რაც გამოკითხულ ადგილობრივთა საერთო რაოდენობის 27,4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სამსახურში დასაქმებულ დევნილთა წილი ორჯერ უფრო ნაკლებია (12,6%), რაც მკაფიოდ მიუთითებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამსახურებზე დევნილთა შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე და მათი ინტეგრაციის ჯერ კიდევ სუსტ ხარისხზე. რესპონდენტთა კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი 11,5%-ს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობით დაკავებულთა - 7.3%-ს. რესპონდენტთა დაახლოებით იგივე რაოდენობა დაკავებულია სამოქალაქო სექტორში (7.1%), ხოლო 18% სტუდენტები არიან.

ნაწილი II: ძირითადი მიგნებები

2.1. ეკონომიკური უსაფრთხოება

ადამიანის ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, სტაბილურობის და მდგრადი მშვიდობის განმსაზღვრელი და შემადგენელი ნაწილია, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების და ცალკეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. წინამდებარე საჭიროებათა კვლევაში სამიზნე ჯგუფების ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხი შეფასდა მოსახლეობის შემოსავლის წყაროს სხვადასხვა სახეობის, დასაქმებისადმი და ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობის და მათ შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის საფუძველზე.

- **ოჯახების ძირითადი შემოსავლის წყარო:** გამოკითხულ **ქალთა უმრავლესობისთვის** (46,8%,) შემოსავლის ძირითად წყაროს **სახელფასო ანაზღაურება** წარმოადგენს. ექვსი მუნიციპალიტეტის მონაცემების ანალიზის თანახმად, სახელფასო ანაზღაურებას რესპონდენტთა 34%-63% უთითებს, აქედან, საბიუჯეტო სამსახურში მომუშავე ქალთა წილი ყველაზე მეტად **ქუთაისში** აღმოჩნდა **(63%**), ხოლო ყველაზე ნაკლებად - **სენაკში (34%).** გამოკითხულთა მიერ თითქმის თანაბრად განაწილდა პასუხები შემოსავლის ისეთ სახეობაზე, როგორიცაა პენსია (24%), საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი (21,8%) და ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან (20,4%). გამოკითხული ქალების 12% დევნილთა შემწეობას; 11,7% ახლობლების დახმარებას; 11,3% მცირე ბიზნესიდან მიღებულ შემოსავალს და 10,7% სოციალურად დაუცველთა შემწეობას უსვამს ხაზს. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ, რომლებმაც შემოსავლის ძირითად წყაროდ სახელფასო ანაზღაურება მიუთითა, კერძოდ კი 482 ქალიდან 268-მა ანუ 55,6%-მა, გარდა ხელფასისა, პარალელურად შემოსავლის დამატებითი წყარო დააფიქსირა, მაგალითად, პენსია, ახლობლების დახმარება, ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან, დევნილთა შემწეობა და ა.შ., რაც მკაფიოდ მიუთითებს, რომ არსებული სახელფასო ანაზღაურება არ არის საკმარისი ოჯახების რჩენისთვის და სხვა დამატებითი ფულადი რესურსის მობილიზებას მოითხოვს ოჯახებისგან.

- **ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელი ფაქტორები და პრობლემის დაძლევის გზები:** ქალების ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად აღინიშნა ადგილებზე **დასაქმების ნაკლები პერსპექტივა - 64,3%,** რაც თანაბრად აქტუალურია როგორც ადგილობრივი (68.2%), ასევე დევნილი (67,7%) მოსახლეობისთვის. გამოკითხულ-

თა დიდი ნაწილის (58,8%) აზრით, **დაბალი ფინანსური შემოსავალი** ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების უპერსპექტივობის გამო **საზღვარგარეთ იძულებით შრომითი მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს მიუთითებს** ქალთა მესამედზე მეტი (35,4%). ინფლაციასა და მაღალ ფასებს აღნიშნავს 37%; მაღალპროცენტიან სესხებს და კრედიტებს კი გამოკითხულთა 24%. თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ ბიზნესის წამოსაწყებად ბანკებიდან აღებული სესხის პროცენტი იმდენად მაღალია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არ იძლევა ბიზნესის სათანადოდ ამოქმედების და განვითარების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, რესპონდენტთა თქმით, საბანკო სესხით წამოწყებული ბიზნესი მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო უმეტესწილად განწირულია წარუმატებლობისთვის, რაც განაპირობებს ქალთა მხრიდან ბიზნესის წამოსაწყებად სესხის აღებისგან თავის შეკავებას. **ბავშვთა მოვლის მხარდაჭერის უფასო სერვისების არასაკმარის რაოდენობას,** მათ შორის ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისების არარსებობას სკოლებსა და ბაღებში, ქალთა დასაქმების ბარიერად მიიჩნევს რესპონდენტთა 17,3%. Covid-19 პანდემიით გამოწვეული შეწყვეტილი ბიზნესის აღსადგენად არასათანადო ხელშეწყობაზე საუბრობს ქალთა 15%, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის დროს. რესპონდენტთა თქმით, პანდემიამ მასშტაბურად დააზარალა კერძო სექტორში და არაფორმალურ ბიზნესში დასაქმებული ადამიანები. თუმცა ნათელია, რომ მათი საქმიანობის რეაბილიტაციის ხელშესაწყობად სახელმწიფო არასაკმარის ძალისხმევას იჩენს. გამოკითხულთა უმრავლესობა არაეფექტიანად მიიჩნევს პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მხარდასაჭერად ერთჯერადი სახელმწიფო დახმარების პროგრამებს და გრძელვადიანი და სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგებული ინვესტიციების საჭიროებას უსვამს ხაზს.

ეკონომიკურ საქმიანობაში ქალების ჩართვის ხელშესაწყობად და ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმნელად კვლევაში მონაწილე ქალებმა ყველაზე მეტად ხაზი გაუსვეს: ხელმისაწვდომი კრედიტების არსებობის საჭიროებას - 56,5%, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვას - 54%, სოფლის მხარდაჭერის - 41% და მეტი საგრანტო პროგრამის შეთავაზების მნიშვნელობას - 36,6%. რესპონდენტთა 26,4% ხაზს უსვამს ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მეტი ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამის შეთავაზების საჭიროებას. ეკონომიკური პროგრამების შესახებ მოსახლეობის მეტი ინფორმირების საჭიროებაზე მიუთითებს გამოკითხულთა 43.3%, ხოლო 16,6% მიიჩნევს, რომ აუცილებელია ბენეფიციარებისთვის საკონსულტაციო სერვისების შეთავაზება და ბიზნეს-გეგმების შედგენაში პრაქტიკული დახმარების გაწევა, განსაკუთრებით - ბიზნესში გამოცდილების არმქონე ქალებისთვის. თვისებრივი კვლევის მონაწილეები ხაზს უსვამდნენ, რომ ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მეტი ჩართულობის და ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქალებისთვის **მეწარმებრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული მეტი უფასო სასწავლო კურსის და ბიზნესის წამოსაწყებად მცირე ბიზნესგრანტებით შეთავაზება.** ქალი რესპონდენტებისგან აღინიშნა, რომ მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის დასაქმების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ბიზნესსაქმიანობის ისეთი სახეობის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფდა ქალების სახლებიდან მუშაობის შესაძლებლობას.

❖ ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირება და ინფორმაციის მიღების არხები:

ინფორმაცია ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების შესახებ არ გააჩნია რესპონდენტთა 25,7%-ს, რომელთა **უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა (76%).** სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციული დეფიციტი საგრძნობლად ნაკლებია დევ-

ნილ მოსახლეობაში (24%). გამოკითხული ქალებისთვის ყველაზე კარგად ცნობილი პროგრამებია: „აწარმოე საქართველოში“ – 62%; სხვადასხვა პროფესიული გადამზადების კურსები - 30,4%; საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები - 28,1% და „დანერგე მომავალი“ - 28,1%. გამოკითხულთათვის ყველაზე ნაკლებად ცნობილ პროგრამას წარმოადგენს „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა“ - 23,2%, რაც მეტწილად განპირობებულია იმით, რომ პროგრამა განკუთვნილია შეზღუდული სამიზნე წრისთვის. თუმცა თავად დევნილთა შორის პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა საკმაოდ მაღალია. გამოკითხულ დევნილთა ნახევარზე მეტი (51%) ფლობს ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ.

სახელმწიფო პროგრამებზე **ინფორმაციის მიღების პირველწყაროს** მოსახლეობის უმრავლესობისთვის „ტელევიზია და რადიო“ (53,4%), ონლაინ მედიასაშუალებები და სოციალური ქსელები (50,3%), მუნიციპალიტეტის ვებგვერდები (34%), „მეზობლები და ნაცნობები“ (31,7%) წარმოადგენენ. ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით ასევე იკვეთება არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც (21,2,3%). ინფორმაციის მიღების არხად ყველაზე ნაკლებად დასახელდნენ ადგილობრივი დეპუტატები (7,2%), სოფლებში მერის წარმომადგენლები (8,2%), ცენტრალური ხელისუფლების ვებგვერდები და ფეისბუქგვერდები (15,4%). თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის ინფორმირების პრაქტიკა ონლაინ გზით და მოსახლეობისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მიღება დღესდღეობით შესაძლებელია სახელმწიფო უწყებების სოციალური ქსელების და ვებგვერდების საშუალებით. თუმცა, ამავე დროს ხაზი გაესვა, რომ, მიუხედავად ამისა, ინფორმაციის ინტერნეტ რესურსებზე წვდომა საკმაოდ შეზღუდული აქვთ მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებს, მათ შორის სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებს, ხანდაზმულებს და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რაც განპირობებულია ცალკეულ დასახლებებში ინტერნეტის სუსტი დაფარვით, შესაბამისი ტექნოლოგიების არქონით ან/და მათი გამოყენების სუსტი უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამების შესახებ **ინფორმაციის მიღების სასურველ და მისაღებ ფორმად** რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის **კვლავ რჩება საინფორმაციო ფურცლები და ბუკლეტები და ხელისუფლების წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრები.** აღნიშნულს ნათლად მოწმობს რაოდენობრივი მონაცემებიც.

ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის შემაფერხებელ ფაქტორად გამოკითხულთა უმრავლესობამ (74.4) სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან მოსახლეობასთან არასაკმარისი კომუნიკაცია დაასახელა. აღნიშნულ ფაქტორს პრობლემად თანაბრად თვლიან, როგორც დევნილი (73,2%), ასევე ადგილობრივი მოსახლეობა (76,4%). ინტერნეტისადმი შეზღუდული წვდომა აღნიშნა რესპონდენტთა 8.2%-მა, ხოლო ეკონომიკური გაძლიერების ცენტრალური და ადგილობრივი პროგრამების მიმართ **ინტერესის არქონას** კი ხაზი გაუსვა 14.4%-მა. **მოსახლეობის ნაწილის ინდიფერენტულობა და სახელმწიფო პროგრამების მიმართ ნაკლები ინტერესი** შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, მოსახლეობის **უნდობლობით და ერთგვარი ნიჰილიზმით,** რომ მათ შეუძლიათ კონკურენტუნარიანები იყვნენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და, მეორე მხრივ კი, ნათლად იკვეთება პროგრამების პოპულარიზაციის და მოსახლეობის დაინტერესების მიზნით არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიის განხორციელება.

2.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოება შეფასდა სამიზნე მუნიციპალიტეტებში სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობის და მოსახლეობისთვის საბაზისო სერვისებისადმი ხელმისაწ-

ვდომობის ხარისხის გაზომვის გზით. შესწავლილ იქნა მოქალაქეთა დამოკიდებულება სოციუმში კრიმინოგენული მდგომარეობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და შემწყნარებლობის ხარისხი.

- **ინფრასტრუქტურული პრობლემები:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ქალთა 17,4% თვლის, რომ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას მნიშვნელოვან რისკს **უქმნის ინფრასტრუქტურული პრობლემები**. სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულ ქალთა უმრავლესობისთვის ყველაზე პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ საკითხთა შორის შიდა გზების მოწესრიგება (37,7%), ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება (34%), საკანალიზაციო სისტემის (27,6%) და სანიაღვრე არხების (26,6%) გამართვა, წყლის გაყვანილობის სისტემის და ხარისხიან წყალზე წვდომის უზრუნველყოფა (26,9%) წარმოადგენს. მოუწესრიგებელი კანალიზაციის პრობლემის აქტუალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა **სენაკის მუნიციპალიტეტში**, ხოლო გაუმართავი წყალგაყვანილობის და **წყალზე შეზღუდული წვდომის საკითხი** ყველაზე მწვავედ დგას **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის** გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში და **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში**. რესპონდენტების თქმით, სასმელი წყლის პრობლემა, ძირითადად, ზაფხულში იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით მძიმედ აწვებათ ქალებს. გარდა იმისა, რომ წყლის არარსებობის შემთხვევაში ქალებს შორიდან უწევთ მისი ზიდვა, ეს მნიშვნელოვნად ართულებს ქალების ოჯახურ საქმიანობას, რაც საკმაოდ ნეგატიურად აისახება მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე. **ტრანსპორტის გაუმართაობის პრობლემა** განსაკუთრებით აქტუალურია სოფლებში მცხოვრები ქალებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც პრაქტიკულად ყველა საბაზისო სერვისით (სასურსათო და საყოფაცხოვრებო მაღაზიები, ბაზრები და ბაზრობები, საავადმყოფოები, აფთიაქები, სამუშაო ადგილები) მიბმულნი არიან ახლო მდებარე ქალაქებს. თვისებრივი კვლევისას გამოიკვეთა, რომ **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის** გამყოფი ზოლის სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობამ და კერძო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდულმა გრაფიკმა მოსახლეობის ნაწილი აიძულა, შეეჩერებინა სამეწარმეო საქმიანობა, რადგან მათ უწევდათ სოფლიდან ქალაქში ტაქსით გადაადგილება, რაც არარენტაბელურს ხდიდა მათ ბიზნესს.

გარდა ამისა, ქალების ყოფაზე საკმაოდ მძიმედ აისახება ისეთი **ინფრასტრუქტურული პრობლემები**, როგორებიცაა: ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების (23%), ქუჩის გარე განათებების (16,5%), ბავშვების გასასეირნებლად საჭირო სკვერების/პარკების და სათამაშო/გართობის ზონების არარსებობა, რაც განსაკუთრებით აწუხებს მცირეწლოვანი ბავშვების დედებს და მნიშვნელოვნად აქვეითებს მათი დაცულობის შეგრძნებას. **საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების** - სამკერვალოების და სალონების არარსებობას აქტუალურ პრობლემად მიიჩნევს სოფელში მცხოვრები ქალების 19,7%, რომლებსაც შეზღუდული ტრანსპორტის პირობებში, საბაზისო სერვისის მისაღებად უწევთ ქალაქებში მგზავრობა და, შესაბამისად, მეტი ფინანსური რესურსის გაღება. თვისებრივი კვლევის დროს ასევე გამოიკვეთა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში **საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობის პრობლემა.**

- **საზოგადოებრივი წესრიგი და კრიმინოგენული მდგომარეობა:** თვალსაჩინოდ მაღალია იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც **კრიმინალის გაზრდაზე** ამახვილებენ ყურადღებას (68,1%). გაუარესებული კრიმინოგენული მდგომარეობა თანაბრად აწუხებთ გამოკითხვაში მონაწილე ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის მკვიდრთ (62%-დან 79%-მდე), თუმცა ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საფრთხეს უმეტესწილად უთითებენ **ზუგდიდის** (79%), **ქუთაისის** (71,4%) და **წალენჯიხის** (75,8%) მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები, ხოლო ყველაზე ნაკლებად - **ხონის მუნიციპალიტეტის** მკვიდრნი (54%). **ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის** პრობლემა

აქტუალურია გამოკითხულთა 48.1%-ისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემას მწვავედ მიიჩნევს ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის (36%-63%) მოსახლეობა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - 63,4%**. ასევე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პრობლემა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით (46%) მეტად აქტუალურია დევნილებისთვის (57%). თვისებრივ კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის პრობლემა უმეტესწილად განპირობებულია არასტაბილური და მუდმივი საფრთხის გარემოში ცხოვრებით, რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, საარსებო წყაროებისადმი და საბაზისო სერვისებისადმი შეზღუდული წვდომით. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მოსახლეობაში დაძაბულობას, სტრესს, აგრესიას და მამაკაცებისა და ახალგაზრდების მხრიდან ალკოჰოლის მიღებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ჭარბად გამოყენების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა Covid-19 პანდემიის პერიოდში. საგულისხმოა, რომ საქართველოში **კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება** აწუხებს გამოკითხულთა 23.3%-ს, რაც პრაქტიკულად თანაბრად განაწილდა დევნილ (22%) და ადგილობრივ (23%) მოსახლეობას შორის. გაუმართავი საგზაო მოძრაობაც დასახელდა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ფაქტორად (22.6%). თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტები მწვავედ აყენებდნენ დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან და ზოგადად ბავშვებით კონცენტრირებულ ადგილებში „ჭკვიანი შუქნიშნების“ და „მწოლიარე პოლიციელების“ - **სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების დამონტაჟების აუცილებლობის საკითხს**, რადგან, მათი თქმით, უკონტროლოდ, მაღალ სიჩქარეზე მოძრავ ავტომობილებს წლიდან წლამდე არაერთი ადამიანის სიცოცხლე ეწირება და საკმაოდ მძიმედ აისახება მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე **(სენაკის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტები). ქვეითთა საფეხმავლო ბილიკების არარსებობის და ან მათი პარკირების ზონად ქცევის პრობლემაზე** განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მცირეწლოვანი ბავშვების დედები, რაც ქუჩაში გადაადგილების დროს მნიშვნელოვნად ზრდის მათი და მათი შვილებისთვის შექმნილ საფრთხეებს.

ქვეყანაში დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალ დონეზე მიუთითებს რესპონდენტთა 20%, ხოლო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალ ხარისხზე ყურადღებას ამახვილებს გამოკითხულთა 13,6%, რაც ქვეყანაში დაძაბულობის და დესტაბილიზაციის დამატებით რისკებს ქმნის.

2.3. განათლების უსაფრთხოება

კვლევაში ცალკე ყურადღება დაეთმო განათლების საკითხებს, შეფასდა მოსახლეობის მხრიდან საშუალო და უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის დონე და მიწოდებული განათლების ხარისხი.

- **საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობა:** აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51,3%) თვლის, რომ მათ შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს მხოლოდ ნაწილობრივ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან საშუალო განათლებაზე. განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხარისხს დადებითად აფასებს რესპონდენტთა 34,6%, ხოლო სრულიად უარყოფითად - 9,1%. ხარისხიან საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობას, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, აფერხებს **სწავლის დაბალი ხარისხი** - 40%; **პედაგოგთა არადამაკმაყოფილებელი პროფესიონალიზმი** - 26%; **სკოლებში არასათანადო ტექნიკური აღჭურვილობა და სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტების არარსებობა** - 29%; გამოკითხულთა მესამედზე მეტის აზრით (34,6%), **პანდემიის პერიოდში ინტერნეტის დაბალი ხარისხი** მნიშვნელოვნად

აფერხებდა სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ჩატარებას, რასაც ექვსი სამიზნე მუნიციპალიტეტიდან ყველაზე მეტად ხაზი გაუსვეს **ზუგდიდის** (54%) და **სენაკის** მუნიციპალიტეტების (45%) მკვიდრნი. აღნიშნული პრობლემა ყველაზე ნაკლებად აქტუალური აღმოჩნდა ქუთაისის მოსახლეობისთვის (18,4%). სკოლების გაუმართავ ინფრასტრუქტურას, კერძოდ კი სკოლის შენობების ამორტიზებულ მდგომარეობას, გაუმართავ საკანალიზაციო სისტემას და წყლის შეზღუდულ მიწოდებას უჩივის გამოკითხულთა 21%, რომელთა შორის **უმეტესობას წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა წარმოადგენს** (36,3%).

- **კოვიდ-19 პანდემიის დროს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის პრობლემა -** თვისებრივი კვლევის დროს, რესპონდენტების ნაწილი მწვავედ აყენებდა დისტანციური სწავლების დროს მასწავლებლებისა და მოსწავლეების წინაშე აღმოცენებულ პრობლემებს, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებდა განათლების მიღების ხარისხს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რის წინაშეც სკოლები ვირუსის შემდგომ დადგნენ, ეს იყო **მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელმისაწვდომობის პრობლემა ინტერნეტსა და შესაბამის ტექნიკურ ხელსაწყოებზე** (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, პლანშეტი). სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო, მოსწავლეთა და მასწავლებელთა დიდ ნაწილს აღნიშნულ ტექნიკურ აღჭურვილობაზე წვდომა არ ჰქონდა. განსაკუთრებით მწვავედ აისახებოდა ეს პრობლემა მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სოფლის სკოლების მოსაწავლეებზე. დისტანციური სწავლების პროცესის ერთ-ერთ ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ასევე **მასწავლებლებში და მოსწავლეებში ტექნიკური და ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობა**. მასწავლებლებს გაუჭირდათ ახალ პლატფორმებზე ადაპტირება და მათი ტექნიკური მართვა. მოსწავლეებსაც არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა და უნარები, რომ დამოუკიდებლად ემართათ ესა თუ ის პროგრამა, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებდა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას.

- **უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა:** გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრებს და ნაცნობებს ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე წვდომა აქვთ (48,7%). 45,2% მიიჩნევს, რომ წვდომა მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ, 6,1% თვლის, რომ წვდომა უმაღლესი განათლებისადმი არ აქვთ, რასაც ყველაზე მეტად ხაზი გაუსვა **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობამ (23,8%). იმ მიზეზთა შორის, რომლებიც აფერხებს უმაღლესი განათლებისადმი წვდომას, გამოიყო: სწავლების მაღალი საფასური - 42%; რეგიონის სტუდენტებისთვის ქალაქში მიუწვდომელი უფასო საცხოვრებელი - 27,2%; სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსების არარსებობა, რაც აფერხებს აბიტურიენტებს სწორი პროფესიის არჩევაში - 21,5%. სწავლის დაბალ ხარისხს ხაზი გაუსვა რესპონდენტთა 8.6%-მა, რომელთაგან ყველაზე დიდი წილი მოდის **ქუთაისის მუნიციპალიტეტზე** (49,4%).

- **ახალგაზრდების კლასგარეშე განვითარების ხელშემწყობი პროგრამების სიმწირე -** თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მათი მშობლები ხაზს უსვამდნენ ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის დანერგვის აუცილებლობას. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ **ახალგაზრდების განვითარების და ლიდერული თვისებების გაძლიერებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების დანერგვის საჭიროებაზე.** სენაკის, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მკვიდრნი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ **ახალგაზრდული სივრცეების არარსებობის პრობლემას,** სადაც მათ შეკრების, თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ. რესპონდენტებმა სოფლებში ბიბლიოთეკების სავალალო ინფრასტრუქტურაზე და მათი განვითარების მნიშვნელობაზეც გაამახვილეს ყურადღება. ხაზი გაესვა, განსაკუთრებით დევნილთა დასახლებებში და გამყოფი ზოლის სოფლებში,

ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის **ღია სპორტული მოედნების მოწყობის, სოფლებში კულტურის ცენტრების ან ხელოვნების მრავალპროფილური წრეების ფუნქციონირების აუცილებლობას.**

2.4. ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ჯანმრთელობის უსაფრთხოება ადამიანის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განზომილებას წარმოადგენს, რადგან სწორედ კარგი ჯანმრთელობაა „ადამიანის სიცოცხლის, საარსებო წყაროს შექმნის და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის უმთავრესი ინსტრუმენტი" (გაეროს ადამიანის უსაფრთხოების განყოფილება, 2013). მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის საფრთხეებისგან თავისუფალი პირობების შექმნა და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური ერთიანობასა და სტაბილურობაში. წინამდებარე კვლევაში ჯანმრთელობის უსაფრთხოება შეფასდა სამედიცინო მომსახურებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ხარისხის საფუძველზე.

- **ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემები:** სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (79%) ჯანდაცვის კუთხით ყველაზე აქტუალურ პრობლემად **მედიკამენტებზე მაღალი ფასები** დაასახელა, რაც, რესპონდენტების თქმით, მნიშვნელოვნად აფერხებს დაავადებებთან ბრძოლისუნარიანობას და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. რესპონდენტთა 40,3% ჯანმრთელობის საფრთხედ განიხილავს ასევე უხარისხო სამედიცინო მომსახურებას. სოფლებში უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა აღელვებს გამოკითხულ ქალთა 34.1%-ს. ჯანდაცვის პროგრამებზე მოსახლეობის არაჯეროვან ინფორმირებას პრობლემად მიიჩნევს 25,7%. ინფორმაციულ დეფიციტს, უმეტესწილად, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მკვიდრნი** ასახელებენ (39%). სამედიცინო პერსონალის სიმცირეს (23,8%) და პირველადი სამედიცინო პუნქტების არარსებობას ჯანმრთელობისთვის საფრთხედ მიიჩნევს ქალთა 16,3%. ფოკუს-ჯგუფებში ამბულატორიების არასათანადო მდგომარეობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ზუგდიდის, სენაკის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა რესპონდენტებმა. ხაზი გაესვა **ამბულატორიების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის, მედიკამენტების და ადგილებზე მედპერსონალის სიმწირეს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** აღინიშნა სოფელ კოკის ამბულატორიის რეაბილიტაციას საჭიროება და სოფელ ხურჩაში გარემონტებული, მაგრამ უფუნქციოდ და უმოქმედოდ მიტოვებული **ამბულატორიის** ამოქმედების აუცილებლობა. **სენაკის მუნიციპალიტეტში** ასევე გაესვა ხაზი ამბულატორიების არასათანადო პირობებს, ხოლო **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში** - ამბულატორიების არარსებობის პრობლემას. რესპონდენტთა მტკიცებით, მაშინ, როცა სოფელში ხანდაზმულთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს, რომელთათვის ადგილზე სამედიცინო მომსახურებას გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს, დღემდე ვერ ხერხდება ამბულატორიებით სოფლების უზრუნველყოფა, მათი სათანადო ინვენტარით აღჭურვა, შესაბამისი პერსონალით დაკომპლექტება და ამოქმედება. მნიშვნელოვან გამოწვევას **სოფლებში აფთიაქების არარსებობა და მედიკამენტებზე შეზღუდული წვდომა** წარმოადგენს.

გოგონებისა და ქალებისათვის უფასო სამედიცინო სკრინინგ პროგრამების არარსებობა აქტუალურ საკითხს წარმოადგენს გამოკითხულთა 19,3%-ისთვის. რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მოსახლეობის დაბალ ცნობიერებას პრობლემად მიჩნევს ქალთა 12,8%. დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირე აღელვებს

გამოკითხულთა 7.4%-ს. ფოკუს-ჯგუფებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ცალკეული მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ხანდაზმულთათვის, სამედიცინო მომსახურების უფასო პაკეტებით და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

- **ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში პრობლემის მოგვარების გზები:** გამოკითხულთა ურავლესობა აღნიშნავს, რომ (38,7%) მკურნალობის ხარჯებს, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. საგანგაშოა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში **თვითმკურნალობას ეწევიან** (35,3%). საგულისხმოა, რომ ჩაღრმავებული ანალიზის თანახმად, მათ შორის, ვინც თვითმკურნალობას მიმართავს, უმრავლესობა 18-დან 30 წლამდე (40%) და 31-45 წლამდე (34%) ასაკის ქალები არიან. გამოკითხულთა 9,6% **უპირატესობას ანიჭებს მკურნალობის არატრადიციულ გზებს** და მიმართავს **ექიმბაშებს,** რაც, შესაძლოა, განპირობებულია მკურნალობის აღნიშნული მეთოდის შედარებით დაბალი ფასით და მოსახლეობის მხრიდან სანდოობის მაღალი ხარისხით. რესპონდენტთა 11,9% სარგებლობს კერძო დაზღვევით, თუმცა ამ შემთხვევაში პასუხებში პრაქტიკულად არ ფიქსირდება მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, რაც მკაფიოდ მოწმობს ქალთა ამ კატეგორიისთვის დასაქმებისადმი ზოგადად შეზღუდულ წვდომას ან/და დასაქმების ისეთ სახეობაზე ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, რაც ითვალისწინებს დაქირავებულ პირთა დამატებითი სოციალური პაკეტებით უზრუნველყოფას.

2.5. ფიზიკური უსაფრთხოება

გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ პანდემიით გამოწვეული დაძაბულობა, რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონი უშუალო გავლენას ახდენს ქალების მდგომარეობაზე ოჯახში, რაც ხშირად ვლინდება მათ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ტიპის ძალადობაში. წინამდებარე კვლევაში ფიზიკური უსაფრთხოების ხარისხი შეფასდა სამიზნე რეგიონებში ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის საკითხის აქტუალობის და პრობლემის მასშტაბების, ძალადობის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმების გამოვლენის, ძალადობისგან დაცვის არსებულ სერვისებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის და ამ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის შესწავლის გზით.

- **ოჯახური ძალადობის პრობლემის აქტუალობა -** მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის სიმწვავეს და აქტუალობას გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს, კერძოდ კი, რესპონდენტთა **40,7%-ის** მტკიცებით, **ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა მათ თემში აქტუალურია,** ხოლო 10,2%-ის თქმით, ეს თემა **უკიდურესად აქტუალურია.** მონაცემები ცხადყოფს, რომ ის კვლავ ტაბუდადებულ და გაუმხელელ პრობლემად რჩება. აღნიშნულს მკაფიოდ მოწმობს რესპონდენტთა მხრიდან მოცემულ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებისგან თავის შეკავება. გამოკითხულ ქალთა 22%-მა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე „პასუხი არ აქვს“, ხოლო 27%-მა - რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი მათ თემში აქტუალური არ არის. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის აქტუალობას ყველაზე მეტად 18-30 (38%) და 31-45 (31,7%) წლის ქალები უსვამდნენ ხაზს, ხოლო ყველაზე ნაკლებად - 65 წელს გადაცილებული ქალები (5.5%), რაც მკაფიოდ მეტყველებს უფროსი თაობის მყარად ფესვგადგმულ სტერეოტიპულ შეხედულებაზე, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხი ოჯახის პირადი საქმეა და მასზე საუბარი საჯაროდ მიღებული არ არის. საგულისხმოა, რომ პრობლემის აქტუალობას ყველაზე მეტად აღიარებდნენ **ზუგდიდის** (58,4%), **სენაკის** (43,1%), **ხონის** (40,5%) და ქუთაისის (37,3%) **მუნიციპალიტეტში** გამოკითხული ქალები, ხოლო ყველაზე ნაკლებად - წალენჯიხის (28,6%) და წყალტუბოს (35%) მკვიდრნი. ეს ნიშნავს ქალების მხრიდან ოჯახში

ძალადობის საკითხის მიმართ სტერეოტიპების მსხვრევის ტენდენციას და საკითხზე თამამად მსჯელობის მზაობას.

- **ოჯახში ძალადობის გავრცელებული ფორმები -** ყველაზე გავრცელებულ ფორმად გამოკითხულთა უმრავლესობა - 58,5% - ფსიქოლოგიურ ძალადობას მიიჩნევს, ეკონომიკურს აფიქსირებს 21,9%, ფიზიკურ ძალადობას - 18%. რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, მასზე გამოკითხულთა მხოლოდ 1.7%-მა მიუთითა. ეს ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად ტაბუდადებულია ძალადობის აღნიშნულ ფორმაზე საუბარი, რაც უკავშირდება პრობლემის არასაკმარის აღიარებას და მოსახლეობაში სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის და ცნობიერების დაბალ დონეს. თვისებრივი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ, მიუხედავად ოჯახში ქალთა სუბორდინირებული როლის თანდათანობით რღვევისა, საზოგადოებაში, განსაკუთრებით სოფლებსა და დიდ ქალაქებს მოშორებულ ადგილებში, კვლავ პრევალირებს ადათ-წესები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ ქცევას ადგენენ - ოჯახში ყველა საკითხზე გადაწვეტილების უპირობო მიმღები - კაცისთვის, ხოლო მორჩილი, მომთმენი და დამთმობი - ქალისთვის. გარდა ამისა, თვისებრივი კვლევებით გამოიკვეთა, რომ ქალთა მხრიდან ოჯახში ძალადობის გამჟღავნებისგან თავის შეკავება ტრადიციული მიდგომების და საზოგადოებრივი შესაძლო წნეხის თავის არიდების გარდა, ბევრწილად დაკავშირებულია შიშთან, თუ როგორ შეძლებს ქალი მასზე დამოკიდებულ შვილებთან ერთად დამოუკიდებლად ცხოვრებას. ქალები აღნიშნავდნენ, რომ თავშესაფრებში ქალთა განთავსების არასაკმარისი ვადა, სახელმწიფოსგან გაწეული მხარდაჭერის მხოლოდ მოკლევადიანი ან ერთჯერადი ხასიათი არ არის საკმარისი დამოუკიდებელი ცხოვრების წამოსაწყებად, რაც აიძულებს მას, ითმინოს ძალადობა.

- **დაცვის მექანიზმების და მხარდაჭერის სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა**

  გამოკითხულ ქალთა თითქმის მესამედი (30%) ფლობს ინფორმაციას მსხვერპლთა მხარდაჭერის არსებულ მომსახურებებზე, რაც მოიაზრებს მიწოდებული სერვისების სახეობის, მათი ადგილმდებარეობის და საკონტაქტო ინფორმაციის ფლობას. 36% მიუთითებს, რომ იცნობს მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. საკმაოდ მაღალია იმ ქალთა წილი, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებსა და ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე - 33,8%. გამოკითხულთა შორის სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისების შესახებ არაინფორმირებულ ქალთა რაოდენობა მერყეობს 23,5%-დან 48,6%-მდე: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ხონის (48,6%) და წყალტუბოს (38%) მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე დაბალი - სენაკისა (23,5%) და წალენჯიხის (29,4%) მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია, რომ არსებულ სერვისთა შორის მოსახლეობისთვის ყველაზე კარგად ცნობილია **ცხელი ხაზი (52,1%).** რესპონდენტთა **20%** ასევე **ინფორმირებულია ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი სერვისების შესახებ**, რაც აიხსნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან მოსახლეობასთან აქტიური მუშაობით. სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების **თავშესაფრების** შესახებ ინფორმაციას ფლობს ქალთა მხოლოდ **7.8%,** ხოლო **კრიზისული ცენტრების** შესახებ - 8.1%. ყველაზე **ნაკლებად იცნობს** მოსახლეობა მსხვერპლის მხარდაჭერის **მუნიციპალურ სერვისებს** და პროგრამებს (3,9%) და **სახელმწიფო იურიდიული სამსახურის მხრიდან** შეთავაზებულ მომსახურებას (4,4%).

ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებულ წყაროდ გამოკითხულთა 44,3% - **სოციალურ ქსელებს** ასახელებს, მათ შორის უმრავლესობას 18-30 წლამდე (53,7%) და 31-45 წლამდე (30%) ასაკის ქალები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ადასტურებს ინფორმაციის ღიაობას და ხელმისაწვდომობას სოციალურ ქსელებსა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ვებგვერდებზე, თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს **ელექტრონულ და ციფრულ რესურსებამდე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე,** განსაკუთრებით სოფლებსა და დიდ ქალაქებს მოშორებულ დასახლებებში, რაც მიუთითებს ინფორმაციის, როგორც ბეჭდური სახით გავრცელების, ასევე ქალებთან უშუალო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობაზე. **რადიოსა და ტელევიზიებიდან ინფორმაციას** ეცნობა გამოკითხულთა 35,7%, ხოლო 12,8% ინფორმირება ხდება **არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების დროს**. ინფორმაციას საჯარო ადგილებში განთავსებული განცხადებებიდან და საინფორმაციო ფურცლებიდან იღებს 3,2% და მხოლოდ 2,2%-მა აღნიშნა, რომ მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებიდან გაიგო. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა მოსახლეობა ინფორმაციას მხარდაჭერის სერვისების შესახებ, რაოდენობრივი მონაცემებით გამოიკვეთა, რომ საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს **მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა**. გამოკითხულთა უმრავლესობა (57,6%) თვლის, რომ არსებული სერვისები არასაკმარისად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის, ხოლო 9,3% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. მხოლოდ 32,9% თვლის, რომ მათ მიუწვდებათ ხელი სერვისებისადმი. საინტერესოა პასუხების გადანაწილება რესპონდენტთა ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგალითად, მონაცემების ჩაშლით გამოიკვეთა, რომ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა გაცილებით მწვავედ დგას ხონის (70%), ზუგდიდის (62%) და წალენჯიხის (60%) მუნიციპალიტეტების, კერძოდ კი კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლების ქალებისთვის.

❖ ქალთა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ ნათელია წლების განმავლობაში ცალკეულ თვითმმართველ ერთეულში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირების და პრევენციის მიზნით მუნიციპალური სერვისების და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის და გაძლიერების მიმართულებით გადადგმული პროგრესული ნაბიჯები, მათ შორის ბინის ქირით დაკმაყოფილების პროგრამა, რომელიც დანერგილია პრაქტიკულად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში, ან მაგალითად, **ზუგდიდის მუნიციპალტეტში** ძალადობის მსხვერპლთა პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა და თანადაფინანსების პროგრამა, ასევე მერიასთან შექმნილი საქართველოში პირველი ადგილობრივი უწყებათაშორისი კომისია, რომლის მიზანია ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და ინფორმაციის გაცვლა, კვლავ ნათელია, რომ მოსახლეობის **დიდი ნაწილი სათანადოდ არ ფლობს ინფორმაციას არსებული მომსახურებების შესახებ**, ან თვლის, რომ აღნიშნული პროგრამები არ არის საკმარისი მსხვერპლთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა (32,6%) **მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას** მუნიციპალიტეტის მიერ მსხვერპლთა მხარდასაჭერად დანერგილი მუნიციპალური პროგრამების შესახებ. 30% კი საერთოდ არ არის ინფორმირებული აღნიშნული სერვისების შესახებ, რაც მკაფიოდ მეტყველებს მოსახლეობის უკეთ და ფართოდ ინფორმი-

რების მიზნით საინფორმაციო კამპანიების განხორციელების აუცილებლობაზე. გამოკითხულ ქალთა 17,2% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან შეთავაზებული სერვისები არასაკმარისია და **აუცილებელია პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება (14,3%).** მხოლოდ 10%-მა მიუთითა, რომ **ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები საკმარისია.**

თვისებრივი კვლევის დროს გამოიკვეთა მსხვერპლთა არსებული მხარდაჭერის პროგრამების გამრავალფეროვნების და **მსხვერპლის გრძელვადიანი დახმარების სერვისების** დანერგვის საჭიროება. რესპონდენტთა აზრით, **ერთჯერადი დახმარებები არ იძლევა გრძელვადიან პერსპექტივაში მსხვერპლისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობას**. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მსხვერპლის თავშესაფარში დარჩენის პერიოდის გაზრდა, რათა მან შეძლოს ახალ გარემოსთან ადაპტირება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სათანადოდ მომზადება, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია პარალელურად მსხვერპლთა დასაქმების მიზნით როგორც მათი შესაბამისი პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება, ასევე მათი დასაქმების ხელშეწყობაც - პოტენციურ დამსაქმებელთან დაკავშირების ან საკუთარი სამეწარმეო საქმის წამოსაწყებად გრანტებით უზრუნველყოფის გზით.

2.6. სასურსათო უსაფრთხოება

წინამდებარე კვლევაში სასურსათო უსაფრთხოების ხარისხი შეფასდა მოსახლეობის მხრიდან აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის შესწავლის გზით.

❖ სასურსათო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ფაქტორები

კვლევამ ცხადყო, რომ სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აქტუალურ პრობლემას ქალებისა და მათი ოჯახების ცხოვრებაში. გამოკითხულ ქალთა აზრით, სასურსათო უსაფრთხოებას ქვეყანაში არსებული მრავალი ფაქტორი და პრობლემა უქმნის საფრთხეს - მათ შორის მოსახლეობის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, კლიმატის ცვლილებები და ეკოლოგიური პრობლემები. სასურსათო უსაფრთხოებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ სამუშაო ადგილების დაკარგვამ და სახელმწიფოს მიერ სატრანსპორტო საშუალებებზე დაწესებულმა შეზღუდვებმა, რამაც განაპირობა მოსახლეობაში როგორც ფინანსური რესურსების სიმწირე და მოწყვლადობის გაზრდა, ასევე მათი მობილობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად აისახება საკვებ პროდუქტებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (89%) მიიჩნევს, რომ მათ სასურსათო უსაფრთხოებას საფრთხეს **პროდუქტებზე მაღალი ფასი უქმნის.** გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (73,8%) აღნიშნავს, რომ მათ **არ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან საკვებ პროდუქტებზე.** რესპონდენტთა **დასახლებაში სიახლოვეს პროდუქტიული მაღაზიების არარსებობას** ხაზს უსვამს გამოკითხულ ქალთა 14%, რაც უმეტესწილად აწუხებთ სოფლად მცხოვრებ, მათ შორის კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრებ ქალებს, რომელთაც უწევთ საკვები და საყოფაცხოვრებო პროდუქტებისთვის ქალაქებში გადაადგილება - ეს პანდემიის პირობებში შემოღებული ტრანსპორტის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე მნიშვნელოვნად ზრდის მათთვის პროდუქტების ფასს და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს, რადგან უმრავლესობას ტაქსით გადაადგილება უწევს.

2.7. ეკოლოგიური უსაფრთოხება

ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს ბუნებრივი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედების დასაშვებ დონეს გარემოსა და ადამიანებზე. წინამდებარე კვლევის დროს შესწავლილ იქნა რესპონდენტების დამოკიდებულება მათ საცხოვრებელ გარემოში არსებული ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის შესახებ და ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის მათ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

- **ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის შეფასება და მოსახლეობის წინაშე არსებული ეკოლოგიური საფრთხეები -** საკუთარ საცხოვრებელ გარემოში **სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა** გამოკითხულთა 62% აფასებს, როგორც **ნორმალურს**. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქალთა ნაწილი არსებულ სიტუაციას **ცუდს** (21,2%) ან **ძალიან ცუდს** (9.2%) **უწოდებს** და მხოლოდ **7,1% თვლის,** რომ მდგომარეობა **კარგია**. საგულისხმოა, რომ **„ძალიან ცუდად"** მდგომარეობას უმეტესწილად აფასებდნენ ქუთაისის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების მკვიდრნი.

ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მწვავედ გამოკითხულ ქალთა უმრავლესობისთვის (33,7%) **დაბინძურებული ჰაერი წარმოადგენს,** რასაც უმეტესწილად კვლავ ქუთაისისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ. სანიაღვრე მილების გაუმართაობას ან საერთოდ არარსებობას უჩივის გამოკითხულთა 27,7%, რაზეც თვისებრივი კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება სენაკისა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა რესპონდენტებმა გაამახვილეს. გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა მწვავე პრობლემას წარმოადგენს გამოკითხულთა 23,7%-ისთვის. სუფთა წყალთან ხელმისაწვდომობის პრობლემაზე აქცენტი გააკეთა რესპონდენტთა 14,8%, რაც განსაკუთრებით პრიორიტეტულია წალენჯიხის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მკვიდრთათვის. თვისებრივი კვლევის დროს გამოიკვეთა ასევე დასახლებებში მომრავლებული მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ხაზი გაესვა ნაგვის ურნების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის დამატების და ნაგავსაყრელი ურნების დაცლის ინტენსიურობის ზრდის აუცილებლობას. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი განსაკუთრებით აღნიშნავდა ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის მოუწესრიგებლობის ნეგატიურ გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

2.8. ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი და მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობა

- **ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა -** კვლევის შედეგებმა ცხადყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან **მოქალაქეთა კომუნიკაციის და ჩართულობის საკმაოდ დაბალი ხარისხი**. გამოკითხულთა **უმრავლესობას (65,3%) არასდროს მიუმართავს** ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურებრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად, რომელთაგან 20,1%-ს მიზეზად მოჰყავს ის, რომ მათ არ სჯერათ, საკითხის დაყენების შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაგირებისა და პრობლემის მოგვარებისა. რესპონდენტთა 34,7% კი უთითებს, რომ პრობლემის გადასაწყვეტად მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ხელისუფლების ცალკეული უწყებისთვის.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას გამოკითხულთა უმრავლესობა (42%) **დასახლების საერთო კრებებზე** მონაწილეობას მიიჩნევს, სადაც

თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა თქმით, მათ შესაძლებლობა აქვთ, არა მარტო აცნობონ ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს კონკრეტულ თემში თუ ოჯახის წინაშე არსებულ პრობლემებზე, არამედ მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია მუნიციპალური პროგრამების შესახებ. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას მიმართავს გამოკითხულთა 30%, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში. არასახარბიელოა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ესწრებიან საკრებულოს სხდომებს - 7,9%, ისმენენ მერის ანგარიშებს - 8,4%, მონაწილეობენ პეტიციაში - 5,5%, ჩართულან მოქალაქეთა მრჩეველთა საბჭოს, გენდერული საბჭოს თუ შშმ პირთა საბჭოს შეხვედრებში - 3,5%, ან მონაწილეობა მიუღიათ სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში - 2,8%. თვისებრივი კვლევით გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია წინასწარი ინფორმირება, მობილიზაცია და მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული ფორმების პოპულარიზაცია.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ქალთა **38,4%** მიიჩნევს, რომ **ადგილობრივ პრაქტიკაში არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების შესწავლის და მუნიციპალური პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა.** რესპონდენტთა 29,3% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არასაკმარისად **ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს**. საპირისპიროდ ფიქრობს გამოკითხულ ქალთა 32,2%, რომლებმაც ხაზი გაუსვეს იმას, რომ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები სათანადოდ არის გათვალისწინებული ადგილობრივ პროგრამებში.

- **ადამიანის უსაფრთხოებისთვის გაზრდილი საფრთხეების ზეგავლენა მოსახლეობის მდგომარეობაზე -** ნათელია, რომ ადამიანის უსაფრთხოების დაბალი ხარისხი საზოგადოებაში ზრდის მოსახლეობის მოწყვლადობის ხარისხს, აფერხებს მისი განვითარებისა და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას, რაც უპირობოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს მისი ცხოვრების დონესა და კეთილდღეობაზე. გაზრდილი უსაფრთხოება გამოკითხულ ქალთა 73,1%-ის მტკიცებით, **ზრდის საზოგადოებაში სტრესსა და დაძაბულობას** და ნერგავს უიმედობისა და მომავლის შიშს (45,6%), რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას (44,4%). ქალთა 41,4%-ის აზრით, ქვეყანაში უსაფრთხოების დაბალ ხარისხს უკავშირდება ქალთა მიგრაციის მზარდი ტენდენცია და გაყოფილი ოჯახების გაზრდილი რაოდენობა. რესპონდენტთა 39,2% ფსიქოლოგიური პრობლემების ზრდას უსვამს ხაზს, ხოლო 18,8% მიიჩნევს, რომ ადამიანის ცხოვრებაში გამოკვეთილი უამრავი პრობლემა ხელს უწყობს გახშირებულ ოჯახურ კონფლიქტებს და ქალზე ძალადობის შემთხვევებს. 13,72% აზრით, საზოგადოებაში იქმნება დეპოლარიზაციის და კონფლიქტების საფრთხეები, ხოლო 12,41% ფიქრობს, რომ მოსახლეობაში იზრდება დაუცველობის შეგრძნება.

ნაწილი III. დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევაში გამოიკვეთა სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიასთან მიმართებაში მოსახლეობის მოწყვლადობის საკმაოდ მაღალი ხარისხი. ქალებისა და მათი ოჯახის წევრების წინაშე საკმაოდ მწვავედ დგას უამრავი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. მაღალია უმუშევრობის დონე, არადამაკმაყოფილებელია ხარისხიან ჯანდაცვაზე და განათლებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა. გამოკითხულთა უმრავლესობას აწუხებს მათ დასახლებებში ინფრასტრუქტურული პრობლემები, მათ შორის მოუწესრიგებელი შიდა გზები, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, სუფთა წყალზე შეუფერხებელი წვდომა, შიდა მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმართაობა და სხვა მრავალი პრობლემა. გამოკვეთილია სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმი-

რების არასაკმარისი ხარისხი და ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების აუცილებლობა.

კვლევაში გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ რეკომენდებულია შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

რეკომენდაციები

ეკონომიკური გაძლიერება

- ქალების ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმებისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით მეწარმეობის და ბიზნესპროექტების მართვის უნარ-ჩვევების განსავითარებელი ტრენინგების და ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამების შეთავაზება;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებსა და იმ ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რომლებიც აფერხებს ქალების მონაწილეობას ეკონომიკურ პროექტებში;
- ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეღავათიანი ბიზნესგარემოს შექმნა (მაგ., ბიზნესის წამოწყებიდან ერთი წლის განმავლობაში გადასახადებისგან განთავისუფლება, სოციალური სტატუსის შენარჩუნება, თანადაფინანსების მოთხოვნის გაუქმება და ა.შ.);
- ეკონომიკურო პროგრამების შესახებ ქალთა ინფორმირების და პროექტების ჩართვაში მათი დაინტერესების მიზნით, მუნიციპალიტეტში შესაბამისი საკონსულტაციო სერვის-ცენტრების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის სახელმწიფო თუ ადგილობრივი ეკონომიკური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, კონკურსის პირობების დეტალურ ახსნას და განაცხადის შევსებაში პრაქტიკული დახმარების გაწევას;
- ქალთა დასაქმების სტიმულირებისთვის ბავშვთა მოვლის შესაბამისი სერვისების შექმნა და არსებულის განვითარება (ბავშვის მოვლის დღის და საღამოს ცენტრების განვითარება, ბაღებსა და სკოლებში გახანგრძლივებული და საზაფხულო ჯგუფების გახსნა);
- სოციალური მეწარმეობის, კოოპერატივების და ბიზნესინკუბატორების წახალისება და მხარდაჭერა და ამ საქმეში მუნიციპალიტეტის როლის ამაღლება.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

- მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის სრული შემადგენლობის სავალდებულო გადამზადება, სისტემატური პროფესიული განვითარების ტრენინგების შეთავაზების გზით;
- სოფლის სკოლის შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასება და ამორტიზებული შენობების შესაბამისი რეაბილიტაცია; წყლის მიწოდების, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების შეფასება და გაუმჯობესება;
- რაიონული ცენტრების და სოფლის სკოლების შესაბამისი ტექნოლოგიებით და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და შესაბამისი დარგობრივი კაბინეტებით უზრუნველყოფა; რეგიონის სკოლების მასწავლებლებისა და მასწავლებლებისათვის ციფრული და კომპიუტერული უნარების შესასწავლი კურსების ორგანიზება, რათა შესაძლებელი გახდეს მათთვის ტექნო-

ლოგიური აღჭურვილობის და კომპიუტერული რესურსების სრული რეალიზაცია;

- ინტერნეტის სუსტი დაფარვის ზონებში მასწავლებლების და მოსწავლეების შესაბამისი ინტერნეტპაკეტებით უზრუნველყოფა და პარალელურად აღნიშნული დასახლებების მძლავრი ინტერნეტით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტაზე აქტიურად მუშაობა;
- კომპიუტერული ტექნიკის ან სმარტფონების დარიგების პროგრამების ამოქმედება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის;
- უმაღლესი განათლების სწავლის გადასახადის შეღვათიანი სისტემის შექმნა სოფლებსა და რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის;
- სტუდენტური ქალაქების შექმნა და უფასო ან ნახევრადფასიანი საცხოვრებლების შეთავაზება სტუდენტებისთვის სწავლაში მათი წარმატებისა და მოსწრების მიხედვით და ოჯახის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით; ასევე სასურველია არსებული საერთო საცხოვრებლების პირობების სათანადო შეფასება და შესწავლა, თუ რამდენად უსაფრთხოა და მორგებული არსებული ინფრასტრუქტურა ქალებისა და გოგონებისთვის;
- რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ღია სპორტული მოედნების მოწყობა, ხელოვნების და კულტურის მრავალპროფილური წრეების გახსნა და ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება;
- სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შეკრებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების ან/და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდების ჩართულობის სტიმულირება და ახალგაზრდების განვითარების პროგრამების გამრავალფეროვნება/დანერგვა.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა

- სოფლებში, განსაკუთრებით კი კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ არსებული ამბულატორიების ინფრასტრუქტურული, ტექნიკური და ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასება და მათი შეუფერხებელი ფუნქიონირებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- კვარტალურად სამედიცინო მობილური ჯგუფების მობილიზება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სოფლად მცხოვრები მოწყვლადი მოსახლეობის, განსაკუთრებით ხანდაზმულთა, შშმ პირთა, მარტოხელა დედებისა და მრავალშვილიანი ოჯახების ამბულატორიული/დიაგნოსტიკური შემოწმების და სამედიცინო კონსულტაციების განხორციელება;
- რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება და ოჯახის დაგეგმვის სერვისებსა და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ქალების და მათი ოჯახის წევრების ინფორმაციული და თავად სერვისებზე დაუბრკოლებელი წვდომის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ექიმების, განსაკუთრებით სოფლის ამბულატორიებში მოქმედი პერსონალის გადამზადებას და მათ ჩართვას რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და ეფექტიანი რეაგირება

- ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, მათი პროფესიული განვითარების/გადამზადების და დასაქმების კომპონენტის ჩართვით;
- ძალადობის მსხვერპლი ქალების მუნიციპალური პროგრამით დაფინანსების საკითხის განხილვაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი კომისიის, პროფესიული და დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფისგან დაკომპლექტება (ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ფსიქოლოგების, იურისტების მონაწილეობით);
- ადგილობრივი მოხელეების გენდერული ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის მიმართ მათი სენსიტიურობის ზრდა, რაც, შესაბამისად, უნდა გამოიხატოს ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის საკითხების დანერგვით და იმპლემენტაციით;
- ძალადობის მსხვერპლთა პროგრამების შემუშავების პროცესში, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უშუალოდ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან აქტიური კონსულტაციების გამართვის უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი და ეკოლოგიური უსაფრთხოება

- სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ქალაქში (საკანალიზაციო სისტემების და სანიაღვრე მილების გამართვა, ნაგვის ურნების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის გაზრდა და ნაგვის გატანის ინტენსივობის გაზრდა, საზოგადოებრივი საპირფარეშოების განთავსება, მიუსაფარი ცხოველების გადაყვანა თავშესაფარში);
- ცენტრალურ მაგისტრალზე და სკოლებთან სიახლოვეს, ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერების მიზნით „ჭკვიანი კამერებისა“ და „მწოლიარე პოლიციელების“ დამონტაჟება;
- ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა (რეკრიაციული ზონების გაზრდა, მარადმწვანე ხეების დარგვა, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა);
- გარემოს დაცვაზე სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის გაზრდა და საჯარიმო სანქციების გამკაცრება და აღსრულება ფიზიკური პირებისა თუ საწარმოებისთვის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გამო;
- მოსახლეობის რეგულარული ინფორმირება ეკოლოგიური მდგომარეობის და გარემო ფაქტორების გავლენის შესახებ ადამიანის - განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების - ჯანმრთელობაზე;
- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით მოსახლეობის გარემოს დაცვის და ეკოლოგიური აღზრდის მიმართულებით მეტი პროგრამების დანერგვა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელება - განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოზარდ თაობასთან მუშაობას.

შშმ პირთა ჩართულობისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა

- შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

- მნიშვნელოვანია შშმ ბავშვების, განსაკუთრებით, სოფელში მცხოვრები შშმ პირების დახმარების, მათი ოჯახის წევრებისთვის სახლში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა.

მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობის და მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა

- მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების ინტეგრირება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროექტებში;
- გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკულ დონეზე დანერგვა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;
- ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე მოწყვლადი ჯგუფებთან კონსულტაციებსა და თანამშრომლობაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.
- პროგრამების შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება ადგილობრივი ტელევიზიით, რადიოთი, მუნიციპალიტეტის ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში. ხოლო მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც გართულებულია ხელმისაწვდომობა ელექტრონული პლატფორმებისადმი, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ბეჭდური სახით (მაღაზიებში, აფთიაქებში, ბაზრობებზე, ადმინისტრაციულ შენობებში და ა.შ.);
- მუნიციპალიტეტში მომსახურების ეფექტიანობის შეფასების სტანდარტების დანერგვა არსებული სერვისების მოსახლეობაზე ზეგავლენის და ეფექტიანობის შესაფასებლად. ამისთვის შესაძლოა შეფასების ელექტრონული ფორმების შექმნა, რათა მარტივად და მინიმალური დანახარჯებით მოხდეს მოსახლეობისგან მომსახურებით კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ ინტერნეტპროვაიდერებთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება, ინტერნეტიზაციის ან ინტერნეტის სიგნალის გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით;
- სოციალურად დაუცველი და მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისთვის, რომელიც ცხოვრობს ინტერნეტის დაფარვის ზონაში, თუმცა ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ინტერნეტის საფასურის გადახდას, სახელმწიფოს მხრიდან ინტერნეტის საფასურის სუბსიდირება;
- მოსახლეობის მხრიდან ინტერნეტსივრცეში გავრცელებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღების და ელექტრონული მომსახურების სარგებლობისთვის, სათანადო უნარების განვითარების ხელშესაწყობად, თვითმმართველობებში სპეციალური სერვის ცენტრების ან/და ტექნიკური მობილური ჯგუფების შექმნა, რომლებიც ადგილზე მოემსახურებიან მოსახლეობას და პრაქტიკულ დახმარებას/ინსტრუქტაჟს გაუწევენ ელექტრონული სისტემების გამოყენების საკითხებზე.

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ლარისა შენგელია

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

ძირითადი ინფორმაცია

სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით - რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა შორის იყო 182 ადგილობრივი ქალი (83,87%) და **განსაკუთრებული სტატუსის მქონე მოქალაქეები:** დევნილი - 24 (11,05%), სოციალურად დაუცველი 2 – (0,92%,), მრავალშვილიანი დედა - 4 (1,84%), მარტოხელა დედა - 11 (5, 06%), შშმ პირი - 1 (0,46%). **იხ. დიაგრამა:**



თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები იყვნენ მარტოხელა და მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ქალები, ჟურნალისტები, პედაგოგები, ფარმაცევტები, არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ პირები ან მათი ოჯახის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები.

საქმიანობის ტიპის მიხედვით რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა: იხ. დიაგრამა:

სახელმწიფოს მიერ დასაქმებული - 63 (29,03%), კერძო ბიზნესში დასაქმებული (ინდმეწარმე, თვითდასაქმებული) – 30 (13,87%), კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დაქირავებული - 20 (9,21%), სასოფლო-სამეურნეო საეროში დასაქმებული - 4 (1,84%), სტუდენტი - 63 (29,03%), უმუშევარი - 31 (14,28%). უმუშევარ რესპონდენტთა მაჩვენებელი კი ასეთია: დევნილი - 3 (1,38%), ადგილობრივი - 25 (11,52%), მარტოხელა დედა - 1 (0,46%).



შეკითხვაზე - ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი და თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო, სადაც მონაწილეებს ორი პასუხის შემოხაზვის უფლება ჰქონდათ, ასეთი სურათი მივიღეთ:

სახელფასო ანაზღაურება აქვს 137 რესპონდენტს (63,13%), მათ შორისაა: 14 დევნილი (10,21%), 118 ადგილობრივი (86, 13%), 7 მარტოხელა დედა (5, 10%), 3 მრავალშვილიანი დედა (2,18%).

ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროდ პენსია მიაჩნია 46 რესპონდენტს (21,19%), სოციალურად

დაუცველი ოჯახის შემწეობა - 3-ს (1,38%), დევნილის შემწეობა - 15-ს (6, 91%), საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი აქვს 17 ადამიანს (7,83%), მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი - 25-ს (11,52%), ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან - 48-ს (22,11%) და ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული 11 რესპონდენტი (5,06%).

იხ. დიაგრამა:



სამი სასურველი პასუხის შემოხაზვის უფლება ჰქონდათ გამოკითხულებს კითხვაზე - თქვენი მოსაზრებით, რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის?

პასუხები შემდეგნაირია: დასაქმების ნაკლები პერსპექტივები - 143 (65, 89%), დაბალი ფინანსური შემოსავალი - 141 (64,97%), იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში - 70 (32,25%), ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე - 76 (35,02%), ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტურობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის - 52 (23,96%), მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები - 40 (18,43%), კოვიდ-19-ის შედეგად შეწყვეტილი ბიზნეს საქმიანობის აღდგენაში ხელშეწყობა - 35 (16,12%).

გამოიკვეთა, რომ დასაქმებული ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის შემაფერხებელი ფაქტორია მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა (იგულისხმება ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის). ეს ხელს უშლის ქალებს, აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში - 48 (22,11%). ამ რაოდენობაში მოიაზრება: 2 დევნილი (4,16%), 43 ადგილობრივი (89, 58%), 1 მრავალშვილიანი დედა (2, 08%) და 2 მარტოხელა დედა (4, 16%).



ფოკუს-ჯგუფებზე დაადასტურეს ყველა ეს მიზეზი, თუმცა გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც:

ი.ჩ., ქალი, დასაქმებული: პრიორიტეტულია ქალთა დასაქმება. ჩემს ქუჩაზე პატარა სამკერვალოა. მეპატრონე ქალი მეუბნებოდა: ვის არ შევთავაზე, უფასოდ შეგასწავლი ჭრა-კერვას, მაგრამ არავინ მოდისო.

კითხვაზე - სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების რომელ (სოფლის მეურნეობის განვითარების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის) სახელმწიფო პროგრამებზე ფლობთ/გქონდათ ინფორმაცია? ამ კითხვაზე მონაწილეებმა შემოხაზეს 3-მდე პასუხი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობენ პროგრამაზე „აწარმოე საქართველოში“ – 133 (61, 29%), მათ შორისაა 17 დევნილი - (12,78%) და 108 ადგილობრივი (81, 20%) რესპონდენტი.

დანარჩენ პროგრამებზე ასეთი პასუხები გაიცა: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა - 34 (15,66%), დანერგე მომავალი - 34 (15,66%), საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები - 42 (19,35%), სხვადასხვა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამა - 70 32,25%). აღმოჩნდა 54 ქალი (24,88%), რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია.



თქვენი აზრით, საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმელად ყველაზე მეტად რა არის საჭირო? ამ **შეკითხვასთან დაკავშირებით**:

ყველაზე მეტი პასუხი - 124 (57, 14%) დააგროვა მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების საჭიროებამ. ამ რაოდენობაში დევნილი რესპონდენტია 17 (13,70%), ადგილობრივი კი - 99 (79, 83%). დანარჩენი პასუხების კუთხით გაირკვა შემდეგი: ხელმისაწვდომი კრედიტები - 107 (49, 30%), საგრანტო პროგრამები - 84 (38, 70%), სოფლის მხარდაჭერის პროგრამები - 91(41, 93%), ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობების მხარდასაჭერად - 58 (26,72%), მოსახლეობის მეტი ინფორმირება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე - 102 (47, 00%), საკონსულტაციო სერვისები და დახმარება ბიზნეს პროექტების წერაში - 37 (17, 05%.)

ამ კითხვაზე ფოკუს-ჯგუფებზეც გაკეთდა აქცენტი. რამდენიმე ამონარიდი:

ლ.ჩ., ქალი, დასაქმებული: პროფესიული გადამზადების შემდეგ ბევრს საჭირო ინვენტარი არა აქვს. მათ სჭირდებათ დახმარება.

ყურადღება გამახვილდა დედების ხელშეწყობაზეც:

დ.ს. ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი: მყავს სამი შვილი, ვარ მარტოხელა დედა, უნდა იყოს უსაფრთხო პროგრამა, რომ დედა მშვიდად წავიდეს სამსახურში.

ი.შ. კაცი, საკრებულოს წარმომადგენელი: მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა ტრენინგების, ბიზნესგეგმის შემუშავების მიმართულებით. ასევე ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა...

შეკითხვაზე - საიდან იღებთ, ძირითადად, ინფორმაციებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ, ვინ არის თქვენი პირველწყარო, მსურველს შეეძლო შემოეხაზა სამი პასუხი და, შესაბამისად, პასუხებიც შემდეგნაირად გამოისახა:

ა) მუნიციპალიტეტის ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 53 (24,42%), ბ) ცენტრალური ხელისუფლების/სამინისტროს ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 33 (15,20%), გ) საინფორმაციო ფურცლები/საინფორმაციო დაფები თემში - 18 (8, 29%), დ) მერის წარმომადგენელი თემში - 7 (3,22%), ე) ადგილობრივი დეპუტატი - 6 (2,76%), ვ) ტელევიზია, რადიო - 109 (50, 23%), ზ) ონლაინ მედიასაშუალებები, სოციალური ქსელები - 139 (64, 05%), თ) არასამთავრობო ორგანიზაციები -25 (11,52%), ი) მეზობლები/ნაცნობები - 68-(31,33%).

თვისებრივი კვლევის დროსაც გამოვლინდა ინფორმაციის წყაროების შესახებ

თ.გ. ქალი, მარტოხელა დედა, სოციალურად დაუცველი: წელიწადში ერთხელ კეთდება 200-ლარიანი დახმარება მუნიციპალიტეტიდან... შარშან აპრილში დავწერე და წელს მივიღე 240 ლარი.

ნ.ჟ., ქალი, დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციაში: ორი წლის მანძილზე გვქონდა პროექტი „ჯანმრთელი დედები - ჯანმრთელი მომავალი“, მუნიციპალურ და სახელმწიფო პროგრამების ვაცნობდით საბავშვო ბაღებში - მშობლებს და პედაგოგებს.

ე. ქ., ქალი სოც დაუცველი, მრავალშვილიანი დედა: ინფორმაციის წყაროა მეზობლები.

მ.ც., 65 წ., ქალი, შშმ პირი: მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არ აცნობენ თავიანთ გეგმებს. მათ ელექტრონულ გვერდზე თავმოსაწონებელი ღონისძიებებია ასახული. ბევრისთვის ესეც არაა ხელმისაწვდომი, რადგან არც კომპიუტერი აქვს და არც ინტერნეტი.

ლ.ხ. 56 წ., ქალი, დასაქმებული: ბიუჯეტის დაგეგმვისას მოდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი და გვეკითხება, რა გვჭირდება. მიაქვს მერიამდე წინადადებები. ეს ხდება წელიწადში ერთხელ.

თვითმმართველობის წარმომადგენლების მოსაზრება ასეთია:

ი.შ., კაცი, საკრებულოს წარმომადგენელი: მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამები, საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების გამოსავლენად გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა მოწყვლადი ჯგუფების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის საფუძველზე მომზადდა შშმ ქალების და გოგონებისთვის მუნიციპალურ პოლიკლინიკაში გინეკოლოგიური კაბინეტის ადაპტირების პროგრამა, ვმუშაობთ გაჩერებების ადაპტირებაზე. ვთანამშრომლობთ აუტისტური სპექტრის ბავშვების მშობლებთან და იხვეწება დაფინანსებული თერაპიის პროგრამა. ადგილობრივი თვითმმართველობითვის ინფორმაციის წყაროა - კვლევები, შეხვედრებზე მიღებული უკუკავშირი და დარგობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მ.ხ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში: მერის წარმომადგენლები სრულყოფილად ფლობენ ინფორმაციას მოსახლეობის პრობლემებზე.

რა გიშლით ხელს თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღებაში? ამ კითხვაზე პასუხები დეტალურად იქნა გაფილტრულ-გაანალიზებული და გამოჩნდა მოსაზრებების სხვაობა დევნილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის:

ა) არ ინტერესდება ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით - 32 (14,74%), მათ შორის: დევნილი - 6 (18,75%), ადგილობრივი - 25 (78,12%).

ბ) არასაკმარისად თვლის კომუნიკაციას და მოსახლეობის ინფორმირებას სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან - 175 (80,64%), მათ შორის: დევნილი - 17 (9,71%), ადგილობრივი - 148 (84,57%).

გ) არ მაქვს ინტერნეტი ამაზე დადებითი პასუხი გასცა 4-მა ადამიანმა და ყველა მათგანი ადგილობრივია (1,84%).

თვისებრივმა კვლევამ დაადასტურა ნაკლები კომუნიკაციის პრობლემა:

ნ.ჩ., 45 წ., ქალი, მოფარიკავე, ა/ო „სრულფასოვანი ოჯახისთვის“ წევრი, შშმ პირი: შშმ პირების სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ხშირი კომუნიკაცია.

ნ. დ., 35 წ., ქალი, დიასახლისი, მრავალშვილიანი დედა: არ არის კომუნიკაცია მოსახლეობასთან. ისევ მრავალშვილიანი დედები ვაგებინებთ ერთმანეთს. ბევრმა არც იცის რას იძლევა მერია. სამშობიაროში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია - მაგ., მეოთხე შვილზე რა სახის დახმარებაა.

მ.ც., 65 წ., ქალი, შშმ პირი: არცერთ ხელისუფლებას არ აინტერესებს მოსახლეობასთან კომუნიკაცია. შეურაცხყოფილი დავრჩი. სოცაგენტმა დახმარების ნაცვლად, დამმოძღვრა, გამეყო ბინა, ნაკლებფართიანი შემეძინა და დარჩენილი თანხით თავი მერჩინა. უკვე ცენტრში მამაპაპისეული სახლი გაყიდული მქონდა და ქალაქის ბოლოს გადმოვედი.

მ.ქ., 67 წ., ქალი: ადგილობრივი თვითმმართველობა თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მისი პროგრამა იყოს საჯარო. ელექტრონული ვერსიების მოძიება ყველას არ შეუძლია ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოსახლეობამდე მიტანა მოსაგვარებელია.

ნ. ჩ., 45 წ., ქალი, დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციაში, შშმ პირი: მობილური ჯგუფის გამოყოფა გვჭირდება. ჩვენ გავაკეთებთ შეკრებებს, ოღონდ გამოგვიყონ მობილური ჯგუფი, გადაადგილებაში დაგვეხმარონ.

ნ.დ., დიასახლისი, მრავალშვილიანი დედა: ოთხი შვილი რომ შემეძინა, ხუთი წლის შემდეგ გავიგე - მერიის ტრანსპორტი მრავალშვილიანებისთვის უფასო რომ იყო. მე არ შემიძლია ვიარო და სტენდებზე ვეძებო სიახლეები! მრავალშვილიანებს უნდა გაუმზადონ და მოაწოდონ ინფორმაცია.

ი.ს., 47 წ., ქალი, დასაქმებული, დევნილის ოჯახის წევრი: კომპიუტერის არქონა დიდი პრობლემაა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

ნ.დ., 53 წ., დასაქმებული: დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას პროგრამებში ბევრ ბავშვს უნდოდა ჩართვა, მაგრამ ხუთ, ექვს, შვიდ შვილიან ოჯახში იყო ერთი მობილური.რამდენიმე ოჯახი დააკმაყოფილეს, მაგრამ პრობლემა მაინც დარჩა.

კითხვაზე - თქვენთვის ყველაზე მეტად რა ფაქტორი უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს სასურსათო უსაფრთხოებას, მონაწილეებს ჰქონდათ ორი პრიორიტეტული კითხვის შემოხაზვის უფლება და შემდეგი პასუხები გამოვლინდა:

ა) პროდუქტების მაღალ ფასზე მიუთითებს 183 გამოკითხული (84,33%). მათ შორის: დევნილი - 22 (12,02%), ადგილობრივი - 151 (82,51%). ხარისხიანი პროდუქტების არარსებობაზე ამახვილებს ყურადღებას 169 (77,88%) ქალი, მათ შორის: დევნილი - 17 (10, 05%), ადგილობრივი - 143 (84, 61%), ხოლო სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობას უჩივის 11 ქალი (5,06%, მათ შორის დევნილი -1 (9,09%), ადგილობრივი - 10 (90,90%).

ფოკუს-ჯგუფებზე ამ კითხვასთან დაკავშირებით საგულისხმო პასუხები გამოითქვა:

ნ.ხ., 50 წ., ქალი, დასაქმებული: იზრდება ფასები სურსათზე, ეს აისახება ნებისმიერ ოჯახზე.

ი.ს., 30 წ., მრავალშვილიანი, დევნილის ოჯახის წევრი, სოციალურად დაუცველი: ოცი ლარით ახლა პური და ზეთია.

ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური, რესპონდენტებმა უპასუხეს:

ა) სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება - 52 (23,96%), ბ) სანიაღვრე არხების გაკეთება - 56 (25,80%), გ) საკანალიზაციო სისტემის გამართვა - 52 (23,96%), დ) სოფლის შიდა გზების მოწესრიგება - 76 (35, 02%), ე) წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება - 57 (26,26%), ვ) ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 87 (40,09%), ზ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი, სამკერვალო და ა.შ.) – 29 (13,36%), თ) გარე განათების გამართვა - 20 (9,21%), ი) ფეხით მოსიარულეთათვის ბარდიურების, ტროტუარების მოწესრიგება - 56 (25,80%), კ) საბავშვო ბაღები - 26 (11,98%), ლ) სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები - 37 (17,05%), მ) სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის - 37 (17,05%), ნ) ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები (სკოლის და ბაღის შემდგომი) დასაქმებული დედებისთვის - 47 (21,65%).



პრიორიტეტულ საკითხებზე ბევრი რამ აღნიშნეს ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების რესპონ-დენტებმა.

ი.შ. კაცი, საკრებულოს წარმომადგენელი: აქტუალური პრობლემებია: უმუშევრობა, კვალიფი-ციური კადრების ნაკლებობა რეგიონში, შიდა და გარე მიგრაცია, ინფრასტრუქტურა, სოცია-ლური და ჯანდაცვითი პროგრამები, ტურიზმის განვითარება.

კ.კ. კაცი, ადგილობრივი ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში: მოსახლეობის მთავარი პრობლემები არის: ნაგვის ურნების სიმცირე, რეკრეაციული ზონების და მარადმწვანე ხეე-ბის ნაკლებობა, სკვერების სიმცირეა, ქალაქის ტერიტორიაზე საპირფარეშოების არარსებობა. ხდება სანაგვე ურნების შეძენა, მაგრამ აზიანებენ. ხდება სკვერების მოწყობაც. ამ ეტაპზე 5 სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ინტენსიურად ხდება გზების დაგება. 2021 წლის ბო-ლოსთვის ქალაქში აღარ დარჩება პირველხარისხოვანი გზა, რომელსაც ექნება სანიაღვრის, გზის საფარის საფეხმავლო გზის ან საგზაო ნიშნების პრობლემა. სკოლების და ბაღების წინ მოწყობილია მწოლიარე პოლიციელები. ისინი უფრო უქმნიან პრობლემას მოძრაობას. მალე ქა-ლაქში 200-მდე ახალი კამერა დამონტაჟდება და ყველა უფრო დაიცავს საგზაო წესებს.

მ.ც., 65 წ. ქალი, შშმ პირი: ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელისშემშლელი სამუშაო ადგილების არქონაა, თუ სადმე იშოვიან სამსახურს, ანაზღაურება ძალიან დაბალია.

რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, ამ კითხ-ვის ძირითად პასუხებად დაფიქსირდა: კრიმინალის ზრდა - 155 (71,42%), მათ შორის: დევნილი - 20 (12.90%), ადგილობრივი - 129 (83,22%), ალკოჰოლიზმი/ნარკომანია - 90 (41,47%), მათ შო-რის: დევნილი - 8 (8,88%), ადგილობრივი - 77 (85,55%). გაუმართავი საგზაო მოძრაობა აღნიშნა 217 გამოკითხულიდან 54-მა (24,88%). საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროებას მიიჩნევს პრობლემად 59 ქალი (27,18%).

სხვა პრობლემების მონაცემები პასუხებში ასე ჩამოყალიბდა: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქ-ტურა - 38 (17,51%), დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალი დონე - 45 (20,73%), უმცი-რესობების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების საზოგადოებრივ ცხოვრება-ში მონაწილეობის დაბალი ხარისხი - 26 (11,98%).



ერთ-ერთი **კითხვა ეხებოდა განათლებას: აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა. უმეტესობამ -** 85 რესპონდენტმა (39,17%) დადებითი პასუხი გასცა.

პასუხი „არა“ დააფიქსირა 16-მა ქალმა (7,37%). მათ შორის: 5 დევნილია (31,25%) და 11 ადგილობრივი (68,75%). არცერთი არ არის სოციალურად დაუცველი, მარტოხელა ან მრავალშვილიანი დედა.

ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომას ნაწილობრივ აფიქსირებს 116 ადამიანი (53,45%). მათ შორის: დევნილი - 10 (8,62%), ადგილობრივი - 97 (83,62%), სოციალურად დაუცველი - 2 (1,72%), მარტოხელა დედა - 9 (7,75%), მრავალშვილიანი დედა - 2 (1,72%).

როგორც შემდეგი შეკითხვიდან გაირკვა, ამის მიზეზებია:

ა) სწავლების დაბალი ხარისხი - 117 (53,91%), ბ) არასაკმარისი პროფესიონალი პედაგოგი - 74 (34,10%), გ) გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა (ამორტიზებული, სარემონტო შენობა, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, წყლის არარსებობა და ა.შ.) – 29 (13,36%), დ) სკოლა შორსაა სახლიდან - 18 (8,29%), ე) სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა (კომპიუტერები, ინტერნეტი, სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ.) - 49 (22,58%), ვ) დაბალი ხარისხის ინტერნეტი (დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად) – 40 (18, 43%).

ე.ფ., 60 წ., ქალი: აუცილებელია ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერა, ვისაც აქვს უნიკალური მონაცემები ხელოვნებაში. ჰყავთ მშობლები, მაგრამ უჭირთ, ხელს ვერ უწყობენ.

კითხვაზე ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის, ოჯახის წევრისთვის ან თქვენი ნაცნობებისთვის უმაღლესი განათლება: მონაწილეებმა სამი პასუხი გასცეს: კი - 135 (62,21%), არა - 9 (4,14%) და ნაწილობრივ - 73 (33,64%).

უმაღლესი განათლების მისაღებად პრობლემად მიაჩნიათ ის, რომ: არ არსებობს სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსები, რაც აფერხებს აბიტურიენტს მისთვის საუკეთესო პროფესიის არჩევაში - 61 (28,11%), რეგიონიდან სტუდენტისთვის ქალაქში ხელმიუწვდომელია უფასო სა-

ცხოვრებელი - 27 (12,44%), სწავლების მაღალი საფასური - 85 (39,17%), სწავლების დაბალი ხარისხი - 44 (20,27%).

უსაფრთხოების კუთხით ჯანდაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. გამოკითხულები თავიანთ ოჯახში ან თემში აქტუალურ და პრიორიტეტულ პრობლემად მიიჩნევენ შემდეგს:

პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა - 38 (17,51%), მათ შორის: დევნილი - 3 (7,89%), ადგილობრივი - 34 (89,47%), სამედიცინო პერსონალის სიმცირე - 35 (16,12%), მათ შორის: დევნილი - 7 (20%), ადგილობრივი - 26 (74,28%), უხარისხო სამედიცინო მომსახურება - 116 (53,45%), მათ შორის: დევნილი - 12 (10,34%), ადგილობრივი - 97 (83,62%), მაღალი ფასები მედიკამენტებზე - 171 (78,80%), მათ შორის: დევნილი - 21 (12,28%), ადგილობრივი - 140 (81,87%),არაინფორმირებულობა ჯანდაცვის პროგრამებზე - 55 (25,34%), მათ შორის: დევნილი - 6 (10,90%), ადგილობრივი - 47 (85,45%),უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა ადგილზე, სოფლებში - 53 (25,80%), მათ შორის: დევნილი - 4 (7,54%), ადგილობრივი - 47(88,67%), რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება - 25 (11,52%), ყველა ადგილობრივი (100%). უფასო სამედიცინო სკრინინგ-პროგრამები გოგონებისა და ქალებისათვის - 37 (17,05%), მათ შორის: დევნილი - 3 (8,10%), ადგილობრივი - 31 (83,78%), იგპ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირე - 12 (5,52%), მათ შორის: დევნილი - 4 (33,33%), ადგილობრივი - 8 (66,66%).



თვისებრივი კვლევის მონაცემებიც ადასტურებს რაოდენობრივი კვლევით მიღებულ შედეგებს.

თ.ჯ., 27 წ., დევნილი, მრავალშვილიანი დედა: ორსულობისას მოვიწამლე და სასწრაფოთი წამიყვანეს საავადმყოფოში. ფული არ გადამიხდია. ჩემი სურვილით გამოვეწერე. გამაფრთხილეს, იქნებ გაგირთულდეს და შემობრუნდეო. იმავე დღეს სასწრაფოთი შევედი ისევ იმ საავადმყოფოში. მაგრამ შეეშალათ და გამაფორმეს როგორც თავისით მისული. ამომიწერეს 110 ლარი.მატყუებდნენ: ეს ფასიანია, ეს - უფასოო... ექიმს მოვუყევი და მითხრა, არ გადაიხადოო. წამოვედი იქიდან, დღემდე მირეკავენ, გადაიხადეო. არ ვიხდი.

ე.ჭ., ქალი, მერიის წარმომადგენელი: მოქალაქეებს სჭირდებათ ოპერაციების თანადაფინანსება, ასევე დამატებითი სამედიცინო კვლევების ჩატარებაში მხარდაჭერა.

შეკითხვაზე - ჯანმრთელობის გაუარესების დროს, როგორ ახერხებთ პრობლემის გადაჭრას? მივიღეთ შემდეგი პასუხები:

თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - 71 (32,71%)

თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს კერძო დაზღვევა - 35 (16,12%),სამედიცინო მომსახურებას, ძირითადად, იღებთ საზღვარგარეთ - 5 (2,30%), მიმართავთ ექიმბაშს - 13-(5,99%), ეწევით თვითმკურნალობას - 84 (38,70%), მათ შორის: დევნილი - 12 (14,28%), ადგილობრივი - 67 (79,76%).



ე.ჭ., ქალი, მერიის წარმომადგენელი: სპეციფიკური პროგრამა გვაქვს: კოჰლეარული იმპლანტით მხარდაჭერა. ამ აპარატის შეძენა დაკავშირებულია დიდ თანხებთან. ეს პროგრამა ნაკლებად ცნობილია,თუმცა თვითმმართველობას აქვს და სახეზეა მისი საჭიროებაც. არის შშმ პირთა მხარდაჭერის, ომის ვეტერანთა მხარდაჭერის პროგრამა. შესაძლოა, მომართვიანობის და სხვა საფუძვლების გამო, გაიზარდოს, ან შემცირდეს გამოყოფილი ფინანსები, თუმცა ისინი რეგულარულად არის ჩვენს ბიუჯეტში. გენდერული საჭიროებების კუთხით შეიძლება გამოვყოთ ძუძუს კიბოს მქონე პირთა დახმარების პროგრამა სპეციალური მედიკამენტის - ჰერცეპტინის შეძენის ნაწილში.

შეკითხვაზე - თქვენი მოსაზრებით, რამდენად აქტუალურია ოჯახური ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში? პასუხები ასე გამოიყურება:

აქტუალურია - 81 (37,32%), მათ შორის: 9 დევნილი (11,11%), 67 ადგილობრივი (82,71%), 5 მარტოხელა დედა (6,17%), 1 სოციალურად დაუცველი (1,23%) და 10 უმუშევარი (12,34%).

ძალიან აქტუალურია - 31 (14, 28%), მათ შორის: 5 დევნილი (16,12%), 25 ადგილობრივი (80,64%) და 5 უმუშევარი (16,12%), არ არის აქტუალური - 65 (29,95%), არ მაქვს პასუხი - 40 (18, 43%).



პრობლემის მიმართ დამოკიდებულება გამჟღავნდა ფოკუს-ჯგუფების დროს:

ნ.დ., 53 წ., ქალი, დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციაში: მყავს ახლობელი ძალადობის მსხვერპლი. ვუთხარი, კარგია, რომ ოჯახი შეინარჩუნე-მეთქი. შვილები მეუბნებიან, მთელი ცხოვრება ასეთი ძალადობაში, უბედურებაში რატომ დაგვიმახინჯე ბავშვობაო. მყავდა მოსწავლე გოგონა, ბებიის მხრიდან განიცდიდა ძალადობას. ერთხელ ბავშვი გაცივდა. გოგონა აღმოჩნდა უპატრონოდ, ჩვენ ვართ დღის ცენტრი და ბევრ რამეს შევეჯახე ჯანმრთელობის სისტემასთან დაკავშირებით. რამდენჯერმე გამოვიძახეთ სასწრაფო, რომ ბავშვი გადაეყვანათ საავადმყოფოში. დიდ თანხას ითხოვდნენ - პედაგოგის ხელფასით ვერ გავწვდებოდი. მონაცემთა ბაზამ ამოაგდო, წინანდელი სოციალურად დაუცველის სტატუსი და არ უნდა გადაეხადა თანხა. ამ პრობლემის გადაწყვეტაში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დამეხმარა.

ნ.დ., 35 წ, ქალი, დიასახლისი: საახლობლოში იყო ძალადობა და 112-მა ოპერატიულად იმუშავა. სწრაფად მოხდა სიტუაციის განეიტრალება.

ლ. ხ., 56 წ., ქალი, დასაქმებული: 15 წელია, ვთანამშრომლობ, ფონდ „სოხუმთან“. ადრე საუბარი ტაბუდადებული იყო. დღეს მეტი ინფორმირებულობაა. პრობლემის მოგვარებაში ჩართულია არაერთი სამსახური. ბევრიც კეთდება. ერთი მსხვერპლიც რომ გადავარჩინოთ, მნიშვნელოვანია.

ერთმა მონაწილემ საკუთარი ისტორიაც კი გაუმხილა შეკრებილებს.

თ.ჯ., 27წ., ქალი, დევნილი, მრავალშვილიანი დედა: ჩემთვის თემა ძალიან მტკივნეულია - დედა იყო მუდმივი მსხვერპლი. ჩემი ბავშვობა ვუყურებდი, როგორ ტიროდა დედა და ღამეებს ათენებდა. რამდენჯერ მითხოვია, ნათესავებისთვის გაემხილა, მაგრამ - არა. თვითონ შევეცადე, დეიდისთვის, ბიძისთვის მეთხოვა დახმარება, მათ თავი შეიკავეს. ისე გავმწარებულვარ ზოგჯერ, მიფიქრია, ვიყიდი თაგვის წამალს და მოძალადეს ჩავუყრი-მეთქი. პატარა ვიყავი, სხვაგვარად ვერ ვიაზროვნე დედის ტრაგედიით შეძრულმა.

შემდეგი პასუხები დაფიქსირდა კითხვაზე: თქვენი დაკვირვებით, ჩამოთვლილთაგან, ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული თქვენს თემში?

ფიზიკური (ცემა, დამცირება ძალის გამოყენებით და ა.შ) – 51 (23,50%), ფსიქოლოგიური (დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, უგულებელყოფა და სხვა) – 116 (53,45%), ეკონომიკური (ფულადი სახსრებით მანიპულირება, ფინანსური დამოკიდებულება ოჯახის ერთ წევრზე, ფულის წართმევა, ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვა და ა.შ.) – 40 (18,43%), სექსუალური (გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება, ადევნება) – 10 (4,60%).

შეკითხვაზე - გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ (ადგილმდებარეობა, ტელეფონი, რა კონკრეტულ მომსახურებას აწვდის)? 68 ადამიანი (31,33%) დადებით პასუხს იძლევა, ხოლო 70 - უარყოფითს (36,40%), მათ შორის 6 დევნილია (7,59%) და 69 ადგილობრივი (87, 73%). 70 რესპონდენტი პასუხობს, რომ აქვს ინფორმაცია ზოგიერთ მათგანზე (32,25%).

ამ შეკითხვას მოყვება ჩამონათვალი, რომელთა შესახებ ინფორმირების ხარისხი ასე ნაწილდება:

სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებული კრიზისული ცენტრები - 21 (9,67%), სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები - 10 (4,60%), სახელმწიფო იურიდიული სამსახურები - 13 (5,99%), ცხელი ხაზი - 101 (46,54%), არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი სერვისები - 24 (11,05%), მუნიციპალური სერვისები - 1 (0,46%), ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები - 18 (8,29%).

შეკითხვაზე - რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ? რესპონდენტები ასე პასუხობენ:

ტელევიზია, რადიო - 68 (31,33%), სოციალური ქსელი - 124 (57,142%), შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 13 (5,99%), შეხვედრები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 5 (2,30%), შეხვედრები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 1(0,46%), საინფორმაციო ფურცლები, განცხადებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - 4 (1,84%).

რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ



ნ.დ., 35 წ., ქალი, დიასახლისი: მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო, თუ იქნება ძალადობა. არ უნდა დაიჩაგროს არც ქალი, არც ბავშვი და არც არავინ...

ი.შ., კაცი, საკრებულოს წარმომადგენელი: მოქალაქეთა ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია. საკრებულო იკვლევს მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონეს. 2020 წელს შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოს Facebook გვერდი, რომ უფრო მეტად აქტიური იყოს გვერდი ცნობიერების ამაღლების თუ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კუთხით.მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების წყაროა ტელევიზია და მედიასაშუალებები.

ფ.ხ, ქალი, ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ საკითხებში: ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ნახოს პროგრამები, რომლებსაც ვახორციელებთ. მერიის სოციალურ სამსახურს აქვს ოფიციალური ფეისბუქგვერდი, სადაც ახალი პროგრამა, თავისი შესწორებებით, ცვლილებებით ქვეყნდება.

თქვენი მოსაზრებით, არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი ქალაქის (მუნიციპალიტეტის, სოფლის) მოსახლეობისთვის, ამ შეკითხვის პასუხებად დაფიქსირდა, რომ ხელმისაწვდომია 75 ადამიანისთვის (34,56%), არასაკმარისად ხელმისაწვდომად მიიჩნევს 124 (57,14%) და საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი 18 რესპონდენტისთვის (8,29%).

ფოკუს-ჯგუფზეც გამოჩნდა, რომ არსებული სერვისები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი.

შ.შ., 30 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი დედა: მრავალშვილიანობის თანხა მეკუთვნის და არ მაძლევენ. უნდა იყო ქუთაისის მოქალაქე, აქ ჩაწერილიო. ქუთაისში დარეგისტრირებას არ მიკეთებენ, რადგან ვარ სხვის ბინაში, ნაქირავებში. მარტო ვცხოვრობ, ბავშვებთან ერთად. ქმარმა მიგვატოვა.

ნ.დ. 53 წ., ქალი, დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციაში: ყოველთვის გვყავდა დღის ცენტრში ძალადობის მსხვერპლი მშობლები, ბავშვები. ხშირად დედაც მალავს და ბავშვიც. ბავშვს ეტყობა. ძალიან გვჭირდება ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ორგანიზაციების მეტი ჩართულობა, პროგრამებით დახმარება.

კითხვაზე: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები საკმარისია? საპასუხოდ აღინიშნა: დიახ - 17 (7,83%), არა - 41 (18,89%), ნაწილობრივ - 64 (29,49%), არ ვფლობ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამების შესახებ - 67 (30,87%), აუცილებელია პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება - 28 (12,90%).

ე.ჭ., ქალი, მერიის წარმომადგენელი: ძალადობის მსხვერპლ ქალებს უჭირთ თავის დამკვიდრება, საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ შეზღუდული, უკეთესია, გვემუშავა მათი პრობლემების მოგვარებაზე. ერთჯერად დახმარებებზე არის უფრო მოთხოვნა. გრძელვადიანი შეიძლება იყო მათი უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართებით, თუმცა მერიას არ შეუძლია ამ ტიპის საჭიროებების დაკმაყოფილება. სოციალური საცხოვრისი მალე ახალიც აშენდება.თუ იქნება მომართვიანობა, ჩვენ დავეხმარებით მათ, რომ განთავსდნენ საცხოვრისში.

ფ.ხ. ქალი, ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ საკითხებში: თუ მოსახლეობიდან გაჩნდება გარკვეული ტიპის ინიციატივები, რა შედეგი შეიძლება მოყვეს, რა იქნება მიზნობრივი მაჩვენებელი, შეფასების ინდიკატორი, ნებისმიერ ინიციატივას განვიხილავთ, წარვადგენთ საკრებულოში და ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას.

ასე განაწილდა პასუხები **შეკითხვაზე - როგორია თქვენს ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია გარემოს დაცვის კუთხით, ხუთბალიანი სისტემის მიხედვით?**

ძალიან ცუდი - 30 (13,82%), ცუდი - 66 (30,41%), ნორმალური - 112 (51,61%), კარგი - 8 (3,68%), ძალიან კარგი - 1 (0,46%).



კ.კ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში: არის ნაგვის ურნების სიმცირე. ნაგავავმზიდი მანქანებიც არაა საკმარისი. ქალაქს სჭირდება 60-მდე ნაგავგადამამუშავებელი სატრანსპორტო საშუალება, დღეს 30 მანქანა გვყავს. წელს დაგეგმილია მანქანების შეძენა და 3-4 წელიწადში გვექნება მანქანების სრული რაოდენობა. პრობლემაა საზოგადოებრივი საპირფარეშოები. ჩვენ შარშან დავასრულეთ ცენტრალურ ბულვარში საპირფარეშოს მოწყობა. პრობლემაა მიუსაფარი ძაღლებიც. როცა უბანში აგრესიული ცხოველია, მერიის ცხელ ხაზზე

რეკავენ და მორიგე ჯგუფი (მუშაობს 24 საათი) გადის ადგილზე. ინფორმაცია არის სოცქსელებში, მუნიციპალურ ორგანოშიც არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომრები.

ასე იძლევიან რესპონდენტები პასუხებს მომდევნო შეკითხვაზე - ჩამოთვლილთაგან, რომელია ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს თემში:

დაბინძურებული ჰაერი - 100 (46,08%), სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა - 24 (9,67%), საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა - 44 (20,27%), სანიაღვრე მილების არ არსებობა ან გაუმართაობა - 49 (22,58%).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა კონკრეტულ ეკოლოგიურ პრობლემებზე ისაუბრეს:

ტ.გ., 62 წ., ქალი, დევნილი, დასაქმებული: დასახლებაში, თაბუკაშვილზე არის მეტალურგიული ქარხანა. საშინელი გამონაბოლქვი წამლავს ჰაერს. ძალიან აქტიურად ვიბრძვი ამ პრობლემის წინააღმდეგ. ფილტრები აქვთ, დამატებითი ხარჯია და ერიდებიან. ღამით უშვებენ გამონაბოლქვს.

ლ.ხ., 56 წ., ქალი, დასაქმებული: ავტოქარხნის დასახლებაში არის ოღასკურას არხი, რომელიც ნაგავსაყრელადაა ქცეული. როცა დიდდება, იტბორება ყველაფერი. ასევეა, მუსხელიშვილის ქუჩაზე, იტბორება სახლების პირველი სართულები. წლებია, ეს პრობლემა მოუგვარებელია.

მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად? - ამ კითხვის პასუხები ასე განაწილდა: დიახ - 61 (28,11%), არა - 117 (53,91%), არ მიმიმართავს, რადგან არ მჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება - 39 (17,97%).

მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად?



მ.ქ., ქალი, დასაქმებული: კანალიზაციის მილი გასკდება, თუ სხვა რამ მოხდება, ოპერატიულად მოდიან. ნიკეაზე შიდა ეზოს მოწესრიგება ვითხოვეთ, ჩაგვსვეს პროგრამაში თანადაფინანსებით, უკვე დასრულდა. ამ ეტაპზე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ოპერატიულობა და სწრაფი რეაგირებაა. დადებითი შედეგებიც სახეზეა.

ნ.ხ., 50 წ., ქალი, დასაქმებული: ჩემს თანამშრომელს დასჭირდა ოპერაცია. მერიაში დავწერეთ განცხადება და მაშინვე იყო რეაგირება.

ტ.გ., 62 წ., ქალი, დევნილი, დასაქმებული: 2008 წელს მივმართე მუნიციპალიტეტს ბინის გადახურვაზე, რეაგირება იყო სწრაფი. 2010 წელს დედას ოპერაცია გავუკეთე, დამაფინანსეს.

ნ.ჩ., 45 წ., ქალი, დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციაში, შშმ პირი: ქუჩის განათება

იყო გასაკეთებელი. უქიმერიონში ვცხოვრობ და შეტყობინებებზე რეაგირება არის სწრაფი. ონკოლოგიური პაციენტი ვარ, ერთი თეთრიც არ მიმიღია ხელისუფლებისგან, გარდა იმისა, რომ ჩემმა კლინიკამ ჩამსვა პროგრამაში და ქიმიიდან დაწყებული, ყველაფერი მიტარდებოდა უფასოდ. მეგობარი მყავს, რომელსაც ეტლი გაუფუჭდა. განაცხადი შეიტანა და მოუვიდა პასუხი, რომ ერთი წელიწადი შეზღუდულია ეტლების გაცემა. 28 წლის გოგოა, მასაც უნდა გარეთ გამოსვლა...

ლ.ხ., 56 წ., ქალი, დასაქმებული: ოთხი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე, დახმარება გამიწია მერიამ. მეორე ეხება ჩემს კორპუსს, სადაც მუდმივად ხდება საკანალიზაციო მილების დაზიანება. რეაგირებენ სწრაფად და ოპერატიულად ხდება შეკეთება.

ა.წ., 44 წ., ქალი, დასაქმებული, მრავალშვილიანი დედა: იყო პროგრამა მრავალშვილიან ოჯახებთან დაკავშირებით სამეწარმეო კუთხით. გამოცხადდა კონკურსი, მივიღეთ მონაწილეობა და გაიმარჯვა ჩვენმა პროექტმა, დაგვაფინანსეს.

მ.ს., 60 წ. ქალი, შშმ პირი, მრავალშვილიანი დედა: მივედი საახალწლო საჩუქრისთვის, რომ ინვალიდი მარტოხელა დედისთვის, რომელსაც ინვალიდი შვილი ჰყავს, მიეცათ ერთი პაკეტი და არ მომცეს. ოჯახზე ერთია, და ვერ მიიღებთო. გამონაკლისი არაო - მერია არ გვაძლევს უფლებასო.

ფ.ხ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ საკითხებში: სულ მცირე 15 ათასი ადამიანი მოგვმართავს, ჯანმრთელობის პრობლემებთან და დასაქმების კუთხით. არ ვამბობთ უარს მოქალაქეებთან შეხვედრაზე.

მ.ვ., 50 წ., ქალი, პენსიონერი: ბინის წარმომადგენელმა არაფრის ძალა არ მაქვსო. ერთხელ მერიას მივმართე ერთჯერადი დახმარების თხოვნით და არავითარი დახმარება არ მომცეს

ის., 30 წ., ქალი, მრავალშვილიანი დედა: მივმართე მუნიციპალიტეტს შეშისათვის. მეკუთვნოდა, როგორც სოციალურად დაუცველს და მრავალშვილიანს,მაგრამ არ მომცეს, წელს არ არისო.

ე. ქ., 40 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი დედა: შარშან ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის მივმართე მერიას, როგორც მრავალშვილიანმა და შშმ პირის დედამ. მაგრამ პასუხად მომივიდა უარი.

ნ.დ., 53 წ., ქალი, დასაქმებული: ჯერ არ მიგრძვნია, რომ ვარ სახელმწიფოს შვილი.ვინაიდან არასამთავრობოს მივეკუთვნები, არასოდეს მიმიღია დახმარება. ჩვენ იმის ნახევარი ხელფასიც არ გვაქვს, რასაც საჯარო სკოლის მასწავლებლები იღებენ. ერთი თვის წინ გულზე მქონდა პრობლემა და მივაკითხე სამკურნალო დაწესებულებას. თერაპევტის მომსახურება გეკუთვნის უფასოდო.

კ.კ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში: მომართვიანობა გვაქვს მოსახლეობიდან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობიდან, რომელიც მერიის პროგრამებით სარგებლობას ითხოვს. წერილობით ყოველდღიურად 20-დან 50-მდე მოთხოვნაა.

ე.ჭ., ქალი, მერიის წარმომადგენელი: მომართვიანობა დიდია. განცხადებათა განხილვისათვის სპეციალური კომისიების შეკრება საჭირო ხდება კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ მაინც. მოსახლეობა მოგვმართავს გადაუდებელი რეაგირების პროგრამით დახმარებაზე, მედიკამენტებით დახმარების ვაუჩერზე, უფასოდ სამგზავრო ტალონებზე. მათ იციან საბინაო პროგრამების შესახებ, სადარბაზოების მოწყობის, სარდაფების და ლიფტების კეთილმოწყობის მხარმდამჭერი პროგრამების შესახებ.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის სამოქალაქო ჩართულობის რა ფორმა გამოგიყენებიათ?

დასახლების/სოფლის კრებები - 47 (21,65%), საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 21 (9,67%), მერის, მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა - 27 (12,44%), პეტიცია - 28 (12,90%), მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო - 5 (2,30%), სამოქალაქო ბიუჯეტირება - 4 (1,84%), კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა (ელფოსტით მიმოწერა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებული წერილისთვის განკუთვნილი ფანჯარა) - 85 (39,17%).

ი.შ., კაცი, საკრებულოს წარმომადგენელი: მოქალაქეებთან ადგილობრივი თვითმმართველობა იყენებს საჯარო შეხვედრებს, საკრებულოს თითოეულ წევრს აქვს მიღების დღეები საკრებულოში, მუნიციპალურ ერთეულებში. კოვიდპანდემიისას გაიზარდა დისტანციური კომუნიკაცია. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, დაესწროს საკრებულოს სხდომებს და დასვას კითხვა. საკრებულოს სხდომების ანონსები ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ Facebook გვერდზე, სხდომები პირდაპირ ეთერში შუქდება ტელეკომპანია „რიონის" ეთერში და საკრებულოს გვერდზე Facebook live-ის მეშვეობით. ა/ო და მედიის წარმომადგენლებს სხდომაზე განსახილველი საკითხები თანდართული განმარტებებით ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ე.ჭ., ქალი, მერიის წარმომადგენელი: მოქალაქეებს შეუძლიათ დაწერონ განცხადებები, მერიის ადმინისტრაციული შენობაში და გამოაგზავნონ ფოსტაზე; ასევე, ტელეფონზე დარეკვით, სახლიდან გაუსვლელად საკითხის გარკვევა; შეუძლიათ მოგვწერონ facebook-ზე, ვებგვერდზე. მერს აქვს მოქალაქეების მიღება ხუთშაბათობით, სადაც მერის მოადგილეებიც არიან. მერის სამსახურების უფროსებთანაც არის შესაძლებელი შეხვედრები და მერის ტერიტორიულ ორგანოებშიც. პროგრამები განთავსებულია ვებგვერდზე. ამ მხრივ ხანდაზმულებს აქვთ პრობლემა, თუმცა, მერიის შენობაში, მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში სტენდზეც არის ამის შესახებ ინფორმაცია. მათ შეუძლიათ სივრცის რეგისტრატორებთან განავრცონ დეტალები. ტერიტორიულ ორგანოებს აქვთ ამომწურავი ინფორმაცია. ჩვენ გვაქვს მრავალშვილიანი ოჯახების და ახალგაზრდული ინიციატივების პროგრამა. ეს პროგრამები ნაკლებადაა ცნობილი. მათ გამოსაყენებლად მეტი ჩართულობაა საჭირო.

მ.ხ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი ინფრასტრუქტურის საკითხებში: ყველა შესყიდვა ხორციელდება ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

რამდენად მორგებულია (ან ასახავენ) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს?

ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებენ მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს - 51 (23,50%), პროგრამები არ ასახავენ ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს - 56 (25,80%), არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა - 110 (50,69%).

მ.ც., 65 წ., ქალი, შშმ პირი: მეტი ყურადღება სჭირდებათ მარტოხელებს, შშმ პირებს, პენსიონერებს, ბინაზე მათ სამედიცინო დახმარებას. პანდემიის მეორე ტალღის დროს, როცა ტემპერატურამ ამიწია, დავურეკე ოჯახის ექიმს და ვთხოვე, გამოეგზავნა ლაბორატორიიდან კოვიდ-19-ზე ტესტის ჩასატარებლად. მითხრა, ასეთი სერვისი არ გვაქვსო, როცა გაიგო, რომ ვიცოდი ამ სერვისის შესახებ, მითხრა, რამდენთანაც გავაგზავნე, არავისთან მისულანო. გამოდის, რომ ჩვენ, შშმ პირები სიკვდილისთვის ვართ განწირულნი. მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური დახმარების პროგრამაა. პირადად ჩემთვის ამ პროგრამას

არანაირი დადებითი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, დამცირებულად ვიგრძენი თავი, როცა მე, მარტოხელასა და შშმ ადამიანს, რომელსაც გადაადგილება მიჭირს, იმიტომ არ მეკუთვნის თურმე სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარება, რომ იატაკზე პარკეტია, თუმცა კი არ აგია, დევს და საერთოდ, სრულადაა დაზიანებული.

მ.ვ., 50 წ., ქალი, პენსიონერი: ვხედავ პროგრამებს, ტელევიზორშიც ვუყურებ. ბინას ჰყავს წარმომადგენელი, მეუბნება, ძალა არ გაგვაჩნია, მუნიციპალიტეტს არა აქვს საშუალებაო.

შ.შ., 30 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი: საახალწლოდ, სააღდგომოდ დახმარება იყო, რომ მივედი, ჩაწერილი არ ხარ ქუთაისში და არ გეკუთვნისო. ოთხი შვილი მყავს, მამისგან მიტოვებული. მარტოხელა დედა ვარ.

ა.წ., 44 წ., ქალი, დასაქმებული, მრავალშვილიანი დედა: 6 შვილის დედას სტატუსიც არ მქონდა, გასულ წელს მოგვანიჭეს, ესეც არაფერს ნიშნავს.დაცინვაა. სახელმწიფოდან ხდება მხოლოდ ელემენტარული ელექტროენერგიის სუფსიდირება. ჩვენი არჩევანია მრავალშვილიანობაც, მაგრამ ელემენტარული თანადგომაა საჭირო, საშემოსავლო მაინც იყოს ცოტა ნაკლები, ისევ ჩვენი გამომუშავებული თანხიდან.

ნ.დ., 35 წ., ქალი, დიასახლისი, მრავალშვილიანი დედა: 11 არასრულწლოვანი შვილი მყავს, მჭირდება ბავშვთა კვება, წამლები, პამპერსი, ბავშვთა მოვლის საშუალებები. კატასტროფული ფასი აქვს პედიატრიულ წამლებს. ტელევიზიით გადიოდა რეკლამა, მრავალშვილიანობა კარგიაო. კარგია, უბრალოდ, დაფასებაა საჭირო.

მ.ც., 65 წ., ქალი, შშმ პირი: ყველაზე პრიორიტეტული ეკონომიკური განვითარების პრობლემაა, რაც აისახება მოსახლეობაზე. ემიგრანტების უმრავლესობა ქალია. ქალის, დედის გარეშე დარჩენილ ოჯახებს რა ნეგატიური მომავალი აქვს, ეს ყველამ ვიცით.

ნ.ჩ., 45 წ., ქალი, დასაქმებული, შშმ პირი: ჩვენ გვქონდა რამდენიმე პროგრამა, ეს იყო შშმ პირებისთვის მუსიკალური და სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრის შესწავლა, კომპიუტერის და უცხო ენის შემსწავლელი კურსების გახსნა. დაგვაფინანსა მერიამ, სამთვიანი კურსები გავიარეთ და არ მინდა, ეს დავკარგო. დასაქმება არის ჩვენთვის მიუღწეველი საკითხი. სადაც გავაგზავნე სივი და ვთქვი, რომ მჭირდება დასაქმება, შემიძლია მეტყველება, აზროვნება, რომ ფეხით ვერ დავდივარ. შემიძლია ნებისმიერ ადგილზე მისვლა, თუ გარემო ადაპტირებულია. ვითხოვთ გამუდმებით, რომ ხელისუფლებამ შეგვიქმნას გადაადგილების საშუალება. შემოვიდა ახალი ავტობუსები, მაგრამ ავტობუსამდე მისვლა გინდა. იმხელა ბარდიურებია, გაჩერებამდე ვერ მიდიხარ. თუ ვინმე დავიხმარე და ჩემი საქმისთვის მოვაცდინე, მაშინ რა ადაპტირება ჰქვია ამას. ვიბრძვით, რომ ყურადღება მოგვაქციონ. ბევრი რამ შეგვიძლია, მაგრამ ხელის შეწყობა გვჭირდება.

მ.ქ., 67 წ., ქალი, დასაქმებული: მოსახლეობამ არ იცის, რა პროგრამებია, ხალხამდე არ მიდის ინფორმაცია. არა მგონია, ვინმე სწავლობდეს ქუთაისის მოსახლეობაში არსებულ პრობლემებს, რა მჭირდება, ან ოჯახს რა სჭირდება. ადგილობრივი ხელისუფლებისგან არც ანალიზი კეთდება.

ფ.ხ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ საკითხებში: ჩვენი ბიუჯეტი მოწყვლად ჯგუფებზეა გათვლილი. შშმ ადამიანებზე - კერძოდ, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები, ფენილკეტონური დაავადების მქონე ბავშვები სპეციალური კვებისათვის მიემგზავრებიან თბილისში, რადგან სპეცკვების პროდუქტები ქუთაისში არ იყიდება. გაიზარდა ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა 0-დან 18 წლამდე.

თქვენი დაკვირვებით ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხე (ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური) როგორ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე? (შემოხაზეთ 3 ყველაზე ძირითადი)

ა) გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა - 167 (76,95%), ბ) თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - 93 (42,85%), გ) გამოკვეთილია უიმედობა, მომავლის შიში - 96 (44,23%), დ) იზრდება ფსიქოლოგიური პრობლემი - 94 (43,31%), ე) იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაციადა კონფლიქტები - 37 (17,05%), ვ) გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები - 50 (23,04%), ზ) იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი - 87 (37,32%), თ) მაღალია დაუცველობის შეგრძნება - 51 (23,50%).

ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხე (ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური) როგორ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე?



რეკომენდაციები

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა სარეკომენდაციო წინადადებები ადგილობრივი სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებისთვის:

- ბენეფიციარების გამოკითხვით და გარკვეული კორექტივების შეტანა არსებული პროგრამების სარგებლიანობის შესწავლა
- ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოსახლეობამდე მიტანა
- მუდმივი კომუნიკაცია და კონსულტაციები მოსახლეობასთან, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან
- მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის საჭიროებების შესწავლა და მათზე მორგებული პროგრამების შემუშავება

- ქალთა ეკონომიკური საქმიანობისა და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების გააქტიურება
- ქალების პროფესიული გადამზადება, შემდგომი დასაქმება და საჭირო ინვენტარის შეძენა
- ახალგაზრდების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა
- ტურისტული სექტორის რეაბილიტაცია
- მერის წარმომადგენლების, ადგილობრივი დეპუტატების და ბინის წარმომადგენლების საქმიანობის გააქტიურება მოსახლეობისთვის არსებული პროგრამების ინფორმირების მიზნით
- ინფრასტრუქტურის, სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამების, საბინაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- სამშობიაროში ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალური დახმარების შესახებ მესამე და შემდეგი შვილის შეძენისას
- შშმ პირებისთვის მობილური ჯგუფის გამოყოფა გადაადგილებაში დასახმარებლად
- სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ქალაქში (ნაგვის ურნების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის გაზრდა, საპირფარეშოების განთავსება, მიუსაფარი ცხოველების გადაყვანა თავშესაფარში)
- ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა (რეკრიაციული ზონების გაზრდა, მარადმწვანე ხეების დარგვა, სკვერების მოწყობა, მეტალურგიული ქარხნის ეკოლოგიური საფრთხის განეიტრალება ფილტრების გამოყენებით, ოღასკურას არხის გაწმენდა)
- უნიკალური მონაცემების მქონე და ნიჭიერი ბავშვების მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება
- ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამის შექმნა
- მეტი ყურადღების მიქცევა მარტოხელა დედებს, მრავალშვილიან დედებს, შშმ პირებს, პენსიონერებს
- ყველა უბანში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სპორტული და კულტურული დაწესებულებების (ცეკვის, ფანდურის შემსწავლელი წრეები) შექმნის ხელშეწყობა
- ქალებისა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

ხათუნა გოგუა

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის მიერ 2021 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის (ქალთა) ადამიანური უსაფრთხოების ხარისხისა და გენდერული საჭიროებების შეფასებას. საჭიროებების შეფასება მოხდა კვლევიდან მიღებული მონაცემების ანალიზის სა-

ფუძველზე, შესაბამისი მიგნებების, ტენდენციების გამოკვეთით და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებით.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვების ფორმატით. რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული ანკეტა. მონაცემები შეგროვდა Google-ის, თვისებრივი მონაცემების კი ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების ფორმატით. სულ ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი და 4 პირისპირ ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (თვითმმართველობის წარმომადგენლებთან).

ძირითადი ინფორმაცია

რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად ონლაინ ანკეტირების პროცესში ჩართული იყო 150 ქალი. თვისებრივი მონაცემების შეგროვების პროცესში მონაწილეობდა 33 ადამიანი, მათ შორის ერთი მამაკაცი (ადგილობრივი ექსპერტი). ვინაიდან გამოკითხვა მიზნად ისახავდა ქალთა საჭიროებების შესწავლას, სამიზნე ჯგუფს ქალები შეადგენდნენ. მცირე გამონაკლისს წარმოდგენდნენ ექსპერტები, რომლებიც პირისპირ ინტერვიუს ფორმატში იყვნენ ჩართულნი. კლევამ გამოკვეთა ის ძირითადი საფრთხეები, რომელთა არსებობა დაბლა სწევს ადამიანური უსაფრთხოების ხარისხს ქალებში.

სულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარებულ გამოკითხვაში ჩაერთოა 183 ადამიანი(182 ქალი, ერთი მამაკაცი).

I ბლოკი: კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

წინამდებარე საჭიროებათა კვლევაში ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ქალები 18-დან 65 წელს ზევით შემდეგი სოციალურ დეოგრაფიული მახასიათებლით: დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები, პედაგოგები, ექიმები, მეწარმეები, თემის ლიდერები, პენსიონერები, ახალგაზრდები, ადგილობრივი ექსპერტები და სხვ.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა **ასაკობრივი ზღვარი** შემდეგნაირად გადანაწილდა: 18-დან 30 წლამდე კატეგორიაში მოხვდა 54%. 31-დან 45 წლამდე კატეგორია მოიცვა 22,66%-მა. 45-დან 65 წლამდე - 16,66%. 65 წელს ზევით კატეგორიაში დაფიქსირდა 6%, ხოლო 1-მა რესპონდენტმა არ დაასახელა თავისი ასაკი **(დიაგრამა 1).**

სოციალური სტატუსის მიხედვით გამოკითხვაში ჩართულ რესპონდენტთა დიდი ნაწილს - 78%-ს ადგილობრივები შეადგენდნენ. აფხაზეთიდან იგპ პირები - 12%. გამოკითხულთა შორის

12% სოციალურად დაუცველია, 2,66% - მრავალშვილიანი დედა. მარტოხელა დედის სტატუსის მქონე ქალების რიცხვმა 4% შეადგინა, 0,66% შშმ პირია.

საქმიანობის ტიპის მიხედვით გამოკითხვაში მაღალი აქტიურობა ჩანს სტუდენტთა მხრიდან, გამოკითხულთა შორის 27,33% სტუდენტი დაფიქსირდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ მიღებულ მონაცემებში ახალგაზრდების პოზიციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დასაქმებულთა კატეგორიაში აღმოჩნდა და 24,66% შეადგინა. ამ მონაცემს მცირედით ჩამორჩება უმუშევარ ქალთა რაოდენობა - 20,66%. შემდეგ მოდის კერძო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი - 12%. სასოფლო-სამეურნეო საქმით დაკავებულია 4% **(დიაგრამა 2).**



II ბლოკი: ეკონომიკური უსაფრთხოება

აღნიშნული ბლოკში თავმოყრილი მონაცემების საუძველზე ირკვევა, რამდენად მყარია ქალთა ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელი და, ძირითადად, რა **შემოსავლებს ეფუძნება.** გამოკითხულთა უმრავლესობა - 52% სახელმწიფოსგან მიღებულ სახელფასო ანაზღაურებას ეყრდნობა. საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად გზავნილებს იყენებს 23,33%, ხოლო 22%-ისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს საპენსიო თანხა წარმოადგენს. საოჯახო მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებს მიიჩნევს ოჯახის ძირითად წყაროდ 15,33%. სოციალურად დაუცველის სტატუსით განსაზღვრული შემწეობიდან მიღებული თანხით ცხოვრობს 12%, ახლობლის დახმარების იმედზეა 8%.

მნიშვნელოვანია, რომ სტატუსის მიხედვით დევნილ და ადგილობრივ ქალთა სეგრეგაციით მიღებულ მონაცემებში ადგილობრივთა 85,89%-ისთვის შემოსავლის წყაროს სახელფასო ანაზღაურება წარმოადგენს, დევნილებს შორის სახელფასო ანაზღაურებას მხოლოდ 5,12% იღებს. საყურადღებოა, რომ დევნილი ქალების დიდი ნაწილისთვის დღემდე შემოსავლის წყაროა დევნილთა შემწეობა და სხვა სახის შემოსავლები, რაც ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული მასალებითაც დასტურდება:

„დღემდე ჩემი ოჯახის შემოსავლის წყაროა დევნილთა შემწეობა, ან ნათესავები თუ გამოგვიგზავნიან რუსეთიდან. ორმა შვილმა უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ რად გინდა? სამსახური არა აქვთ. პატარა ბიზნესი წამოიწყეს, მაგრამ არაა სტაბილური. სახელმწიფო სამსახურში ვინ მოხვდება, ან სადაა ამდენი სამსახური. გაქცევაზე უჭირავთ თვალი. შემოსავალი ხომ უნდა ჰქონდეს ოჯახს, რომ რამე დაგეგმო.“ - მ.პ., 62 წლის, დევნილი, დასაქმებული.

(დიაგრამა 3)



როგორც გამოკითხვიდან იკვეთება, გარდა სახელფასო ანაზღაურებისა, მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ძირითადი წყაროს სხვა ქვეყნებიდან მიღებული ფულადი გზავნილებია. ეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს **ქალთა მიგრაციის აქტუალობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და ხაზს უსვამს ქალებისათვის საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობის უპირატესობას,** რაც ოჯახების შემოსავლით უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

რაოდენობრივი მაჩვენებლის პარალელურად მიღებულ თვისებრივ მონაცემებში იკვეთება, **რომ ადამიანური უსაფრთხოების ეკონომიკურ მაჩვენებელში პრიორიტეტულ პრობლემებს შორის სახელდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, რაც მათი ოჯახის შემოსავლის შემცირებას უკავშირდება.** კვლევაში ჩართული ქალები მკაფიოდ მიანიშნებენ პანდემიის ნეგატიურ ზეგავლენაზე, რაც ასეთივე ნეგატიური მოლოდინის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს.

„პანდემიამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ოჯახებს ფინანსური კუთხით. სამუშაო ადგილები ისედაც მცირე იყო, მაგრამ მაინც ახერხებდა ხალხი საარსებო წყაროს გამონახვას: ზოგი ბაზრობაზე, ზოგი ყოველდღიურ ქირაზე, ზოგი მომვლელად, დამლაგებლად მუშაობდა. ასეთი სამუშაოები სრულიად გაქრა და ყველაფერი დაიკეტა. საშინელი შიში არსებობს, რა გავაკეთოთ, ხვალ რა იქნება, რითი ვიკვებოთ, რითი ვიარსებოთ“ - მ.დ., 43 წლის, დევნილი, დასაქმებული.

„ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა სწავლა შეაჩერა, იმიტომ, რომ ოჯახები სწავლის გადასახადს ვერ იხდიან. ოჯახებში გაჩნდა კითხვის ნიშნები ბევრ საქმესთან დაკავშირებით, მაგალითად სახლის მშენებლობა შეაჩერეს, ვიღაცამ დაოჯახება გადაიფიქრა და ასე შემდეგ, უამრავი ახალი პრობლემა შეიქმნა“ - მ.დ., 36 წლის, ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი.

რაოდენობრივი გამოკითხვით მიღებულ მონაცემებში **ქალთა ეკონომიკური კუთხით გაძლიერების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის** ყველაზე მაღალი მაჩვენებლით - 68% დასაქმების ნაკლები პერსპექტივები შეფასდა. დაბალი ფინანსური შემოსავალი 47,33%-ისთვის ითვლება შემაფერხებელ ფაქტორად, 34%-ის აზრით, იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში ამუხრუჭებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივებს. გამოკითხულთა 10,66% მიიჩნევს, რომ კოვიდ-19 შედეგად შეწყვეტილი საქმიანობის აღდგენის კუთხით ხელშემწყობი პროგრამები არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკის გაძლიერებას. 20%-ისთვის შემაფერხებელ ბარიერად მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები მიიჩნევა. 19,33% მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარდაჭერის უფასო სერვისები მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რაც მნიშვნელოვანი ბარიერია ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით **(დიაგრამა 4).**



აღნიშნულ პრობლემებზე პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს გამოკითხულთა ერთი ნაწილი, რაც თვისებრივი კვლევიდან მიღებული მონაცემებით დასტურდება.

„პანდემიის შედეგად გაჩენილი პრობლემების შემდეგ ხალხს არა აქვს არანაირი შეთავაზე სახელმწიფოს მხრიდან, როგორ დაუბრუნდნენ ადრინდელ მდგომარეობას, შეუძლებელია, ბიზნესი თავიდან დაიწყო, თუ რაიმე სახის მხარდაჭერა არ წამოვიდა ხელისუფლებისგან. სესხი გაუჩერეს, თუმცა გაჩერებული სესხების გადახდა კიდევ უფრო მეტი დანამატით უწევთ“ - ე.დ., 54 წლის, ადგილობრივი, უმუშევარი.

თვისებრივ მონაცემებში რესპონდენტები მიანიშნებენ ქალთა მხარდამჭერი პროგრამების დანერგვის აუცილებლობაზე, რაც საბავშვო ბაღებში დროის გახანგრძლივებას უკავშირდება.

„თუ ქალს ოჯახში დამხმარე არ ჰყავს, მუშაობას ვერ იწყებს, რადგან ბავშვებს ბაღიდან, სკოლიდან გამოყვანა უნდა და ამის დრო არ აქვთ. თუ ქალს არ მიეცა დასაქმების სფეროში უფრო მეტი შეღავათი, ან არ გახანგრძლივდა საბავშვო ბაღების მუშაობის საათები, ბავშვიანი ქალი ვერასდროს ვერ დაიწყებს მუშაობას, სულ ხელი შეეშლება“ - თ.კ., 32 წლის, ადგილობრივი, მრავალშვილიანი.

რამდენად იცნობენ ქალები სოციალურ ეკონომიკური გაძლიერებით ხელშეწყობის მიზნით არსებულ სახელმწიფო პროგრამებს, ყველაზე მეტად რომელ პროგრამას იხსენებენ - აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხვით მიღებული მონაცემები გვიდასტურებს, რომ გამოკითხულთა 54%-ისთვის ნაცნობი პროგრამაა „აწარმოე საქართველოში“. საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებს ამდენივე - 54% იცნობს. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა ნაცნობია 17,33%-ისთვის. სხვადასხვა პროფესიული განვითარების გადამზადების პროგრამაზე ინფორმაცია აქვს 4,6%-ს, ხოლო გამოკითხულთა 34%-ს საერთოდ არა აქვს ინფორმაცია არსებულ პროგრამებზე. არაინფორმირებულთა კატეგორიაში, ძირითადად, ჭარბობენ ადგილობრივი ქალები. მიღებული მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ინფორმირების კუთხით ახალი ფორმატის დანერგვის და ამუშავების აუცილებლობას **(დიაგრამა 5).**



გამოკითხულთა უმრავლესობა - 54,66% მიიჩნევს, რომ საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმნელად ყველაზე მეტად საჭიროა ხელმისაწვდომი კრედიტები; 48,66% მცირე ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამებს ანიჭებს უპირატესობას. 46,66%-ის აზრით, მნიშვნელოვანი საშუალებაა სახელმწიფოს მხრიდან საგრანტო პროგრამების არსებობა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს ანიჭებს უპირატესობას 40%. 19%-ის აზრით, უნდა არსებობდეს ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები. 14% საკონსულტაციო სერვისების არსებობას ანიჭებს უპირატესობას. 2,66% მიიჩნევს, რომ მოსახლეობის მეტი ინფორმირებაა საჭირო არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე.

მიღებული მონაცემების შესაბამისად მნიშვნელოვანია მუნიციპალური საგრანტო პროგრამების დანერგვა თვითდასაქმების ხელშესაწყობად.

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება სახელმწიფოს მიერ მხარდაჭრილი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს გარკვევა. იკვეთება, რომ **ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ გამოკითხულთა პირველწყარო** ძირითად შემთხვევაში არის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი, რასაც გამოკითხულთა 52% ადასტურებს. 50,6% ონლაინ მედიასაშუალებებს და ფეისბუქგვერდებს იყენებს ინფორმაციის მისაღებად. 38,66% ინფორმაციას ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით იღებს. 17,33% ინფორმაციის პირველწყაროდ არასამთავრობო ორგანიზაციებს ასახელებს. 3,33% კი - მეზობლებს და ნაცნობებს. ცენტრალური ხელისუფლების/სამინისტროს ვებგვერდს 9% ეცნობა. საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 9% აფიქსირებს პირველწყაროდ მერის წარმომადგენლებს და 4,66% - ადგილობრივ დეპუტატს.

აღნიშნულ მონაცემებს მნიშვნელოვნად ამყარებს თვისებრივი მონაცემების შეგროვებით მიღებული პასუხები:

„მუნიციპალიტეტს აქვს ელექტრონული გვერდი, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს და ნახოს ყველა პროგრამა, გაერკვეს,რაც მას აინტერესებს. ბევრს აქვს ინტერნეტი, მაგრამ ეზარება მოძიება“ - მ.თ., 65 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„ჩვენს დასახლებაში სრულ ინფორმაციას არ ფლობენ, თუ რა სახის დახმარებები აქვს მერიას.

უფრო იციან ის მიმართულებები, რომლებიც მათ აინტერესებთ. პირადად მე ინფორმაციებს ვგებულობ მეზობლებიდან, ინტერნეტის გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ბევრს არ აქვს ინტერნეტი, ან არ იცის როგორ ან სად მოძებნოს ეს პროგრამები“ - თ.გ., 54 წლის, დევნილი, დასაქმებული.

„ვისაც აინტერესებს საჭირო ინფორმაცია, ის თვითონ იძიებს. მე მინახავს კმაყოფილი მოქალაქე, რომელმაც ისარგებლა წამლების პროგრამით. ერთმა ქალმა მეორეს უთხრა და ასე „პანდემიასავით“ ვრცელდება ინფორმაცია“ - მ.ბ., 57 წლის, მრავალშვილიანი დედა.

„პირადად მე ინტერნეტის მეშვეობით ვგებულობ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციას და თუ რამის დაზუსტება მინდა, მერე უშუალოდ მივდივარ მერიაში. ადგილზე ყოველთვის ვღებულობ ამომწურავ პასუხებს“ - მ.გ., 41 წლის, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი.

„მაგალითად, მე სამი შვილის დედა გახლავართ და როდესაც მესამე შვილი შემეძინა, პირადად დამირეკეს სოციალური სამსახურიდან და მითხრეს, რომ თქვენს შვილს ეკუთვნის 2 წლის განმავლობაში ფულადი დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით, რა თქმა უნდა, მივედი და მივიღე კუთვნილი დახმარება“ - ს.დ., მრავალშვილიანი დედა, სოციალურად დაუცველი.

რა უშლის ხელს ქალებს, მათი ოჯახის წევრებს მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციები? - საგულისხმოა, რომ პასუხებს შორის, რესპონდენტთა მაღალი მაჩვენებელი - 77,33% აღნიშნავს, რომ არასაკმარისი კომუნიკაცია არსებობს მოსახლეობასა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს შორის. უნდა **აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 14,66% არ ინტერესდება ეკონომიკური გაძლირებისკენ მიმართული** სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით, რასაც საფუძვლად უდევს საზოგადოებაში არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება, დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი. 3,33% აღიარებს, რომ საერთოდ არა აქვს ინტერნეტი და ინფორმირების ამ სერვისის მიღმა რჩება **(დიაგრამა 6).**

„აქტიურობა აკლიათ ქალებს, ვიღაცამ უნდა გააქტიუროს. ყველას უნდა სახლში მორთმეული. მერე როცა გაიგებენ, ვიღაცამ რაღაც პროგრამაში გაიმარჯვაო, ატყდება ამბავი. მე რატო არ ვიცოდი? არ იცოდი იმიტომ, რომ არც გიკითხავს. ესაა სიმართლე, სხვას ნუ დავაბრალებთ ყველაფერს“ - ნ.დ., 39 წლის, დასაქმებული, ადგილობრივი.



რა უნდა გაკეთდეს არსებული სურათის შესაცვლელად, გამოკითხული ქალები საკუთარ ვერსიებს გვთავაზობენ:

„უფრო მეტად ჩაერთოს ინფორმირების პროცესში მაჟორიტარი დეპუტატი. თვეში ერთხელ კი არა, კვირაში ერთხელ ჩამოვიდეს და კონკრეტულ პრობლემებზე სასაუბროდ მივიდეს მოსახლეობასთან“ - მ.დ., 42 წლის, დასაქმებული, დევნილი.

„უფრო მეტად ინფორმირებული უნდა იყო ხალხი, ამას რამდენიმე რესურსის ამოქმედება სჭირდება. ჩვენ გვქონდა წყალტუბოში ტელევიზია და ძალიან კარგი იყო, რომ არსებობდეს ტელე-

ვიზია, ინფორმაციის მიწოდების კუთხით ბევრ პრობლემას მოხსნიდა“ - მ.ფ., 46 წლის, დასაქმებული, ადგილობრივი.

III ბლოკი: სასურსათო უსაფრთხოება

სასურსათო უსაფრთხოება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს ადამიანური უსაფრთხოების კომპონენტებს შორის. გამოკითხვაშიც ნათლად იკვეთება, რომ ამ სფეროში არსებული საფრთხის შემცველი ელემენტების სიმრავლე და წარმოქნილი რისკები ქალთა მღელვარებას განსაკუთრებით ამძაფრებს. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი ოჯახის წევრებს არა აქვთ საშუალება, გამოიყენონ ხარისხიანი და მრავალფეროვანი საკვები პროდუქტები. 90,66% **ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევს საკვები პროდუქტების მაღალ ღირებულებას. მომდევნო ეტაპზე სახელდება ხარისხიანი პროდუქტის არარსებობა, რაც აღელვებს 75,33%-ს.**

IV ბლოკი: საზოგადოებრივი უსაფრთხოება

საზოგადოებრივი უსაფრთხოება საკმაოდ ვრცელია თავისი კომპონენტებით და ამ სეგმენტში არსებული საფრთხეების კომბინაცია განპირობებულია ინფრასტრუქტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში არსებულ პრობლემათა სიმრავლით.

რაოდენობრივი მაჩვენებელი პირდაპირ გვეუბნება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პრობლემები: გზები, სასმელი წყლის დეფიციტი, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა - ყველაზე აქტუალური და პრიორიტეტულია ქალთა ჯგუფებისთვის და მათი უფლებების დარღვევის მაღალ ნიშნულზე მიუთითებს.

გამოკითხულთა 40% ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ტრანსპორტის გაუმჯობესების საკითხი. 35,33% საკანალიზაციო სისტემის გამართვაზე აკეთებს აქცენტს. 30% თვლის, რომ პრიორიტეტულია სოფლის შიდა გზების მოწესრიგება. სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები აღელვებს გამოკითხულთა 23,33%-ს. ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისებია პრიორიტეტული 21,33%-ისთვის. ამდენივე ადამიანი სანიაღვრე არხების არარსებობაზე ითხოვს ყურადღებას. წყლის გაყვანილობა და სასმელი წყლის არარსებობა პრობლემებს უქმნის 20,66%-ს. ფეხით მოსიარულეებისთვის ტროტუარების და ბორდიურების არარსებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა 19,33%-ისთვის. 16,6% მიიჩნევს, რომ სკოლისგარეშე წრეები უნდა არსებობდეს ბავშვებისთვის **(დიაგრამა 7).**

ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური



საინტერესოდ ემთხვევა ამ მონაცემებს ჩაღრმავებული ინტერვიუდან მიღებული პოზიციაც - ექსპერტი საავტომობილო გზების გაუმართაობას და წყლის პრობლემას ეხება:

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და სასმელი წყლის მოწყობა. სოფლების ძირითად ნაწილში არის ჭები, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა. ზაფხულში და გვიან შემოდგომამდე წყლები შრება და ჭებში წყალი თითქმის არ არის. არსებული პრობლემების ერთიანად მოგვარება ვერ ხერხდება, რადგან ბიუჯეტში არ არის ამდენი ფინანასები“ - ადგილობრივი ექსპერტი, თვითმმართველობის წარმომადგენელი.

რაოდენობრივ მაჩვენებელს ფეხდაფეხ მისდევს ფოკუს-ჯგუფებით მიღებული თვისებრივი მონაცემებიც: დისკუსიიდან მიღებული ინფორმაციები უფრო მკაფიოს ხდის ქალთა საჭიროებებს:

„კანალიზაციის პრობლემა ჩვენს ქალაქში მწვავედ დგას. ვიცით, რომ ეს ყველაფერი დიდ თანხებს უკავშირდება, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა გაკეთდეს?! დღემდე ეს პრობლემა მოუგვარებელია“ - დ. გ., 39 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„ყველაფრის მოთმენა შეიძლება, მაგრამ ქალი ვერ გაძლებს წყლის გარეშე. როგორც კი ზაფხული დგება, მაშინვე იწყება წყლის დეფიციტი. გამოცვალეს სისტემა, თითქოს უნდა მოგვარებულიყო პრობლემა, მაგრამ მაინც წყლის სიმცირეა, როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში“ - ა.პ., 61 წლის, ადგილობრივი, მრავალშვილიანი დედა.

ქალთა პრობლემების, ქალთა საჭიროებების ნუსხაში ხვდება ბავშვებისთვის გასართობი ადგილების კეთილმოწყობა.

„ჩემი უბნიდან ცენტრალური პარკი შორსა. პრობლემა პირველ რიგში ბავშვთა გასართობი ადგილების კეთილმოწყობაა, ღმერთის წყალობით მრავლად გვყავს პატარები, სხვადასხვა უბნიდანაც ჩამოდიან ჩვენს ქუჩაზე გასართობად და ბავშვთა გასართობი ადგილები უკეთესად უნდა იყოს მოწყობილი, ამ დროს დედები უფრო მშვიდად ვართ, რადგან ჩვენი შვილების უსაფრთხოება დაცულია“ - ე.კ . 32 წლის, დასაქმებული.

ქალთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მრავალშვილიანობა ოთხი შვილით არ უნდა იზომებოდეს და რაიმე სახის პროგრამა უნდა არსებდეს სხვა კატეგორიის დედებისთვის, რადგანაც მათი მოწყვლადობაც გასათვალისწინებელია.

„3 შვილის დედა ვარ, შესაბამისად, მრავალშვილიანად არ ვითვლები. მეოთხეს თუ გავაჩენ, იმ შემთხვევაში ვიქნები მრავალშვილიანი, 3 შვილს ისე ვზრდი, დამხმარეც არავინ მყავს, ჩემნაირ კატეგორიას არავინ არ ეხმარება, არც არანაირი შეღავათი არ არსებობს, მაინცდამაინც სოციალურად დაუცველი უნდა იყო, რომ რამე პროგრამაში მოხვდე“ - მ.გ., 31 წლის, უმუშევარი, ადგილობრივი.

გამოიკვეთა მარტოხელა დედის სტატუსთან მიმართებაში არსებული პრობლემები.

„ვარ მარტოხელა დედა, მაგრამ სტატუსი არ გამაჩნია. ოფიციალურად არ მაქვს საბუთი გაკეთებული. ბევრს აქვს ეს პრობლემა და, ვფიქრობ, ოფიციალური სტატუსი არ უნდა წყვეტდეს ყველაფერს. კრიტერიუმებია გასამარტივებელი, რომ ჩემი კატეგორიის დედები მოხვდნენ დახმარების კატეგორიში. წლებია, მარტო ვზრდი შვილს და იმიტომ რომ სტატუსი არ მაქვს, არც შეღავათები მაქვს. ბავშვი დედის გვარზე თუ არის, მაშინ ითვლება დედა მარტოხელად. ეს ბევრ პრობლემას ქმნის“ - ნ.მ, 50 წლის, დაუსაქმებელი, დევნილი.

საჭიროებათა ჩამონათვალში ხვდება ადგილობრივი სოციალური პაკეტები პენსიონერებისთვის.

„წყალტუბოს სამკურნალო მასაჟები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მკურნალობას ბევრი წყალ-ტუბოელი ვერ ახერხებს, იმიტომ რომ პენსიონერებისთვის საკმაოდ ძვირია. ყოველთვის მქონდა ოცნებად და დღესაც მაქვს წინადადება, ადგილობრივ მერიას ჰქონდეს სოციალური პაკეტი, ან თანადაფინასების პროგრამა, ბევრი მსურველი გამოჩნდებოდა“ - ნ.მ., 54 წლის, დასაქმებული, ადგილობრივი.

თვისებრივ მონაცემებში კიდევ ერთი მოწყვლადი ჯგუფის საჭიროება გაჟღერდა:

„18 წლის შემდეგ, შშმ პირი როდესაც უკვე სახლში ჯდება, მისთვის დასაქმების ყველა გზა ჩაკეტილია. 18 წლამდე ამ კატეგორიაზე სახელმწიფო ზრუნავს. 18 წლის შემდეგ მათი საჭი-როება ნაკლებად არის გათვალისწინებული და უამრავი ბარიერი ხვდებათ ცხოვრებაში. ვიყავი ერთ-ერთ ორგანიზაციაში ქუთაისში და ძალიან მესიამოვნა, რომ სწავლობდნენ ხელნაკეთი ნივთების გაკეთებას. სასურველია, მსგავსი პროგრამები წყალტუბოშიც იყოს“ - ხ.დ., 54 წლის, ადგილობრივი, შშმ პირის მშობელი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემების აქტუალობა რაოდენობრივ მაჩვენებელში გარკვევით აისახა. გამოკითხული ქალების ნახევარზე მეტი - 62% მიიჩნევს, რომ სერიოზულად აძლიერებს მათ შიშებს გაზრდილი კრიმინალი. მათ შორის 71% ადგილობრივია, 10% - დევნილი. მომდევნო ადგილზე სახელდება ალკოჰოლიზმი და ნარკომანია - 36%. 26,66% სერიოზულ საფრთხეს ხედავს საქართველოში კონფლიქტების ექსკალაციის განვითარების კუ-თხით. იმდენივე ადასტურებს, რომ განსაკუთრებით აფრთხობს გაუმართავი საგზაო მოძრაობა, რაც გაზრდილი ავტოავარიების რიცხვს უკავშირდება. 22% მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტუ-რაში ხედავს საშიშროებას. 20% ამჩნევს, რომ საზოგადოებაში დისკრიმინაციის მაღალი დონეა. 19,33%-ის აზრით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობის დაბალი ხარის-ხია.



„ვხედავთ, რომ დაიწყო ბინების დაყაჩაღება. საზრუნავი ისედაც არ გვაკლდა და კიდევ ამის შიში, ვინმე არ შემოგვივარდეს, მეტისმეტია. ყველაფერი ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება შემ-დგომში“ - ნ.დ., 65 წლის, ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი.

„სად იყო ამდენი ავტოავარია, არ არის საგზაო წესები მოწესრიგებული, „პრავას“ ყველას აძლე-ვენ და მანქანის ტარება არ იციან, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, გული მოგიკვდება“ - ნ.გ., 62 წლის, დევნილი.

კვლევიდან მიღებული მონაცემები ნათელყოფს, ქალთა საჭიროებების ჩამონათვალში თუ რა ადგილს იკავებს **განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები.**

ყველაზე მეტი რესპონდენტი - 38% აფიქსირებს, რომ პრობლემა სწავლების დაბალი ხარის-

ხია. აღნიშნულ მონაცემს ოდნავ ჩამორჩება 35,33%, რომლისთვისაც სკოლებში არ არსებობს შესაბამისი აღჭურვილობა, სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტები. 28,66% მიიჩნევს, რომ არასაკმარისია პროფესიონალი პედაგოგები. 27,33% ასახელებს, რომ არ არსებობს გამართული სასკოლო ინფრასტრუქტურა, 26%-ის აზრით, დისტანციური პროცესის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მაღალი სიხშირის ინტერნეტი არარსებობა ხშირად იწვევს სერიოზულ ხარვეზებს განათლების მიღების თვალსაზრისით. 8,66%-ის აზრით, სკოლა შორსაა სახლიდან, რაც განათლების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის.

V ბლოკი: ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ადამიანური უსაფრთხოების ერთიან სისტემათა ჯაჭვში ერთი რომელიმე რგოლის მოშვება ახალი რისკების წარმოშობას უკავშირდება და პირდაპირ თუ ირიბად ყველაზე მეტად ჯანმრთელობის უსაფრთხოების სეგმენტში აისახება. ციფრების ენაზე პირდაპირ იკითხება, რომ გამოკითხულ ქალთა დიდი ნაწილი - 79,33% ცალსახად ადასტურებს, რომ მედიკამენტებზე არსებული მაღალი ფასები ჯანმრთელობის სფეროში არსებულ რისკებს აძლიერებს, რაც საფრთხეს კიდევ უფრო ზრდის.

პრიორიტეტულ პრობლემათა ჩამონათვალში უფასო სამედიცინო მომსახურების არარსებობას ასახელებს გამოკითხულთა 48,66%, რაც სერიოზული სიგნალია საზოგადოების მხრიდან და ამ მიმართულებით რეფორმების გატარების აუცილებლობაზე მიანიშნებს. 25,33% პირდაპირ გვამცნობს, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული ჯანდაცვის პრობლემებზე, რაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნევა.

18%-ის აზრით, სამედიცინო პერსონალის სიმცირე ითვლება აქტუალურ პრობლემად და ეს პანდემიამ განსაკუთრებით გამოკვეთა **(დიაგრამა 8).**



„პანდემიამ იმდენი რამე დაგვანახა, ისეთი, რაც მანამდე არ ვიცოდით, პირველ რიგში ის, რომ სამედიცინო პერსონალი არ გვყავს საკმარისი, მართალია პანდემიისთვის არ ვიყავით მზად, მაგრამ ვერ მოხერხდა სამედიცინო პერსონალის გადაწყობა და მაინც გვაკლია პერსონალი საჭიროების დროს“ - ნ.დ., 69 წლის, ადგილობრივი.

„რატომ უნდა კეთდებოდეს ყველა რთული ოპერაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. იმდენი ფულია გადახდილი თითო ოპერაციაში. მოამზადონ ჩვენი კადრები, გაუშვან ჩვენი სტუდენტები და პროფესიონალებს მისცენ მეტი გასაქანი“ - ბ.გ., 51 წლის, პენსიონერი, დევნილი.

კითხვაზე, ჯანმრთელობის გაუარესების დროს როგორ ახერხებენ პრობლემის გადაჭრას აღ-

სანიშნავია, რომ გამოკითხულთა 44% თვითმკურნალობას ეწევა. მიღებული მონაცემების გაფილტვრით ირკვევა, რომ ეს პასუხი 40-დან 65-წლამდე ასაკის ქალებმა გასცეს. 34,66%, ძირითადად, სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვით - მათუ უმეტესობა ადგილობრივია. გამოკითხულთა 13,33% (ადგილობრივი და დევნილი ქალები) სამკურნალოდ ექიმბაშს მიმართავს, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს შედარებით დაბალი ფასებით ან სანდოობის მაღალი ხარისხით. კერძო დაზღვევით სარგებლობს 4,66% - მათ შორის უმრავლესობა ადგილობრივი ქალია. საგულისხმოა, რომ მარტოხელა, მრავალშვილიანი დედები საერთოდ არ არიან კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა კატეგორიაში. თუ გავითვალისწინებთ არსებულ რეალობას, ეს სურათი არ იწვევს გაკვირვებას, რადგან აღნიშნული კატეგორიისთვის კერძო დაზღვევა ფუფუნებას წარმოადგენს.

VI ბლოკი: პირადი უსაფრთხოება

პირადი უსაფრთხოების კომპონენტში ოჯახური ძალადობის თემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მიღებულ პასუხებში არსებული დისბალანსი მიგვანიშნებს, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სამუშაოა. უმრავლესობა, ანუ გამოკითხულთა 35,33% მიიჩნევს, რომ ოჯახური ძალადობის პრობლემა აქტუალურია. 10%-ის აზრით - ძალიან აქტუალური. იმათ შორის, ვინც პრობლემას ძალიან აქტუალურს უწოდებს, 73,52% ადგილობრივია და 11,76% დევნილი. 26,66% არ აღიარებს პრობლემის აქტუალობას. 28%-ს არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პოზიციები აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში ეფუძნება საზოგადოების განწყობას, რაც თვისებრივი მონაცემებით არის გამყარებული **(დიაგრამა 9).**

თქვენი მოსაზრებით, რამდენად აქტუალურია ოჯახური ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?



„ბოლო პერიოდში იმდენი პრობლემა გაჩნდა: გაზრდილი ფასები პროდუქტებზე, წამლებზე, უმუშევრობა, ძალადობის პრობლემამ უკანა პლანზე გადაიწია, გაიზარდა ქალების სადარდებელი“ - ვ. დ., ადგილობრივი, პენსიონერი.

„აუცილებელია, ქალები ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ, უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფო იზრუნებს მათზე. ამ მხრივ არის ინფორმაციის ნაკლებობა, უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლმა არ იცის, როგორ მოიქცეს, რა ბერკეტები შეიძლება გამოიყენოს“ - დ.ს., 47 წლის, ადგილობრივი.

რაოდენობრივი მონაცემები გვიდასტურებს, რომ საზოგადოებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფსიქოლოგიური ფორმის ძალადობა, რომელიც სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატება. ამ მოსაზრებას იზიარებს გამოკითხულთა 62%. შემდეგ მოდის 24,66%, რომელიც ეკონომიკური

ტიპის ძალადობას მიიჩნევს უპირატესად, რაც გამოიხატება ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვით, ფულადი სახსრებით მანიპულირებით. ძალის გამოყენებას, ცემას, დამცირებას მიიჩნევს გავრცელებულ ფორმად გამოკითხულთა 11,33%. რაოდენობრივ მაჩვენებელში კარგად ჩანს, რომ გამოკითხულთა 35,33%-ისთვის ოჯახში ძალადობის პრობლემა აქტუალურია. ძალიან აქტუალურად მიიჩნევს ამ პრობლემას 10%. რადიკალური პოზიცია ფიქსირდება დანარჩენ გამოკითხულებში. 26,66% ამტკიცებს, რომ პრობლემა ნაკლებად აქტუალურია. 28% არ არის მზად ამ კითხვაზე გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. მიღებული მონაცემები ცხადყოფს ინფორმირების კუთხით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

გამოკითხვიდან ირკვევა, რომ 62%-ის აზრით, ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობაა. 24,66% აფიქსირებს, რომ ეკონომიკური ძალადობა საკმოდ გავრცელებულია. 11,33% ფიზიკურ ძალადობას მიიჩნევს გავრცელებულ ფორმად, ხოლო 0,66% - სექსუალურ ძალადობას.

არსებული რეალობის ფონზე მნიშვნელოვანია იმის გაგება, რამდენად არის მოსახლეობა **ინფორმირებული მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებზე.** 24,66% აცხადებს, რომ აქვს სერვისებზე მსგავსი ტიპის ინფორმაცია. ზოგიერთ მათგანს იცნობს 38%, საერთოდ არანაირი ინფორმაცია არა აქვს 3,33%-ს.

პასუხებიდან ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ - 81,08%-მა, იცის ცხელი ხაზის არსებობა. არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ სერვისებს 18,91% იცნობს. მუნიციპალური სერვისები ნაცნობია 10,81%-ისთვის. სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებულ თავშესაფრებს იცნობს 10,81%. კრიზისულ ცენტრებზე ინფორმაციას ფლობს 5,4%, ამდენივე იცნობს იურიდიული სამსახურების საქმიანობას **(დიაგრამა 10).**



ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ პირველწყაროდ 40,66% სოციალურ ქსელებს ასახელებს. 22,66% ინფორმაციას რადიოდან და ტელევიზიიდან იღებს. ანალოგიური რაოდენობა 22,66% არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციებს ეყრდნობა. საინფორმაციო ფურცლები, განცხადებები 3,33%-ის პირველწყაროა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისგან ინფორმაციას იღებს 2% **(დიაგრამა 11).**



გამოკითხვიდან ირკვევა, **არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის.** 57,33% აცხადებს რომ არასაკმარისად ხელმისაწვდომია; 8%-ისთვის საერთოდ არ არის ხელმი-საწვდომი. ხელმისაწვდომობას ადასტურებს 34,66% **(დიაგრამა 12).**



რამდენად საკმარისია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები. ამ კითხვაზე 26,66% აცხადებს, რომ ნაწილობრივ არის საკმარისი. 17,33% ადასტურებს, რომ სავსებით საკმარისია. 15,33% აფიქსირებს, რომ არასაკმარისია არსებული სერვისები. 10,66%-ის აზრით, აუცილებელია პროგრამების გამრა-ვალფეროვნება.

VII ბლოკი: ეკოლოგიური უსაფრთხოება

ეკოლოგიურ სეგმენტში არსებული საფრთხეები გამოკითხულთა წუხილს იწვევს, კითხვაზე, **როგორია თქვენს ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია გარემოს დაცვის კუთხით,** 28,66% აფიქსირებს, რომ ცუდი სიტუაციაა. 8,66%-ის აზრით, ძალიან ცუდია სიტუაცია. 6,53%-ის აზრით - ნორმალურია, 6% სიტუაციას კარგს უწოდებს **(დიაგრამა 13).**



ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა 36%. სანიაღვრე მილების არარსებობას ასახელებს 30%. დაბინძურებული ჰაერს მიიჩნევს ყველაზე საზიანოდ 25,33%. სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა აწუხებს 0,86%-ს.

VIII ბლოკი: ზოგადი კითხვები

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ფონზე როგორია თვითმმართველობასთან მოსახლეობის ურთიერთობა, ვის მიმართავენ და რა ინტენსივობით, ამ საკითხებზე ინფორმაციას კვლევიდან მიღებული შედეგები გვიდასტურებს: 46%-ს არ მიუმართავს თვითმმართველობისთვის. 16,66%-ს იმიტომ არ მიუმართავს, რადგან არ სჯერა შესაბამისი რეაგირების. 37,33% აცხადებს, რომ ჰქონია თვითმმართველობასთან ურთიერთობა **(დიაგრამა 13).**



მომდევნო კითხვიდან ირკვევა, **ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის რა ფორმას იყენებენ გამოკითხული ქალები ან მათი ოჯახის წევრები.**

დასახლების ან სოფლის კრებებს ესწრება 35,33%. 23,33% სარგებლობს ელექტრონული ფორმით. საკრებულოს სხდომებს იყენებს ურთიერთობისთვის 15,33%. მერიის სხვადასხვა განყოფილების ანგარიშებს ისმენს 13,33%, სამოქალაქო ბიუჯეტირებაში მონაწილეობს 10,66%, მრჩეველთა საბჭოებს მიმართავს 2%.

გამოკითხულთა 48%-ის აზრით, ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. 28,66% აცხადებს, რომ არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა. 23,3% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი პროგრამები არ ასახავს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს.

„სოციალურად დაუცველებს დახმარების პროგრამები აქვთ. მე, მაგალითად, ჩემს თავზე გამოვცადე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი ოჯახის წევრს დასჭირდა დაფინანსება - ბებიას, აი, ნახევარს რომ უფინანსებენ, ოპერაციასთან დაკავშირებით ერთ დღეში დაგვიკმაყოფილეს და კმაყოფილი ვარ“ - ნ.დ., 32 წლის, ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი.

„სიმართლე რომ გითხრათ, უფრო მეტად მეზობლებიდან ვიგებ პროგრამების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მივდივარ მერიაში და ვწერ განცხადებას. ჩემმა დედამთილმა ერთი წლის წინ გაიკეთა ოპერაცია და თანხის 50% მერიამ დააფინანსა. ეს მოხდა 24 საათში“ - დ.ს., 49 წლის, ადგილობრივი.

„მოსახლეობასთან უფრო ახლოს რომ იყვნენ, უფრო მეტად ეცოდინებოდათ მათი საჭიროებები, ყველა პროგრამა საჭიროა, რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველწლიურად უნდა იცვლებოდეს ეს პროგრამები, ახალი უნდა ემატებოდეს, ამას ვერ ვგრძნობთ“ - მ.დ., 64 წლის, დევნილი.

„მოსახლეობამ არ იცის ბევრი რამ, ბუკლეტში უნდა ეწეროს, ამ დაავადებაზე ადამიანი სად უნდა მივიდეს, რა დახმარება ექნება. მაგ., ჩემი მეზობელი სამი შვილის დედა სანამ პრობლემის გამო არ მივიდა მუნიციპალიტეტში, არც იცოდა, რომ გარკვეული დახმარება ეკუთვნოდა“ - რ.დ., 39 წლის, ადგილობრივი.

რას იწვევს ჩამოთვლილი პრობლემები, რომელიც ადამიანური უსაფრთხოების ყველა სეგმენტში ფიქსირდება. გამოკითხვიდან ირკვევა, რომ **ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხე ნეგატიურად აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე.** 76,66% მიიჩნევს, რომ გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა. უიმედობასა და მომავლის შიშზე მიანიშნებს 44,66%. მაღალი დაუცველობის შეგრძნება აწუხებს 44,66%-ს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სიმრავლეს ამჩნევს 42%, გამოკვეთილ ფსიქოლოგიურ პრობლემებს - 35,33%, საზოგადოების დეპოლარიზაციას კი - 9,33%. ასეთივე მონაცემი გახშირებულ ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევებზე მიუთითებს.



დასკვნა

მიღებული მონაცემების საფუძველზე თვალშისაცემია, რომ მუნიციპალიტეტში ადამიანური უსაფრთხოების კომპონენტებიდან ქალებისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურის, საკანალიზაციო სისტემის, წყლის მიწოდების, შიდა ტრანსპორტის გაუმართაობის პრობლემების პრიორიტეტულობა. მონაცემებში იკითხება ასევე ქალთა ეკონომიკური განვითარების კუთხით ხელის შემწყობი პროგრამების დანერგვის აუცილებლობა. გამოკვეთილია ინფორმაციის მიწოდების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება მუნიციპალურ პროგრამებზე, მსხვერპლთა დახმარების სერვისებზე.

რეკომენდაციები

- ❖ ქალთა საჭიროებების შესწავლა ადრეული გაფრთხილების და რეაგირების სისტემის შექმნის მიზნით
- ❖ ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ადგილობრივი მუნიციპალური პროექტების დანერგვა და ამოქმედება
- ❖ ქალთა ინიციატივების წამახალისებელი საგრანტო პროგრამების მხარდაჭერა მცირე ბიზნესის გასაძლიერებლად
- ❖ საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, თვითდასაქმებულ ქალთა მხარდაჭერის მიზნით
- ❖ ინფრასტრუქტურული პრობლემების პრიორიტეტულობის განსაზღვრით, შესაბამისი პროექტების დანერგვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში
- ❖ საგანმანათლებლო-საინფორმაციო მუშაობის გაძლიერება ქალთა უფლებებზე, ოჯახური ძალადობის ადგილობრივ სერვისებზე, შესაბამისი კამპანიების ჩატარებით, მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდის მიზნით.
- ❖ ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა, ქალთა/გოგონათა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვა ადგილებზე.
- ❖ სამედიცინო სკრინინგ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით აღნიშნული პროგრამების ადგილზე, სოფლებში ჩატარების პრაქტიკის დანერგვა
- ❖ საზოგადოების ინფორმირება ცენტრალური და ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამებზე, შესაბამისი ინფორმაციული ფლაერების, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებით.
- ❖ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა, ქალთა ჯგუფების, აქტივისტების ინიციატივების მხარდაჭერა და ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გაძლიერება.

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით ხონის მუნიციპალიტეტი

ლარისა შენგელია

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა „ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“ ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

ძირითადი ნაწილი

I ბლოკი: დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხულთა ასაკი შემდეგნაირად გადანაწილდა: 18-დან 30 წლამდე - 82 (45,55%), 31-დან 45 წლამდე - 63 (35%), 46 - დან 65 წლამდე - 29 (16,11%) და 65 წელს ზევით - 6 (3,3%). **სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით მაჩვენებელი ასე გამოიყურება:** დევნილი - 20 (11,11%), ადგილობრივი - 145 (80,55%), სოციალურად დაუცველი - 16 (8,88%), მრავალშვილიანი დედა - 5 (2,77%), მარტოხელა დედა - 7 (3,88%), შშმ პირი - 3 (1,66%).



კითხვაზე - საქმიანობის ტიპი, მონაცემები ასეთია: სახელმწიფოს მიერ დასაქმებული - 60 (33,33%), კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დაქირავებული - 12 (6,66%), სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული - 9 (5%), სტუდენტი - 22 (1,11%), უმუშევარი - 52 (28,88%), მათ შორის: დევნილი - 9 (17,30%), ადგილობრივი - 34 (65,38%), მარტოხელა დედა - 0, მრავალშვილიანი დედა - 1 (1,92%).



II ბლოკი: ეკონომიკური უსაფრთხოება

შეკითხვაზე - ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი და თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო? მონაწილეებს შეძლოთ 2 პასუხის შემოხაზვა. საბოლოოდ მივიღეთ ასეთი სურათი:

სახელფასო ანაზღაურება - 98 (54,44%), მათ შორის: დევნილი - 5 (5,10%), ადგილობრივი - 92 (93,87%), მარტოხელა დედა - 3 (3,06%), მრავალშვილიანი დედა - 1 (1,02%). ამას გარდა სხვა წყაროები: პენსია - 38 (21,11%), სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა - 14 (7,77%), დევნილის შემწეობა - 12 (6,66%), საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი - 42 (23,33%), მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი - 25 (13,88%), ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან - 40 (22,22%), ახლობლების დახმარება - 8 (4,44%).

მრავალშვილიანი დედაა 5. მათგან 3-ის შემოსავლის წყაროა საოჯახო მეურნეობა, ერთის - პენსია და ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან და ერთის - სახელფასო ანაზღაურება და დევნილის შემწეობა. მარტოხელა დედა სულ არის 7, ამათგან: 1 იღებს სახელფასო შემოსავალს, 1 იღებს საოჯახო მეურნეობიდან შემოსავალს, 1 - სახელფასო ანაზღაურებას+პენსია+ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან, 1 სახელფასო ანაზღაურებას + პენსიას, 1 პენსიას + ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან, 1 - სოციალურად დაუცველის შემწეობას, 1 - ფულად გზავნილს საზღვარგარეთიდან+საოჯახო მეურნეობიდან შემოსავალი.



შეკითხვაზე - თქვენი მოსაზრებით, რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის? ქალბატონებს შეეძლოთ აერჩიათ 3 სასურველი პასუხი და შესაბამისად პასუხები ასე განაწილდა: დასაქმების ნაკლები პერსპექტივები - 100 (55,55%), დაბალი ფინანსური შემოსავალი - 114 (63,33%), მათ შორის: დევნილი - 14 (12,28%), ადგილობრივი - 93 (81,57%); იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში - 69 (38,33%), ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე - 44 (24,44%), ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტურობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის - 30 (16,66%), მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები 36 (20%), კოვიდ-19-ის შედეგად შეწყვეტილი ბიზნეს საქმიანობის აღდგენაში ხელშეწყობა - 26 (14,44%), მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა დასაქმებული ქალებისთვის **(მათ შორის, ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის),** რათა ქალებს საშუალება მიეცეთ, აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში - 38 (21,11%), მათ შორის: 4 დევნილი (10,52%), 31 ადგილობრივი (81,57%), 3 მარტოხელა დედა (7,89%) და 2 მრავალშვილიანი დედა (5,26%).



ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა შეუწყობდა ხელს ქალებს გაძლიერებაში. მათ შორის, გაჟღერდა ასეთი მოსაზრებები.

თ.პ., 27 წ., ქალი, დასაქმებული: მნიშვნელოვანია ქალთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა. გარკვეული ჯგუფი უნდა მუშაობდეს პროდუქტის ბაზარზე გატანასა და წარმატებული მარკეტინგის წარმოებაზე.

ნ.ჯ., 55 წ., ქალი, დიასახლისი: საჭიროა ქალთა გაძლიერების გზაზე არსებული კულტურულ-რელიგიური და სოციალური წინაღობების გადალახვა.

ი.ბ., 63 წ., ქალი, პედაგოგი: ქალები ხშირ შემთხვევაში არ არიან ინფორმირებული უფასო კურსების შესახებ.

ს.გ., 22 წ., ქალი, დასაქმებული: აუცილებელია ფულადი სახსრები, საქმიანობის ხელშეწყობისთვის ის მიმაჩნია პრიორიტეტულად.

ნ.კ., 54 წ., ქალი, დასაქმებული: კარგია მცირე გრანტების გამოყოფა სოფლებში, თემებში, რომ ხალხი დასაქმდეს.

შეკითხვაზე - სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების რომელ (სოფლის მეურნეობის განვითარების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის) სახელმწიფო პროგრამებზე ფლობთ/გქონდათ ინფორმაცია (შეგიძლიათ შემოხაზოთ 3მდე პასუხი), პასუხები ასეთია: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა - 31 (17,22%), აწარმოე საქართველოში - 124 (68,88%), მათ შორის: 13 დევნილი (10,48%) და 106 ადგილობრივი (85,48%), დანერგე მომავალი - 53 (29,44%), საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები - 27 (15%), სხვადასხვა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამა - 56 (31,11%), არ აქვს ინფორმაცია 38 რეპონდენტს (21,11%).



კითხვაზე - თქვენი აზრით, საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმელად ყველაზე მეტად რა არის საჭირო? (გთხოვთ შემოხაზოთ სამი პასუხი) **ასეთი პასუხები დაფიქსირდა:**

ხელმისაწვდომი კრედიტები - 112 (62,22%), მათ შორის - დევნილები 14 (12,5%), ადგილობრივები - 88 (78,57%); საგრანტო პროგრამები - 54 (30%), მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები - 51 (28,33%), სოფლის მხარდაჭერის პროგრამები - 79 (43,88%), ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობების მხარდასაჭერად - 46 (25,55%), მოსახლეობის მეტი ინფორმირება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე - 73 (40,55%), საკონსულტაციო სერვისები და დახმარება ბიზნეს პროექტების წერაში - 29 (16,11%).

შეკითხვაზე - ძირითადად საიდან იღებთ ინფორმაციებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ, ვინ არის თქვენი პირველწყარო (შეგიძლიათ შემოხაზოთ სამი პასუხი) პასუხები ასე გამოჩნდა: მუნიციპალიტეტის ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 104 (57,77%), ცენტრალური ხელისუფლების/სამინისტროს ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 36 (20%), საინფორმაციო ფურცლები/საინფორმაციო დაფები თემში - 10 (5,55%), მერის წარმომადგენელი თემში - 19 (10,55%), ადგილობრივი დეპუტატი - 9 (5%), ტელევიზია, რადიო - 81 (45%), ონლაინ მედიასაშუალებები, სოციალური ქსელები - 82 (45,55%), არასამთავრობო ორგანიზაციები - 14 (7,77%), მეზობლები/ნაცნობები - 52 (28,88%).

ინფორმირებასთან დაკავშირებით ქალების აზრი ორად გაიყო. ნაწილი თვლის, რომ ყველა ინფორმირებულია, ნაწილი კი ნაკლებინფორმირებულობას ხედავს მოსახლეობაში.

ა.შ., 32 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი: მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის ინფორმაციის პირვ.ლწყაროა მუნიციპალიტეტი.

ა.ფ., 30 წ., ქალი, დასაქმებული: ვარ ინფორმირებული არსებულ სერვისზე, ბოლო წლებია, მოსახლეობა არსებული ადგილობრივი პროგრამების შესახებ უფრო ინფორმირებული გახდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ს.ე., 22 წ., ქალი, მარტოხელა დედა, დასაქმებული: ახალგაზრდები და ის პირები, რომლებიც სოციალური ქსელებით ვსარგებლობთ, უფრო ინფორმირებულები ვართ, ვიდრე მოწყვლადი ჯგუფები.

ნ.კ., 54 წ., ქალი, დასაქმებული: სოციალური პროგრამები და ჯანდაცვის პროგრამები ჩვენი მოსახლეობისთვის ცნობილია. გებულობენ ინტერნეტის ან მეზობლების საშუალებით და სარგებლობენ სერვისებით.

მ.პ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: სოციალური პროგრამა „სათნოების სახლის" შესახებ მთელმა მუნიციპალიტეტმა იცის - აქაური 140 ბენეფიციარიდანაც და ინტერნეტიდანაც.

შეკითხვაზე - რა გიშლით ხელს თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღებაში? პასუხები ასე გამოიყურება:

- არ ვინტერესდები ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით 37 (20,55%), მათ შორის: 3 დევნილი (8, 10%) და 33 ადგილობრივი (89,18%)

- არასაკმარისი კომუნიკაცია და მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან 123 (68,33%), მათ შორის: 17 დევნილი (13,82%) და 99 ადგილობრივი (80,48%)

- არ მაქვს ინტერნეტი - 13 (7,22%), მათ შორის: დევნილი - 0, ადგილობრივი - 9 (69,23%), სოციალურად დაუცველი - 3 (23,07%), მარტოხელა დედა - 1 (7,69%)



ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ ინტერნეტის პრობლემას.
ქ. ყ., 58 წ., დასაქმებული: პენსიონერებს ხელი არ მიუწვდებათ. ამიტომ საჭიროა მოსახლეობასთან მეტი კონტაქტი, მეტი მოსმენა და პიარ კამპანია.

III ბლოკი: სასურსათო უსაფრთხოება

კითხვაზე - თქვენთვის ყველაზე მეტად რა ფაქტორი უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს სასურსათო უსაფრთხოებას, სადაც 2 ყველაზე პრიორიტეტული პასუხის შემოხაზვა შეეძლოთ, პასუხები ასეთია:

- მაღალი ღირებულების პროდუქტები - 171 (95%), მათ შორის: დევნილი - 20 (11,69%), ადგილობრივი - 145 (84,79%).

- ხარისხიანი პროდუქტების არარსებობა - 128 (71,11%), მათ შორის: დევნილი - 12 (9,37%), ადგილობრივი - 110 (85, 93%)

- სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობა - 20 (11,11%), მათ შორის: დევნილი - 3 (15%), ადგილობრივი 15 (75%).

IV ბლოკი: საზოგადოებრივი უსაფრთხოება

კითხვაზე - ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური (გთხოვთ შემოხაზოთ 3 ძირითადი პასუხი), **შემდეგი პასუხები გამოჩნდა:**

სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება - 31 (17,22%), სანიაღვრე არხების გაკეთება - 31 (17,22%), საკანალიზაციო სისტემის გამართვა - 32 (17,77%), სოფლის შიდა გზები მოწესრიგება - 64 (35,55%), წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება - 50 (27,77%), ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 42 (23,33%), საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი, სამკერვალო და ა.შ.) - 29 (16,11%), გარე განათების გამართვა - 37 (20,55%), ფეხით მოსიარულეთათვის ბარდიურების, ტროტუარების მოწესრიგება - 52 (28,88%), საბავშვო ბაღები - 13 (7, 22%), სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები - 31 (17,22%), სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის - 46 (25,55%), ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები (სკოლის და ბაღის შემდგომი) დასაქმებული დედებისთვის - 32 (17,77%)



პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით თვისებრივი კვლევის დროს დაისვა სხვადასხვა აქცენტი.

ე.ჯ., 36 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: ჩვენ გვაქვს ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით ერთჯერადი დახმარებები და სხვადასხვა სოციალური პროგრამა. არ არის მუნიციპალიტეტში ადამიანი, ვისაც მოუმართავს და არ მიეღოს დახმარება. წელს რეგიონალური განვითარების ფონდის ფარგლებში არაერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი მოგვარდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ისეთები, როგორებიცაა: გარე განათება, სანიაღვრე არხები... არის ინიციატივები, რომლებიც მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

გ.მ., 33 წ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი: დღეისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა კოვიდპანდემია, რომელთან ბრძოლაში ჩართულია ყველა სტრუქტურა. ჯანდაცვა სრულიად მობილიზებულია.

თ.ბ., 42 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: პირველია დასაქმების პრობლემა. პრობლემაა დაბალი ხელფასებიც. მაგ., საბავშვო ბაღებში იმდენად დაბალი ხელფასია, რომ დასაქმებულისთვის მაინც პრობლემაა. განათლების პრობლემაც გვაქვს. სწორი მიგნებაა პროფესიული გადამზადების ცენტრები. ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, დაკომპლექტდეს სასწავლო კურსები.

მ.გ., 51 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: პანდემიის პირობებში პრიორიტეტი ენიჭება ჯანდაცვას და სოციალურ საკითხებს. ჩვენ ყველა რესურსის მობილიზება შევძელით სწრაფად, რათა კოვიდს გავმკლავებოდით, მოხალისეთა ჯგუფებს სადილი მიჰქონდათ 70 წელს გადაცილებულებისათვის, 470 ოჯახს დავეხმარეთ ბიზნეს სექტორთან ერთად.

თ.პ., 27 წ., ქალი, დასაქმებული: ადამიანები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობა, ოჯახური კონფლიქტები, მიგრაციის ზრდა.

ა.შ., 32 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი: პანდემიის დროს მიზეზი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობაა.

ი.ბ., 63 წ., ქალი, დასაქმებული: ჩემს თემში პრიორიტეტულია სკვერებისა და მინისტადიონების აღდგენა - კეთილმოწყობა. განათლებული ახალგაზრდისთვის, საჭიროა სპორტული აქტივობა, ადგილი, სადაც დედები თავიანთ პატარებს გაასეირნებენ, მცირე გასართობ სერვისს შესთავაზებენ. აქამდე ამ საკითხების მოგვარებას არაპერსპექტიულად ვუყურებდი, თუმცა ფონდი „სოხუმის“ დახმარებით და შემუშავებული ელექტრონული პეტიციის წყალობით, ვფიქრობ, ამ ორ საკითხს გადავჭრით.

ნ.კ., 25 წ., ქალი, მაგისტრანტი: ახალგაზრდები, რომლებმაც მივიღეთ უმაღლესი განათლება და შევიძინეთ სასურველი პროფესიები, ცოდნისა და გამოცდილების რეალიზებას ვერ ვახერხებთ ჩვენს ქალაქში, აქ არ არის სამუშაო ადგილები. ქალაქი კარგავს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდულ რესურსს.

ს.გ., 25 წ., ქალი: ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსპორტის პრობლემაა, არ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი და ყოველდღიურად მიწევს ქალაქამდე არსებული მანძილის ფეხით გავლა, რომ დროულად გამოვცხადდე სამსახურში.

ს, ე., 22 წ., ქალი, დასაქმებული: პრიორიტეტულია ეკონომიკური და სასურსათო პრობლემა. ვარ დასაქმებული, მაგრამ ანაზღაურება არ არის საკმარისი იზრდება სასურსათო პროდუქტების ფასები, ვერ ვახერხებთ მათ შეძენას.

ე.უ., 30 წ., ქალი, დასაქმებული: ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ვართ ონლაინ სწავლებაზე და მუშაობაზე. სწრაფ ინტერნეტზე არ გვაქვს წვდომა ჩვენს თემში.

მ. პ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: ვცხოვრობ ცენტრალურ გზაზე და მინდა ლამპიონების განათება. უნდა მოწესრიგდეს ტროტუარებიც.

ა. წ., 40 წ., ქალი, დასაქმებული: ვცხოვრობ ცენტრალურ გზაზე, არის საშიში მოსახვევები. ხშირია მსხვერპლით დამთავრებული ავარიები. საჭიროა ხელოვნური ბარიერის, ე.წ. მწოლიარე პოლიციელის მოწყობა.

ი.ჯ., 50 წ., ქალი, დასაქმებული: კარგია, გვქონდეს ბავშვთა გასართობი მოედანი.

მ.მ., 50 წ., ქალი, დასაქმებული: ამჯერად ყველაზე პრობლემურია ჩვენთვის მიწის დამუშავება და ტრაქტორით მომსახურება.

კითხვაზე - ჩამოთვლილთაგან რომელს მიიჩნევთ, ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის (გთხოვთ შემოხაზოთ 2 თქვენთვის პრიორიტეტული პასუხი) პასუხები ასე გამოიყურება:

- კრიმინალის ზრდა - 98 (54,44%), მათ შორის: დევნილი - 14 (14,28%), ადგილობრივი - 76(77,55%)

- გაუმართავი საგზაო მოძრაობა - 56 (31,11%)

- ალოკოჰოლიზმი/ნარკომანია - 93 (51,66%), მათ შორის: დევნილი - 14 (15,05%), ადგილობრივი - 71 (76, 34%)

- საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება - 42 (23,33%)

- მოუწერიგებელი ინფრასტრუქტურა - 26 (14,44%)

- დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალი დონე - 38 (21,11%)

- უმცირესობების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი ხარისხი - 23 (12,77%)



შეკითხვაზე - აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა, ასეთი პასუხებია დაფიქსირებული: კი - 82 (45,55%), არა - 14 (7,77%), მათ შორის: დევნილი - 1 (7,14%), ადგილობრივი - 12, ამათგან ერთი არის სოციალურად დაუცველი -(85, 71%), მარტოხელა დედა - 0, მრავალშვილიანი დედა - 0, სოციალურად დაცველი - 1 (7,14%), შშმ პირი - 0

- ნაწილობრივ - 84 (46,66%), მათ შორის: დევნილი - 9 (10,71%), ადგილობრივი - 70 (83,33%), მარტოხელა დედა - 2 (2, 3%), მრავალშვილიანი დედა - 0, სოციალურად დაუცველი - 8 (9,52%)

კითხვაზე - თუ შემოხაზეთ „არა“ ან „ნაწილობრივ“, რა არის ამის მიზეზი (შემოხაზეთ 2 ყველაზე ძირითადი) პასუხები ასე განაწილდა: სწავლების დაბალი ხარისხი - 86 (47,77%), არასაკმარისი პროფესიონალი პედაგოგი - 50 (27,77%), გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა (ამორტიზებული, სარემონტო შენობა, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, წყლის არარსებობა და ა.შ.) - 28 (15,55%), სკოლა შორსაა სახლიდან - 11 (6,11%), სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა (კომპიუტერები, ინტერნეტი, სპეციალიზირებული საგნობრივი კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ) - 38 (21,11%), დაბალი ხარისხის ინტერნეტი (დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად) - 56 (31,11%)

შეკითხვაზე - ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის, ოჯახის წევრისთვის ან თქვენი ნაცნობებისთვის უმაღლესი განათლება: კი - 94 (52,22%), არა - 11 (6,11%), ნაწილობრივ - 75 (41,66%)

შეკითხვაზე - რას მიიჩნევთ პრობლემად უმაღლესი განათლების მისაღებად, პასუხები ასეთია: არ არსებობს სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსები, რაც აფერხებს აბიტურიენტს მისთვის საუკეთესო პროფესიის არჩევაში - 33 (18,33%), რეგიონიდან სტუდენტისთვის ქალაქში ხელმიუწვდომელი უფასო საცხოვრებელი - 46 (25,55%), სწავლების მაღალი საფასური - 87 (48,33%), სწავლების დაბალი ხარისხი - 14 (7,77%)

V ბლოკი: ჯანმრთელობის უსაფრთხოება

მომდევნო კითხვის - ჩამოთვლილთაგან ჯანდაცვის კუთხით რომელი პრობლემაა უფრო აქტუალური და პრიორიტეტული თქვენს ოჯახში ან თემში (გთხოვთ შემოხაზოთ სამი პასუხი) პასუხი ასეთია:

- პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა - 24 (13,33%), მათ შორის: დევნილი - 7 (29,16%), ადგილობრივი - 16 (66,66%)

- სამედიცინო პერსონალის სიმცირე - 39 (21,66%), მათ შორის: დევნილი - 6 (15,38%), ადგილობრივი - 32 (82, 05%)

- უხარისხო სამედიცინო მომსახურება - 80 (44,44%), მათ შორის: დევნილი - 9 (11,25%), ადგილობრივი - 66 (82,5%)

- მაღალი ფასები მედიკამენტებზე - 138 (76,66%), მათ შორის: დევნილი - 14 (10,14%), ადგილობრივი - 113 (81,88%)

- არაინფორმირებულობა ჯანდაცვის პროგრამებზე - 35 (19,44%), მათ შორის: დევნილი - 2 (5,71%), ადგილობრივი - 30 (85,71%)

- უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა ადგილზე, სოფლებში - 53 (29,44%), მათ შორის: დევნილი - 5 (9,43%), ადგილობრივი - 44 (83,01%)

- რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება - 23 (12,77%), მათ შორის: დევნილი - 2 (8,69%), ადგილობრივი - 18 (78, 26%)

- უფასო სამედიცინო სკრინინგ-პროგრამები გოგონებისა და ქალებისათვის 35 (19,44%), მათ შორის: დევნილი - 3 (8,57%), ადგილობრივი - 26 (74,28%)

- იგპ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირე - 6 (3,33%), მათ შორის: დევნილი - 0, ადგილობრივი - 6 (100%)



ჯანდაცვის პრობლემები დაკონკრეტდა თვისებრივი კვლევის საშუალებით.

მ.გ., 51 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: ჩავატარეთ კვლევა და აღმოჩნდა, რომ გვყავს 1046 შეზღუდული შესაძლებლობის ბენეფიციარი. რაც შეეხება კოვიდს ყველა ხონელს ერთჯერადად ეძლევა 150 ლარი, რათა ჩაიტაროს ნებისმიერი სახის მისთვის აუცილებელი სამედიცინო შემოწმება...

ლ.კ., 59 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: გაიზარდა უსინათლოთა, ავთვისებიანი სიმსივნით დავადებულთა, შშმ პირების სამედიცინო პაკეტები, მათი მედიკამენტებით სტაციონალური და ამბოლატორიული მომსახურება. განვაახლეთ შეზღუდული შესაძლებლობების საბჭო, თავმჯდომარეა ქალაქის მერი,საბჭოს შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა.

კითხვაზე - ჯანმრთელობის გაუარესების დროს, როგორ ახერხებთ პრობლემის გადაჭრას? ასეთი პასუხები გაიცა: თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - 72 (40%), თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს კერძო დაზღვევა - 24 (13,33%), სამედიცინო მომსახურებას, ძირითადად, იღებთ საზღვარგარეთ - 3 (1,66%), მიმართავთ ექიმბაშს - 13 (7,22%), ეწევით თვითმკურნალობას - 58 (32,22%), მათ შორის: დევნილი - 8 (13,79%), ადგილობრივი - 46 (79,31%)



VI ბლოკი: პირადი უსაფრთხოება

მომდევნო კითხვაზე - თქვენი მოსაზრებით, რამდენად აქტუალურია ოჯახური ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?მონაწილეები ასე მიიჩნევენ:

აქტუალურია - 73 (40,55%), მათ შორის: დევნილი - 10 (13,69%), ადგილობრივი - 57 (78,08%), მარტოხელა - 2 (2,73%), მრავალშვილიანი დედა - 3 (4,10%), სოციალურად დაუცველი - 7 (9, 58%), უმუშევარი - 22 (30,13%)

- ძალიან აქტუალურია - 22 (12,22%), მათ შორის: დევნილი - 4 (18,18%), ადგილობრივი - 17 (77,27%), მარტოხელა - 1 (4,54%), მრავალშვილიანი დედა - 0, სოციალურად დაუცველი - 1 (4,54%), უმუშევარი - 4 (18,18%)

- არ არის აქტუალური - 52 (28,88%)

- არ მაქვს პასუხი - 33 (18,33%), მათ შორის: დევნილი - 2 (6,06%), ადგილობრივი - 29 (87, 87%)



თქვენი დაკვირვებით, ჩამოთვლილთაგან, ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული თქვენს თემში? ამ კითხვაზე შემდეგი პასუხებია: ფიზიკური (ცემა, დამცირება ძალია გამოყენებით და ა.შ) - 31 (17,22%), ფსიქოლოგიური (დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, უგულებელყოფა და სხვა) - 115 (63,88%), ეკონომიკური (ფულადი სახსრებით მანიპულირება, ფინანსური დამოკიდებულება ოჯახის ერთ წევრზე, ფულის წართმევა, ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვა და ა.შ.) - 32 (17,77%), სექსუალური (გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება, ადევნება) - 2 (1,11%)

შეკითხვაზე - გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ (ადგილმდებარეობა, ტელეფონი, რა კონკრეტულ მომსახურებას აწვდის)? პასუხები ასეთია: დიახ - 48 (21,66%), არა - 73 (40,55%), მათ შორის: დევნილი - 9 (12, 32%), ადგილობრივი - 56 (76, 71%), ზოგიერთი მათგანი - 59 (32,77%)

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ?



ა) დიახ ბ) არა გ) ზოგიერთი მათგანი

თუკი იცნობთ, ჩამოთვალეთ რომელი:

- სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებული კრიზისული ცენტრები - 8 (4,44%)
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები -13 (7,22%)
- სახელმწიფო იურიდიული სამსახურები - 5 (2,77%)
- ცხელი ხაზი - 96 (53,33%)
- არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი სერვისები - 14 (7,77%)
- მუნიციპალური სერვისები - 14 (7,77%)
- ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები - 10 (5,55%)

ე.ჯ., 36 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: გვაქვს ძალადობის მსხვერპლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, რაც სიახლე არის ჩვენს ბიუჯეტში. ვცდილობთ, ადამიანებს სოციალური ქსელით თუ შეხვედრებით, მივაწოდოთ ინფორმაცია.

შეკითხვაზე - რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ტელე-

ვიზია, რადიო - 62 (34,44%), სოციალური ქსელი - 93 (51,66%), შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 11 (6,11%), შეხვედრები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 10 (5,55%), საინფორმაციო ფურცლები, განცხადებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - 4 (2,22%)

რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ?



თ.ბ., 42 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: მოსახლეობის აქტიური ნაწილი მეტ ინფორმაციას ფლობს, არის მეორე კატეგორია - ნაკლებად ინფორმირებული. ბევრს ინტერნეტზე წვდომა არა აქვს. კორონას დროს, როდესაც დისტანციურ მუშაობაზე გადავედით, ამან უფრო იჩინა თავი. პროცენტულად დიდ ნაწილს არ აქვს ინტერნეტი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია და მისი პირველწყარო ინტერნეტია, თუ მოინდომებს ადამიანი, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია.

კითხვაზე - თქვენი მოსაზრებით, არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი ქალაქის (მუნიციპალიტეტის, სოფლის) მოსახლეობისთვის პასუხი შემდეგნაირია: ხელმისაწვდომია - 64 (35,55%), არასაკმარისად ხელმისაწვდომია - 106 (58,88%), საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი - 10 (5,55%)

არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი ქალაქის(მუნიციპალიტეტის, სოფლის) მოსახლეობისთის?



შეკითხვაზე - მიგაჩნიათ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები საკმარისია? პასუხი ასეთია: დიახ 17 (9,44%), არა 35 (19,44%), ნაწილობრივ 56- (31,11%), არ ვფლობ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამების შესახებ 55 (30,55%), აუცილებელია პროგრამების გამრა-

ვალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება 17 (9,44%)

თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა გარკვეული პასუხები:

თ.პ., 27 წ., ქალი, დასაქმებული: აუცილებელია მოსახლეობას მეტი ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში თავი არ შეიკავონ მიმართვიანობისგან.

ა.შ., 32 წ., ქალი, სოციალურად დაუცველი: პროგრამები საკმარისი არასდროს არ არის, თუმცა საკმაოდ ეფექტურია.

ნ.ჯ., 55 წ., ქალი, დიასახლისი: არ არის საკმარისი, რადგან ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ გრძელდება.

თ.ნ., 28 წ., ქალი, სტუდენტი, დასაქმებული: პრობლემას წარმოადგენს რომ მსხვერპლ ქალს არ აქვს წასასვლელი, ზოგიერთ რეგიონში არის თავშესაფრები თუმცა იქაც მსხვერპლს გარკვეული დროის მანძილზე შეუძლია ყოფნა, ხოლო შემდეგ კი ის თავშესაფრის გარეშე რჩება.

ი.ბ., 63 წ., ქალი, პედაგოგი: დღეს უამრავი ქალია ძალადობის მხსხვერპლი, მათ აქვთ დაუცველობის განცდა, ვერ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს. ბევრმა არ იცის, როგორ მოიქცეს ამ დროს.

ს.გ., 22 წ. ქალი, დასაქმებული: ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები, არ არის საკმარისი და მას სჭირდება უფრო მეტად განვითარება, უნდა იქნეს ინფორმირებულობის დონე ამაღლებული საზოგადოებისთვის, საჭიროების შემთხვევაში თავი არ შეიკავონ მიმართვიანობისგან.

ნ.კ., 25 წ., ქალბატონი, მაგისტრანტი: ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა საგანგაშოა. აქტიურად უნდა ეწყობოდეს ძალადობის წინააღმდეგ სხვადასხვა დისკუსია, ტრენინგი. მოწვეული უნდა იყვნენ კომპეტენტური პირები. ძალადობის მსხვერპლ ქალებს მიაწვდიან იმ პროგრამების თუ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მათ დაცვას ემსახურება.

VII ბლოკი: ეკოლოგიური უსაფრთხოება

შეკითხვაზე - როგორია თქვენს ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია გარემოს დაცვის კუთხით, ხუთბალიანი სისტემის მიხედვით? პასუხები ასე გამოიყურება: ძალიან ცუდი - 11 (6,11%), ცუდი - 44 (24,44%), ნორმალური - 112 (62,2%), კარგი - 12 (6,66%), ძალიან კარგი - 1 (0,55%)



შეკითხვაზე - ჩამოთვლილთაგან, რომელია ეკოლოგიური პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს თემში, პასუხები: დაბინძურებული ჰაერი - 70 (38,88%),სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა - 25 (13,88%), საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა - 30 (16,66%), სანიაღვრე მილების არ არსებობა ან გაუმართაობა - 55 (30,55%)

თვისებრივ კვლევაშიც გამოიკვეთა გარკვეული მოსაზრებები ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, მაგალითად,

ქ.კ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: მნიშვნელოვანი პრობლემაა ეკოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც იწვევს მანქანების გამონაბოლქვი.

VIII ბლოკი: ზოგადი კითხვები

მომდევნო კითხვაზე - მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად, პასუხები ასე გამოიყურება: დიახ - 57 (31,66%), არა - 96 (53,33%), არ მიმიმართავს, რადგან არ მჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება - 27 (15%)



თვისებრივი კვლევის დროს გამოვლინდა ადამიანთა რამდენიმე კატეგორია: ზოგს მიუმართავს და მოუგვარებია თავისი პრობლემა, ზოგს არ მიუმართავს, ზოგს ჯერ არ მიუმართავს, მაგრამ მხარდაჭერის იმედი აქვს. რამდენიმე პასუხი:

თ.ნ., 28 წ., ქალი, სტუდენტი, დასაქმებული: მიმიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის სოციალური დახმარებისთვის, მედიკამენტებით დახმარებისთვის, რაც მათი მხრიდან დაკმაყოფილდა.

თ.ჭ., 85 წ., ქალი, დასაქმებული: მიმიმართავს, მოუსმენიათ და დახმარებაც გაუწევიათ შეძლებისდაგვარად.

ი.ბ., 63 წ., ქალი: მე მიმიმართავს, ვისარგებლე თანადაფინანსებით. უყურადღებოდ არ დატოვეს ჩემი მიმართვა გარე განათების საკითხთან მიმართებაში და დღეს ჩემს ქუჩას აქვს გარე განათება.

ს.გ., 22 წ., ქალი, დასაქმებული: არ მიმიმართავს. თუ დამჭირდება, აუცილებლად მივმართავ. იმედი მაქვს, შესაბამისი რეაგირება იქნება მათი მხრიდან.

ე.უ., 30 წ., ქალი, დასაქმებული: ჩემს ირგვლივ ახლობლებმა მიმართეს ოპერაციის დასაფინანსებლად მერიას და დახმარება გაუწიეს შესაბამისად.

ა.წ., 40 წ., ქალი, დასაქმებული: მიმიმართავს და იყო მყისიერი რეგირება.

მ.პ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: მივმართე, ძვირადღირებული ანალიზები იყო საჭირო, დაგვიფინანსეს.

მ.მ., 50 წ., ქალი, დასაქმებული: ოპერაცია დამჭირდა, ნაწილობრივ დამიფინანსეს და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შეკითხვაზე - ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის სამოქალაქო ჩართულობის რა ფორმა გამოგიყენებიათ?პასუხები ასეთია - დასახლების/სოფლის კრებები - 70 (38,88%), საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 5 (2,77%), მერის, მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა - 12 (6,66%), პეტიცია - 12 (6,66%), მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო - 8 (4,44%), სამოქალაქო ბიუჯეტირება - 3 (1,66%), კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა (ელფოსტით მიმოწერა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებული წერილისთვის განკუთვნილი ფანჯარა) - 70 (38,88%)

ამ კითხვის პასუხებში ფოკუს-ჯგუფების დროს გამოჩნდა, რომ ნაწილი იყენებს სხვადასხვა ფორმას, ხოლო ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რომ ხელისუფლება არ სწავლობს მის საჭიროებებს და არის კომუნიკაციის დეფიციტი.

თ.პ., 27 წ., ქალი, დასაქმებული: სოფლის წარმომადგენლებისგან კონტაქტით მიიღება ინფორმაცია.

ქ.კ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: მოქალაქეებთან კომუნიკაცია და კონსულტაციები არ არის ხშირი და არც იმის შესწავლა ხდება, თუ რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა.

თ.პ., 28 წ., ქალი, სტუდენტი, დასაქმებული: მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა მეტ ნაკლებად ხდება ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თუმცა არც თუ ისე ხშირად.

თ. ჭ., 85 წ., ქალი, დასაქმებული: დღევანდელ პირობებში ფეხზე დამდგარი სახელმწიფო შეარყია ეკონომიურმა პრობლემებმა. ვისაც არ უნდა კითხოთ პრობლემებზე გესაუბრებათ, მაგრამ არავინ იკვლევს მიზეზებს.

ი.ბ. 63 წ., ქალი, პედაგოგი: სოფლის მოსახლეობა განიცდის კომუნიკაციის დეფიციტს, სახელმწიფოს სიძლიერეს ძლიერი სოფელი წარმოადგენს, ამიტომაც სოციალური პროგრამები სოფელზე უნდა იყოს მორგებული.

ნ.კ., 25 წ., ქალი, მაგისტრანტი: კომუნიკაციისა და კონსულტაციების მხრივ მიდგომა განსხვავებულია სოფელსა და ქალაქის მხრივ. ახალგაზრდული კავშირების ლიგის უფასო წრეების შესახებ უმრავლესობამ არც კი იცის ჩემს სოფელში, არადა, ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომელიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებს სხვადასხვა წრეზე სიარულს.

გ.მ., 33 წ., კაცი, ადგილობრივი ექსპერტი: ჩვენი მუნიციპალიტეტი პატარაა, მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს. ყოველთვის მზად ვართ მათი პრობლემების მოსასმენად. ამისათვის განსაკუთრებული მიღების დღეები არ გვჭირდება. ვცდილობთ, რეალურად გადავჭრათ პრობლემები და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ განცხადებების განხილვით.

ე.ჯ., 36 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: თვითმმართველობა ინტერნეტის, ვებგვერდის, ფეისბუქგვერდის საშუალებით და საინფორმაციო შეხვედრებით ახდენს მოსახლეობის ინფორმირებულობას. ოფიციალურად მერთან მიღების დღეებია სამშაბათი და ხუთშაბათი. მუნიცი-

პალიტეტებს არ აქვს ის ფუფუნება, რომ კვლევები აწარმოოს. ეს საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა და არ ხორციელდება. მაგრამ ჩვენ წარმატებულად ვთანამშრომლობთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ და ძალიან კარგად ვიყენებთ იმ კვლევის შედეგებს. ბოლო დროს განხორციელებული მონიტორინგი ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის მერიის მუშაობის გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის ხარისხის დადგენას და ამ მიმართულებით არსებული ვითარების შესწავლას. ფონდი „სოხუმის" პროექტის ფარგლებში წარმატებით განვახორციელეთ ორი პროექტი და მათ საფუძველზე დღეს გვაქვს მუნიციპალიტეტში ცხელი ხაზი და მოდერნიზებული ვებგვერდი. ეს ორი სერვისი ძალიან ეფექტურია, გაიზარდა მომართვიანობა, მოსახლეობის ჩართულობა. ჩვენთან ხელმისაწვდომია ადგილობრივი ვიზიტი, ცხელ ხაზზე დარეკვა, წერილობით მომართვიანობა არის ძალიან ეფექტური საშუალება.

მ.გ., 51 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: კომუნიკაცია ყოველთვის აქტიურია. ხშირად იმართება სოფლის კრებები და წარმოდგენილ პრობლემებს ყოველთვის მოყვება ჩვენი მხრიდან სწრაფი რეაგირება.

შეკითხვაზე - რამდენად მორგებულია (ან ასახავენ) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს? პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება: ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს 78 (43,33%), პროგრამები არ ასახავენ ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს 49 (27,22%), არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა 53 (29,44%)

თ. ბ., 42 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: ხონში გახსნილი ზრდასრულთა განათლების ცენტრი მორგებულია საჭიროებებს, არის უფასო კურსები კომპიუტერის, ბუღალტერიისა ენების შესწავლის.

მ.გ., 51 წ., ქალი, ადგილობრივი ექსპერტი: ვცდილობთ, სოციალური პროგრამა თითოეულ ადამიანზე იყოს მორგებული. მომართვიანობიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიტანეთ აუტისტი ბავშვების სარეაბილიტაციო პროგრამაში. თუ კი აქამდე ასაკი განსაზღვრული იყო 0-დან 7 წლამდე ახლა გავზარდეთ 15 წლამდე. სულ 16 აუტისტი ბავშვია, თითოეულს 200 ლარი გადაეცემა ყოველთვიურად. ჩვენ წინა პლანზე გვყავს ბავშვები, გადავწყვიტეთ შეიქმნას მერიაში ბავშვებზე მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც სრულყოფილად შეისწავლის ბავშვთა პრობლემებს. ვფიქრობთ ხონში დროებითი საცხოვრისის შექმნა, სადაც ბენეფიციარი 10 დღე დარჩება. მისი ბინის ქირა და სამჯერადი კვება დაფინანსებული იქნება მერიის მიერ. ყოველდღე მერიაში 30-მდე წერილი შემოდის, ამიტომ მუშაობა მართლაც რუტინულია.

ლ.კ., 59 წ., ადგილობრივი ექსპერტი: ბენეფიციარებს, ვისაც აქვთ მხედველობის მკვეთრი შეზღუდვა, თვეში ვაძლევთ 50 ლარს, ასეთი 56 ადამიანია ხონში. რეინტეგრაციის პროგრამაც ეფექტურია. ბავშვები, რომლებიც დავაბრუნეთ ოჯახებში, თავს გრძნობენ კომფორტულად. ამ პროგრამის მიზანი ოჯახების გაძლიერება. 4 ასეთ ოჯახს გავუწიეთ დახმარება. პროგრამა 3 წელია მუშაობს, თითოეულ ოჯახს ვაძლევთ 1500 ლარს წელიწადში. ხონში მოქმედებს საოჯახო ტიპის სასტუმრო, სადაც ცხოვრობდა ერთ-ერთი ასეთი ოჯახი და ამ პროგრამით მიღებული თანხით დედამ შეძლო შვილებთან ერთად სასტუმროდან გასვლა და ახალი ცხოვრების დაწყება.

თ.პ., 27 წ., ქალი, დასაქმებული: მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება - სამუშაოს მოძიების მიზნით ისინი ტოვებენ ქვეყანას.

ქ.კ., 37 წ., ქალი, დასაქმებული: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უჭირთ დასაქმება, გადაადგილება, რადგან ქალაქში არ არის მათთვის სათანადო აღჭურვილობა.

თ.ნ. 28 წ., სტუდენტი, დასაქმებული: რეგიონებში უფრო მეტად შშმ პირებს სჭირდებათ დახმარება.

ა.ფ., 30 წ., ქალბატონი, დასაქმებული: დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ყველა სამიზნე ჯგუფს სჭირდება გარკვეული ადგილობრივი პროგრამებით დახმარება. ამ ჯგუფებიდან განსაკუთრებულ დახმარებას მრავალშვილიანი ოჯახები და სოციალურად დაუცველები საჭიროებენ.

ს.ე., 22 წ., დასაქმებული: ჩემთვის შშმ პირები არიან ის სამიზნე ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს მსგავსი პროგრამებით დახმარებას.

ს.გ., 22 წ., დასაქმებული: ჩემთვის პრიორიტეტულ სეგმენტს მოხუცები წარმოადგენს, რომლებისთვისაც მედიკამენტები აუცილებელია.

ნ.კ., 25 წ., მაგისტრანტი: გამოვყოფდი ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათ სჭირდებათ საკუთარი თავის რეალიზება, რომ არ მოუწიოთ სხვა ქალაქებსა თუ ქვეყნებში გადახვეწა. მათ სჭირდებათ ჩვენი ხელშეწყობა და მათი ხელშეწყობა არის წარმატების გზა ჩვენი ქვეყნისა და თემის.

ბოლო შეკითხვაზე- თქვენი დაკვირვებით ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხე (ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური) როგორ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე? (შემოხაზეთ 3 ყველაზე ძირითადი)პასუხები ასეთია: გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა - 136 (75,55%), თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - 76 (42,22%), გამოკვეთილია უიმედობა, მომავლის შიში - 79 (43,88%), იზრდება ფსიქოლოგიური პრობლემი - 66 (36,66%), იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები - 21 (11,66%), გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები - 29 (16,11%), იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი - 70 (38,88%), მაღალია დაუცველობის შეგრძნება - 24 (13,33%).



რეკომენდაციები

თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტებმა ისაუბრეს იმაზეც, რა უნდა გაკეთდეს, რა გამოწვევებია მათ თემში თუ ზოგადად მუნიციპალიტეტში. ამ მოსაზრებების მიხედვით შეიძლება სარეკომენდაციო წინადადებების ჩამოყალიბება:

- მიზანშეწონილია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ განახორციელოს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები;
- სასურველია ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მცირე საწარმოების დაფუძნება, სადაც ქალები შეძლებენ გარკვეული საქმიანობის შესწავლას და მუშაობას;
- სასურველია ქალთა ჩართულობის გაზრდა მუნიციპალური პროგრამების შექმნაში;
- სასურველია მეტი ცოცხალი თუ ონლაინ კომუნიკაცია ადგილობრივი პრობლემების გაცნობისა და შესწავლის მიზნით - უწყვეტი დიალოგის რეჟიმი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარებისათვის;
- სასურველია ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრები ქალებთან და შესაბამისი პროგრამებით მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
- სასურველია არსებული პროგრამების ეფექტიანობის შესწავლა, შესაბამისი კორექტირება და საჭიროებაზე დამყარებული ახალი პროგრამების შემუშავება;
- სასურველია მუნიციპალიტეტში ელექტრონული კომუნიკაციის მაქსიმალურად ამოქმედება: ცხელი ხაზი, პეტიცია;
- მისასალმებელი ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური თანამშრომლობა მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლთან და ზრდასრულთა ცენტრთან - უფასო სასწავლო წრეებსა თუ კურსებში მეტი ადამიანის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ხელშეწყობა;
- კვლევის დროს გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრობლემის მოგვარება: შინმოვლის სერვისის შექმნა; გარე განათებები, გზებზე ხელოვნური ბარიერის, ე.წ. მწოლიარე პოლიციელის მოწყობა, ბავშვთა გასართობი მოედნების და სკვერების მოწყობა, ხელის შეწყობა მიწის დამუშავებაში.

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტი

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი: საზოგადოებაში ადამიანური უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა გამოვლენას და საჭიროებების შესწავლას.

აღნიშნული მოკვლევის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა საჭიროებების შესწავლა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადამიანის უსაფრთხოების ხარისხის შეფასება გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევა ჩაატარა კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ 2021 წლის 1 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით. დაკვეთის შერულებისას, საველე სამუშაოებში ჩართული იყო 18 პირი, რომელთა გადამზადება მოხდა წინასწარ ტრენინგების და ვორკშოპების გზით. გამოკითხვაში სამიზნე ექსპერტებად ჩართულნი იყვნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, კულტურის, ინფრასტრუქტურის, გენდერული, სოციალური განყოფილებების პასუხისმგებელი პირები. ფონდი „სოხუმი“ მადლობას უხდის აღნიშნულ პირებს მხარდაჭერისა და გაცემული ინფორმაციებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგების კონსოლიდაციით მიღებული მასალის ანალიზს.

რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული ანკეტა. რომელიც გუგლ ფორმაში განთავსდა და ანკეტირების პროცესი ონლაინ ფორმატით წარიმართა. თვისებრივი მონაცემების მისაღებად გამოყენებული იყო ფოკუსური დისკუსიის მოდელი და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი.

ძირითადი ინფორმაცია

რაოდენობრივი კვლევის ანკეტა მოიცავდა 8 ბლოკს, პირველი ბლოკი, ძირითადად, დემოგრაფიულ მახასიათებელს ასახავდა, დანარჩენი ბლოკების კითხვარი ეხებოდა ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის განსაზღვრას ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური სეგმენტების მიხედვით. ბოლო, მერვე ბლოკში გაერთიანდა ზოგადი კითხვები. სენაკის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივი ანკეტირების პროცესში ჩართული იყო 153 ქალი. თვისებრივი მონაცემების შეგროვების პროცესში რესპონდენტებად სულ ჩართული იყო 28 პირი, მათ შორის ერთი მამაკაცი (ადგილობრივი ექსპერტი).

სულ სენაკის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 181 ადამიანი (180 ქალი, ერთი მამაკაცი).

I ბლოკი: კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით კვლევაში ჩართულნი იყვნენ: დევნილები, ადგილობრივები, სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები, პედაგოგები, ექიმები, მეწარმეები, თემის ლიდერები, სტუდენტები, პენსიონერები, ახალგაზრდები, ადგილობრივი ექსპერტები და სხვ.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა **ასაკობრივი ზღვარი** შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთაგან 18-დან 30 წლამდე კატეგორიაში მოხვდა 35,06% ქალი. ანალოგიური რაოდენობა დაფიქსირდა 31-დან 45 წლამდე კატეგორიაში – 35,06%. საერთო რაოდენობის 21,42% მოხვდა 45-დან 65 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. გამოკითხვაში მონაწილე ქალთა შედარებით მცირე ნაწილი - 7,84% 65 წელსაა გადაცილებული.

სოციალური სტატუსის მიხედვით გამოკითხვაში ჩართულ რესპონდენტთა უმრავლესობა - 60,78% ადგილობრივი მცხოვრებია, 26,79% - აფხაზეთიდან დევნილი, 17,64% კი სოციალურად

დაუცველის სტატუსის მატარებელია. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვაში მრავალშვილიანი დედის სტატუსით ჩართული იყო 8,49% ქალი, ხოლო მარტოხელა დედის სტატუსის მქონე ქალების რიცხვმა 10,45% შეადგინა, რაც ამ მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების შესწავლის საშუალებას იძლევა. გამოკითხულთა 33% სოციალურად დაუცველია. გამოკითხვაში მოხვდა 1,30% შშმ ქალი, თუმცა ეს რაოდენობაც ღირებულია ამ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოსავლენად **(დიაგრამა 1).**



საქმიანობის ტიპის მიხედვით გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა 32,67% უმუშევარია, მომდევნო ადგილს იკავებს სტუდენტების საერთო რაოდენობა -18,30%. საერთო მაჩვენებლის 16,99% სასოფლო-სამეურნეო საქმით არის დაკავებული. აღნიშნულ მონაცემს მცირედით ჩამორჩება სახელმწიფოს მიერ დასაქმებულთა რაოდენობა - 15,03%. კერძო ბიზნესში ჩართულთა კატეგორიაში მოხვდა გამოკითხულთა 9,15%. კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დაქირავებული ქალების რიცხვმა 6,53% შეადგინა. გამოკითხულთა შორის „სხვა“ ასარჩევ კატეგორიაში 1,30% პენსიონერი ქალი მოხვდა.

თუ გადავხედავთ კატეგორიათა მრავალფეროვნებას შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიღებულ მონაცემებში თითქმის ყველა სფეროში მოღვაწე ქალთა საჭიროებაა წარმოდგენილი **(დიაგრამა 2).**



II ბლოკი: ეკონომიკური უსაფრთხოება

ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილურობა ოჯახის ფინანსურ შემოსავალს ეფუძნება, რაც ხშირად შემოსავლის სტაბილურობით განისაზღვრება. ანკეტური გამოკითხვით მიღებული სურათი გვიჩვენებს, მოსახლეობის ფინანსური შემოსავალი რა წყაროზეა მიბმული. გამოკითხულთა 33,98% სახელფასო ანაზღაურებას მიიჩნევს შემოსავლის ძირითად წყაროდ. 25,49%-ისთვის ფულადი გზავნილებია ოჯახის შემოსავლის წყარო, რასაც საფუძვლად უდევს ამ მუნიციპალიტეტში ქალთა მაღალი მიგრაცია სხვადასხვა ქვეყანაში. პენსია შემოსავლის ძირითადი წყაროა

22,97%-ისთვის. 14,97% საოჯახო მეურნეობაშია ჩართული და აქედან მიღებული შემოსავლით საზრდოობს. ახლობლების დახმარებას იყენებს 15,03%. 14,37% მცირე ბიზნესიდან იღებს შემოსავალს, სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა კი შემოხაზა 12,41%-მა **(დიაგრამა 3).**



ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება დასაქმების ნაკლები პერსპექტივები, რასაც ეთანხმება 67,32%. აღნიშნულ მონაცემებს ოდნავ ჩამორჩევა 63,39%, რომელთა აზრით, დაბალი ფინანსური შემოსავალი ეკონომიკური გაძლიერების შემაფერხებელ ფაქტორებში მოიაზრება. 41,83%-ისთვის ასეთი ბარიერი იძულებითი მიგრაციაა, რაც ქვეყნიდან მუშახელის გადინებით არის განპირობებული. ინფლაცია და მაღალი ფასები მიიჩნევა 14,37%-ისთვის ეკონომიკის გაძლიერების შემაფერხებელ ფაქტორად, ხოლო გამოკითხულთა 22,87% მაღალპროცენტიან სესხებს და კრედიტებს ასახელებს. გამოკითხულთა 12,41% ამბობს, რომ არ არსებობს ბიზნესისთვის ხელის შემწყობი გარემო, ზუსტად იგივე რაოდენობის რესპონდენტის აზრით, პანდემიის გამო შეწყვეტილი ბიზნეს საქმიანობის აღდგენა შეუძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. თუ ქალებს დასაქმების კუთხით არ ექნათ მხარდაჭერა, თუნდაც ბავშვების მოვლის გახანგრძლივებული სერვისები ბაღებში, სკოლებში, ამ პირობებში მარტოხელა დედებს, მრავალშვილიან ქალებს ძალიან გაუჭირდებათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა - ამ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხულთა 11,76%.

> **„ვისაც მუშაობა შეუძლია, საქართველოდან მიდის. კაცს ვერ იშოვი დამხმარეს. რამე რომ გაგიჭირდეს. ამას წინათ ჩემს ქუჩაზე მეზობელი გარდაიცვალა და კაცები ვერ იშოვეს. ახლა ქალების მოგრაციაც გაიზარდა. რა ააყვავებს ჩვენს ეკონომიკას? აღარ დარჩა მუშახელი“ - მ.ბ., 57 წლის, დასაქმებული, ადგილობრივი.**

> **„ბანკებს იმხელა პროცენტები აქვს ვერ მიეკარები, ვინც ბანკიდან აღებული სესხით საქმე წამოიწყო, ყველა გაკოტრდა. ახლა უკვე ყველა დაშინებულია, ბანკებს არავინ ენდობა“ - მ.ბ., 42 წლის, დევნილი.**

თვისებრივ მონაცემებში ფიქსირდება, რომ პანდემია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გახდა ეკონომიკის განვითარებისთვის. მონაწილეთა აზრით, ამ ბარიერის დასაძლევად ახალი მხარდამჭერი პროგრამების შექმნაა აუცილებელი.

> **„ერთი წელი რომ ბიზნესს გააჩერებ, ჩათვალე, რომ ის დამთავრებულია. სახელმწიფო თუ არ დაეხმარა ხალხს, ძალიან ძნელია ყველაფრის თავიდან დაწყება. ახლაა საჭირო რაც შეიძლება მეტი და მეტი პროგრამა, რომ ხალხმა შეძლოს საქმის ხელახლა წამოწყება. ერთჯერადი დახმარებები ვერაფერს შეცვლის“ - ფ.დ., 61 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.**

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, გაცხადდეს, **რამდენად არის ინფორმირებული მო-**

სახლეობა სოფლის მეურნეობის განვითარების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებზე. გამოკითხულთა უმრავლესობას (50,98%) ახსენდება „აწარმოე საქართველო“, 30,06%-ისთვის ნაცნობი აღმოჩნდა პროგრამა „დანერგე მომავალი.“ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამებზე აქვს გარკვეული სახის ინფორმაცია გამოკითხულთა 26,79%-ს. 22,22% აცხადებს, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებზე აქვთ ინფორმაცია. სხვადასხვა პროფესიული გადამზადების პროგრამას იცნობს საერთო რაოდენობის 25,49%. ამ ფონზე სერიოზულ დისბალანსს ქმნის იმ მოქალაქეთა განაცხადი, რომლებსაც საერთოდ არა აქვთ არანაირი ინფორმაცია მსგავს პროგრამებზე. თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ ასეთი კონტინგენტი 30,71%-ია, მკაფიოდ იკვეთება ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობა.

საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმელად ყველაზე მეტად რა არის საჭირო? - აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულთა უმრავლესობა - 59,47% ხელმისაწვდომ კრედიტებს ასახელებს. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს შეუძლია ხელსაყრელი გარემოს შექმნა - ასეთია გამოკითხულთა 53,59%-ის მოსაზრება. 43,13% მიიჩნევს, რომ საგრანტო პროგრამების სიმრავლე მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემდა ამ მიმართულებით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დანერგვას მიიჩნევს გამოსავლად გამოკითხულთა 35,94%. სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობების მხარდაჭერა ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა საოჯახო მეურნეობის განვითარებისათვის, ადასტურებს 21,56%. ბიზნეს პროექტების წერაში საკონსულტაციო სერვისებს ითხოვს 6,53%, 29,41% კი პირდაპირ მიანიშნებს, რომ მოსახლეობას მეტი ინფორმირება სჭირდება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე **(დიაგრამა 4).**



თუ გადავხედავთ მიღებულ მონაცემებს, კარგად ჩანს, რომ გარკვეულ ნაწილთან ჯერ კიდევ სამუშაოა ინფორმაციის დეფიციტის შესავსებად. ამავდროულად აშკარაა, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამებზე. მომდევნო შეკითხვა შესაძლებლობას იძლევა, გაირკვეს, **საიდან იღებენ მოქალაქეები ინფორმაციას ეკონომიკური პროგრამების შესახებ.** გამოკითხვაში 45,09% პირველწყაროდ ასახელებს რადიო/ტელევიზიას. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდით სარგებლობს და სწორედ აქედან იღებს ინფორმაციას 40,52%. იგივე რაოდენობა ამბობს, რომ ონლაინ მედიასაშუალებებს, სოციალურ ქსელებს ეყრდნობა. საინფორმაციო დაფებს, საინფორმაციო ფურცელს იყენებს პირველწყა-

როდ 22,22%, ხოლო 26,79%-ისთვის მეზობელი ან ნაცნობი ხდება ინფორმაციის მიმწოდებელი და გამავრცელებელი. შედარებით მცირე ნაწილი - 11,11% მერის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციით სარგებლობს.

გამოკითხვა ადასტურებს, რომ ცენტრალური სამინისტროს ვებგვერდებს იყენებს 16,33%. არასამთავრობო ორგანიზაციებს პირველწყაროდ ასახელებს მხოლოდ 1,37%, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირით. **აღნიშნული ხარვეზის შესავსებად საგულისხმოა არასამთავრობო სექტორის, როგორც ინფორმაციის გამავრცელებლის როლის და მისიის გაზრდა.**

„სოფლის რწმუნებული არის ძირითადი წყარო, რომელიც მოსახლეობას აგებინებს უახლეს ინფორმაციებს. მუნიციპალიტეტის მერთან ნებისმიერი მოქალაქის კომუნიკაცია ხელმისაწვდომია. მოსახლეობაც ავრცელებს ერთმანეთში ინფორმაციას“ - ნ.გ., 49 წლის, ადგილობრივი, მრავალშვილიანი დედა.

„მოსახლეობა არ არის ინფორმირებული ბევრ პროგრამაზე, რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს. სასურველია, ბუკლეტების სახით იბეჭდებოდეს და ურიგდებოდეს მოსახლეობას, ვინაიდან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია ინტერნეტით მოსმსახურეობის უნარ-ჩვევები“ - დ.გ., 34 წლის, დევნილი, სოციალურად დაუცველი.

„თუ მოსახლეობისთვის არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი, მას ჰყავს სოფლის რწმუნებული და მისგან შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია. სოფლისათვის მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად ტარდება კრებები, სადაც მოსახლეობა ღებულობს მონაწილეობას. სოციალური ქსელებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ მერსაც მისწერონ თავიანთი პრობლემების შესახებ. ასევე არსებობს მერიის ცხელი ხაზი, სადაც მოსახლეობა ღებულობს ამომწურავ ინფორმაციებს“ - დ.ლ., 34 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„ჩემთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს მერიის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. აქ თავმოყრილია ყველა ის საქმიანობა, რასაც მერია ახორციელებს. დაინტერესებული პირებისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომ სოფლად მცხოვრები საშუალო ასაკზე მეტი მოსახლეობისთვის ეს სერვისი არ არის ხელმისაწვდომი და ამიტომაც სასურველია დაინერგოს სხვა ალტერნატივები“ - ი.რ., 38 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„მე როგორც პენსიონერს, არ მაქვს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება და ამიტომ ინფორმაციას, ძირითადად, ვიღებ მეზობლებისგან, ახლობლებისგან. შეიძლება ყოველი წლის დასაწყისში გამოიცეს ბუკლეტები, სადაც ჩაწერილი იქნება მერიის ყველა პროგრამა. ჩახედავს და იქნება ხელმისაწვდომი“ - მ.ს., 68 წლის, პენსიონერი, სოციალურად დაუცველი, ადგილობრივი.

საინტერესო ვერსიებს გვთავაზობს გამოკითხულთა ის კატეგორია, რომელიც ვერ ან არ იღებს საჭირო ინფორმაციას. **რა გიშლით ხელს თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღებაში? - აღნიშნულ კითხვაზე** 68,62% მკაფიოდ აცხადებს, რომ არასაკმარისი კომუნიკაციაა მოსახლეობასა და სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს შორის. 19,60% არ ინტერესდება სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით, რასაც საფუძვლად უდევს ნიჰილიზმი და უნდობლობა.

> **„არ მჯერა ასეთი პროგრამების, მიიღებ კონკურსში მონაწილეობას და მერე ისეთი ვინმეები იმარჯვებენ, გაგიკვირდება“ - მ.ფ., 37 წლის, უმუშევარი.**

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ 9,80% ინფორმაციას ვერ იღებს ინტერნეტის არქონის გამო. ვისაც აქვს ინტერნეტი, ისინიც ვერ ფლობენ შესაბამის უნარებს, ეძებონ ელექტრონულ პორტალზე საჭირო ინფორმაცია **(დიაგრამა 5).**

„ვერც ვერაფერს გავიგებთ ინტერნეტით, რადგან არაგვაქვს. რომც გვქონდეს ინტერნეტი, მარტო ფეისბუქი ხომ არ არის, ნახევარზე მეტი ვერ შედის იმ საიტზე, სადაც ასეთი პროგრამებია“ - მ.დ., 61 წლის, პენსიონერი, სოციალურად დაუცველი.

„სენაკის მერიას ძალიან კარგად აქვს გაკეთებული ფეისბუქგვერდი. ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია. სამწუხაროდ, ზოგჯერ თვითონ მოსახლეობას ნაკლებად აქვს ამის სურვილი. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობაში არ არის საკმარისი ცოდნა, თუ როგორ გამოიყენოს არსებული სერვისები“ - მ.ქ., 48 წლის, ადგილობრივი.



III ბლოკი: სასურსათო უსაფრთხოება

სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტში არსებული საფრთხეები, ძირითადად, საკვები პროდუქტების ღირებულებას და ხარისხს უკავშირდება. გამოკითხულთა 83,66% ყველაზე მეტ საფრთხეს ხედავს პროდუქტების გაზრდილ ღირებულებაში, მათ შორის 21,09% დევნილია და 50% - ადგილობრივი. 68,62%-ისთვის ხარისხიანი პროდუქტების არარსებობაა განსაკუთრებული საფრთხე. 12,41% მთავარ პრობლემად მიიჩნევს მათ სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობას, რაც სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტში არსებულ რისკს მაღლა სწევს.

IV ბლოკი: საზოგადოებრივი უსაფრთხოება

საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომპონენტში გამოკითხვა, ძირითადად, თემში არსებული პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრას ეფუძნება. გამოკითხულებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ყველაზე აქტუალური პრობლემების პრიორიტეტულობა განესაზღვრათ. მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ 41,83% პრიორიტეტულ საკითხებში სანიაღვრე არხების არარსებობას მიიჩნევს. 35,29% საკანალიზაციო სისტემის გამართვას ასახელებს პრიორიტეტულ პრობლემებში. 32,67% თემისთვის აქტუალურ საკითხად მიიჩნევს სოფლის შიდა გზების მოწესრიგებას. 28.75%-ისთვის ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებაა პრიორიტეტული, 26.79%-ს აწუხებს წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება. ფეხით მოსიარულეთათვის ბარდიურების, ტროტუარების მოწესრიგება მნიშვნელოვან პრობლემად მიჩნევა 20,26%-ისთვის. გარე განათებების გამართვის აუცილებლობაზე მიანიშნებს 16,99%. სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების - სამკერვალოების, სალონების - არარსებობას აქტუალურ პრობლემად მიიჩნევს 11,76%. სკოლისგარეშე წრეების არარსებობა აღელვებს გამოკითხულთა 13,72%-ს. 11,76%-ისთვის დასაქმებული დედებისთვის ბავშვის მხარდაჭერის სერვისებია აქტუალური **(დიაგრამა 6).**



მონაწილეთა მხრიდან ფოკუსური ინტერვიუთი მიღებული მონაცემები რაოდენობრივს ემთხვევა. როგორც ირკვევა, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის არარსებობა უსაფრთხოების კომპენენტში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს, სახელდება კონკრეტული თემიც, მაგალითად, დევნილთა დასახლება, ე.წ. „სამხედრო ქალაქი“, სადაც აღნიშნული პრობლემა უფრო მასშტაბურად ჩანს.

„სენაკში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების გამიჯვნის არარსებობა. მაგალითად, დევნილთა დასახლებაში ეს პრობლემა წლებია, არსებობს, წვიმის დროს წყლით ივსება სარდაფები. ქუჩები მთლიანად იტბორება. 2008 წელს ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც ძველი საკანალიზაციო სისტემა მოშალეს და გააკეთეს ახალი, რომელიც არ ჩაედინება ცენტრალურ კოლექტორში, რადგან დახრილობა აქვს უკან, რაც იწვევს კანალიზაციის მასების სანიაღვრე არხში ჩადინებას, შესაბამისად, წყალი ეზოში ამოდის და იტბორება“ - მ.ს., 45 წლის, დევნილი.

„სასმელი და ტექნიკური წყლის მცირე რესურსია სოფელში. სოფელს არ აქვს წყალმომარაგება, ხოლო გაზაფხულიდან შემოდგომამდე ჭებში და ჭაბურღილებში წყლის დონე იკლებს. წელიწადის ამ დროს მოსახლეობა ტექნიკურ წყალს ეზიდება მდინარე ტეხურადან, ხოლო სასმელი წყალი იძულებულია შეიძინოს. მერიას მივმართეთ რამდენჯერმე განცხადებით, მაგრამ არ გააჩნიათ ფინანსური რესურსი ამ პრობლემის მოსაგვარებლად“.

მოქალაქეთა პოზიციებს მთლიანად იზიარებს ადგილობრივი ექსპერტიც. პირისპირ ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციით დაუფარავად საუბრობს, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები სენაკის მუნიციპალიტეტისთვის დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს:

„მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული პრობლემაა საკანალიზაციო ქსელის არარსებობა. საკანალიზაციო არხები ჩაედინება სანიაღვრე არხებში და ეს იწვევს, რა თქმა უნდა, უდიდეს უსიამოვნებას და დისკომფორტს. პრობლემას ართულებს გამართული წყალგაყვანილო-

ბის სისტემის არარსებობა. ქალაქის ცენტრალურ უბნებში ფაქტობრივად წყალგაყვანილობა უვარგისია, ხშირად ხდება გამორთვები, სარემონტო სამუშაოების ან ავარიების გამო, რაც იწვევს მოსახლეობის გაღიზიანებას“ - ვ.ფ., ადგილობრივი ექსპერტი.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მაღალი ხარისხი ეფუძნება დაცულობის, სტაბილურობის შეგრძნებას. კითხვაზე **- რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის? -** გამოკითხულ ქალთა მაღალი მაჩვენებელი 66,01% კრიმინალის ზრდას ასახელებს. მათ შორის 25,71% დევნილია, 59,40% - ადგილობრივი. ქალებს განსაკუთრებით აწუხებთ თემში გავრცელებული ალკოჰოლიზმი და ნარკომანია - 49,67%. გაუმართავი საგზაო მოძრაობა აშინებს გამოკითხულთა 25,49%-ს. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 17,64%-ისთვის განსაკუთრებული მღელვარების საგანს წარმოადგენს. გამოკითხულთა 15,03%-ს საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება აღელვებს. 17,64% მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციის მაღალი მაჩვენებელი სერიოზული პრობლემაა. უმცირესობების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალ ხარისხს ამჩნევს 11,11% **(დიაგრამა 7).**



„ჩვენს თემში არის სამანქანო გზა, სადაც არის მკვეთრი მოსახვევი. ხშირია ამ ადგილას ავტოსაგზაო შემთხვევები. სასურველია დამონტაჟდეს „ჭკვიანი კამერები“ ან ე.წ. ,,მწოლიარე პოლიციელი“- სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი, რაც თავიდან აგვარიდებს სავალალო შემთხვევებს. ეს პრობლემები აისახება მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც“ - მ.ს., 49 წლის, ადგილობრივი.

„საბავშვო ბაღში მისასვლელი გზის გაუმართაობის გამო, მშობლებს უჭირთ ბავშვების ბაღამდე მიყვანა, რადგან სამანქანო გზა წარმოადგენს ცენტრალურ ავტომაგისტრალს, სადაც დიდი ინტენსივობით მოძრაობენ ე.წ. ტრაილერები და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების არარსებობის გამო, გადაადგილება საშიშია“ - ვ.დ., 34 წლის, ადგილობრივი, მრავალშვილიანი დედა.

„სასტუმრო ,,ვერსალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ არსებობს ტროტუარი, არ არის მანქანების პარკინგისთვის გამოყოფილი ადგილი, რაც იწვევს ფეხით მოსიარულეთა გზის დაკავებას. ადრე აქ ავტომობილების მოძრაობა იყო ცალმხრივი და სიტუაციაც მეტ-ნაკლებად უკეთესი იყო. სასურველია, აღდგეს ადრე არსებული ეს რეგულაცია“ - ნ.კ., 56 წლის, ადგილობრივი.

ხარისხიან განათლებაზე წვდომა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მაღალი ხარისხის ინდიკატორია. გამოკითხვიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ 64,05%-ს მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ამ კატეგორიაში მოხვდა მარტოხელა დედა - 14,28%, მრავალშვილიანი ქალი - 10,20%. მხოლოდ 23,52% ადასტურებს, რომ ხელი მიუწვდება განათლებაზე, 12,41%-ის პასუხი კი უარყოფითია.

უარყოფით პასუხებში ძირითად მიზეზად 49,67% ასახელებს დისტანციური სასწავლო პროცესის არასრულფასოვნად ჩატარებას, დაბალი ხარისხის ინტერნეტს. 27,45% მიიჩნევს, რომ სკოლებში არ არის სათანადო აღჭურვილობა და სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტები. 26,14% სწავლების დაბალ ხარისხს მიიჩნევს სერიოზულ მიზეზად. 24,83% პრობლემას ხედავს არასაკმარისი პროფესიონალი პედაგოგების რაოდენობაში. 15,68% ამბობს, რომ სკოლა სახლიდან შორსაა. 4,57%-ის აზრით, გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად ამცირებს.

„ჩვენს თემში, ვფიქრობ, პრობლემატურია განათლების პრობლემა. ბავშვებს ინტერნეტი არ აქვთ, გაკვეთილებს პანდემიის განმავლობაში ვერ ესწრებიან და მასალას არიან ჩამორჩენილები. გამგეობამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლების ინტერნეტიზაციას“ - ვ.გ. 39 წლის, ადგილობრივი.

„სოფელში არ არის სტადიონი, სოფლის ბიბლიოთეკაზე ზედმეტია ლაპარაკი. კლუბი კი გვაქვს, მაგრამ მოუწესრიგებელია. რა ქნან ახალგაზრდებმა, რითი დაკავდნენ?!“ - ც.ფ., 44 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„სამი შვილი მყავს და უამრავი პრობლემა მაქვს სწავლასთან დაკავშირებით. ყველა საგანში ვერ ვამზადებ. ძვირია და ამდენი თანხა არა მაქვს“ - მ.დ., 31 წლის, მარტოხელა დედა.

„მეცოდება ჩემი ახალგაზრდობა, მთელ სენაკში ერთ საინტერესო ადგილს ვერ ნახავ, რომ ახალგაზრდები შეიკრიბონ და რამე მოაწყონ. დევნილთა დასახლებას აქვს სათემო ორგანიზაცია, აქ ბევრი პროგრამაა ახალგაზრდებისთვის. ასეთი სათემო ორგანიზაციები უფრო მეტი უნდა იყოს, ახალგაზრდებს რეალიზების საშუალება უნდა მიეცეთ“ - მ.ს., 36 წლის, ადგილობრივი, მრავალშვილიანი დედა.

გამოკითხვიდან ცნობილი ხდება, რამდენად ხელმისაწვდომია უმაღლესი განათლება. მიღებული ინფორმაციით, 64,05% ამბობს, რომ ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი. 33,33%-ს დადებითი პასუხი აქვს. 6,53% მიიჩნევს, რომ მათთვის არ არის ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების მიღება. 47,71% ძირითად მიზეზად სწავლების მაღალ საფასურს ასახელებს, 28,75% აღიარებს, რომ რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის ხელმიუწვდომელია უფასო საცხოვრებელი, რაც სერიოზული პრობლემაა. 18,95%-ის აზრით, არ არსებობს სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსები, რაც აფერხებს აბიტურიენტს, შეარჩიოს მისთვის საუკეთესო პროფესია.

V ბლოკი: ჯანმრთელობის უსაფრთხოება

ჯანმრთელობის უსაფრთხოების მაღალ კოეფიციენტს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ჯანდაცვის პროგრამების სიმრავლე, უფასო სკრინინგ პროგრამები, პროფესიონალი მედიკოსების არსებობა, ხარისხიანი მედიკამენტები და მკურნალობა. გამოკითხვიდან მიღებული ციფრები რეალურად ასახავს ქალთა დამოკიდებულებას ამ სფეროში არსებული პრობლემების მიმართ და გვიჩვენებს **ჯანდაცვის კუთხით პრობლემათა აქტუალურობას და პრიორიტეტულობას მათ ოჯახებში, ან თემში. გამოკითხულთა დიდი ნაწილი** 73,85% მკაფიოდ მიანიშნებს, რომ განსაკუთრებული საფრთხეა მათთვის მედიკამენტების მაღალი ფასები. 35,29%-ს აშინებს უხარისხო სამედიცინო მომსახურება. ის, რომ სოფლებში, ადგილებზე არ არსებობს უფასო სამედიცინო კვლევები აღელვებს 32,02%-ს. 25,49% ამბობს, რომ მოსახლეობას არა აქვს ინფორმაციები ჯანდაცვის პროგრამებზე, რაც ამ სფეროში არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს. სამედიცინო პერსონალის სიმცირეში საფრთხის ელემენტებს ხედავს 24,83%. გოგონებისა და ქალებისათვის უფასო სამედიცინო სკრინინგ პროგრამების არარსებობა განსაკუთრებით პრიორიტეტულია 15,68%-ისთვის. 13,72% ფიქრობს, რომ მოსახლეობას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება აქვს და ამ პრობლემას მიიჩნევს პრიორიტეტულად. 8,49%-ისთვის კი იგპ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირეა აქტუალური პრობლემა **(დიაგრამა 8).**



ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემათა სიმრავლე კარგად აისახა თვისებრივი მონაცემებიდან მიღებული ინფორმაციით:

„სოფელში არის ამბულატორია, მაგრამ ვერ ვიღებთ ავადმყოფებს, რადგან არ არის პირობები, გაუმართავია ინფრასტრუქტურა. მოხუცებს უჭირთ ქალაქში გადაადგილება, ამიტომ თუ ძალიან არ გაუჭირდათ ექიმთან არ მიდიან. ამხელა სოფელში არ არის აფთიაქი. ეს მთელი სოფლის პრობლემაა“ - მ.ს., 59 წლის, ადგილობრივი, ძველი სენაკი.

„აუცილებელია ხანდაზმულების დეტალური ინფორმირება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებზე, ასევე ადგილობრივ დონეზე არსებულ სამედიცინო და სოციალურ პროგრამებზე. დედაჩემი რამდენი ხანია ავადმყოფობს. მისი პენსია წამლებს არ ყოფნის და სულ ახლახან გავიგე ერთლარიანი წამლების შესახებ. და ისიც შემთხვევით. უნდა იყოს ასეთი ინფორმაციები მოსახლეობისთვის ცნობილი“ - ს.დ., ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი.

„ხანდაზმულთა უმრავლესობას ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა აქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა; გააკეთონ პერიოდულად აქციები მოთხოვნად წამლებზე. ასევე მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დონეზე შესწავლილ იქნას სოციალურად დაუცველების და ხანდაზმულების სამედიცინო საჭიროებები, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთონ რწმუნებული და სოფლის დეპუტატი“ - მ.ა., 59 წლის, ადგილობრივი.

„ძალიან ართულებს მდგომარეობას ყოველდღიურად გაზრდილი ფასები მედიკამენტებზე, რაც პენსიით ძნელი შესაძენია, კარგი იქნებოდა, რომ წამლების ფასები დარეგულირდეს და ყოველ 10-15 დღეში არ მერყეობდეს, მართალია, არსებობს პენსიონერებისთვის იაფი წამლები ჯანდაცვის სამინისტროს მითითებით, მაგრამ იმ ჩამონათვალში ბევრი ისეთი წამალი არ არის რაც სისტემატურად მჭირდება“ - მ.ს., 66 წლის, დევნილი, პენსიონერი.

როგორ ახერხებსს მოსახლეობა ზემოთჩამოთვლილი პრობლემის დაძლევას, რა საშუალებებს იყენებს ჯანმრთელობის გაუარესების დროს? - გამოკითხვიდან იკვეთება, რომ 39,86% -ის მკურნალობის ხარჯებს ძირითადად ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მიღებული მონაცემებით 33,98% ეწევა თვითმკურნალობას, რაც არაერთი მიზეზით არის განპირობებული.

„დროულად ვინ მიდის ექიმთან?! როცა ფეხზე დადგომას ვერ შეძლებ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ექიმს მიაკითხო. თუ არა და დავატარებთ ჩვენს დაავადებებს და ვმუშაობთ, სანამ შეგვიძლია. ჩვენ თვითონ ვმკურნალობთ, სანამ ჯანმრთელობა მოგვცემს ამის საშუალებას, როცა გართულდება მდგომარეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, ექიმს მივმართოთ“ - მ.ბ, 48 წლის, დასაქმებული, ადგილობრივი.

VI ბლოკი: პირადი უსაფრთხოება

ამ ბლოკში ძირითადი ფოკუსი გაკეთდა ოჯახური ძალადობის პრობლემაზე: გამოკითხვამ ცალსახად დაადასტურა, რომ ოჯახურ ძალადობას აქტუალურად მიიჩნევს 49,01%, ხოლო ძალიან აქტუალურად - 5,88%. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 26,79%-ისთვის პრობლემა დღემდე არ არის აქტუალური. კიდევ უფრო საგანგაშოა 24,18%-ის პოზიცია, რომლებიც აცხადებენ, რომ ამ კითხვაზე საერთოდ პასუხი არა აქვთ **(დიაგრამა 9).**

თქვენი მოსაზრებით, რამდენად აქტუალურია ოჯახური ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?



გამოკითხულები ძალადობის გავრცელებულ ფორმებში ფსიქოლოგიური ფორმის ძალადობას ასახელებენ - 61,43%, ხოლო 19,60% მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად ფიზიკური ძალადობის ფორმებია გავრცელებული. გამოკითხულთა 18,95% ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ძალადობის ფორმებიც საკმაოდ საყურადღებო ფორმაა.

„ყველგან ისმის გენდერული თანასწორობა, მაგრამ კულტურა და ტრადიციული დამოკიდებულებები საკმაოდ განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქალის ფუნქციებს ოჯახსა და სამეწარმეო საქმიანობის კუთხით, ქალი კუხნაში, გარეთა საქმეში - მამაკაცი. ასეთი ტენდენცია მაინც ძლიერია სოფელში“ - მ.ჩ., 57 წლის, ადგილობრივი.

„ქალი ოჯახში უნდა მუშაობდეს, ასე თვლიან სოფლის კაცები. გადაწყვეტილების მიღებაში ქალებს არ ეკითხებიან, შემოსულ თანხასაც ქმრები განკარგავენ. გენდერული თანასწორობა მხოლოდ ფურცლის თემაა. ფსიქოლოგიური ძალადობა არ მიიჩნევა ძალადობად“ - ლ.გ., 32 წლის, ადგილობრივი.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, საიდან იღებს, ან რა სახის ინფორმაცია ფლობს მოსახლეობა **მსხვერპლთა დახმარების** სერვისებზე. გამოკითხულთა უმრავლესობა 50,32% ამბობს, რომ ზოგიერთ მათგანს იცნობს. როგორც 20,26% ამბობს, კარგად იცნობს არსებულ სერვისებს. 29,41%-ს არა აქვს არანაირი ინფორმაცია.

მათი 48,38%, ვინც დადებითი პასუხი გასცა, ასახელებს, რომ მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებიდან იცის ცხელი ხაზის ნომერი. თავშესაფრის არსებობა იცის 12,90%-მა. ამდენივე პროცენტი ფლობს ინფორმაციას მუნიციპალურ სერვისებზე და უფასო იურიდიული სამსახურების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებს იცნობს მხოლოდ 6,45%. კრიზისისულ ცენტრებზე ინფორმაცია არცერთ რესპონდენტს არ აქვს.

„პროგრამები, რომელიც არსებობს ჩვენი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე, საკმაოდ ეფექტურია. პრობლემა არის ის, რომ მოსახლეობის ფართო მასებმა არ იციან ამ პროგრამების შესახებ. სასურველიაამ პროგრამების გაცნობა მოსახლეობისთვის“ -მ.დ., 42 წლის, სოციალურად დაუცველი.

„ახლა, ამ შეხვედრაზე გავიგე, რომ ყოფილა რაღაც დახმარება და მხარდაჭერა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. ვისურვებდი, უფრო მეტი ვიცოდე, რა პროგრამებია და სადაა, ან ვის მივაკითხო. ჩვენმა რწმუნებულმა არ იცის ამის შესახებ? უნდა გვიამბოს“ - ვ.გ., 32 წლის, ადგილობრივი.

„სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედებს პროგრამა, რომელსაც ძალადობის მსხვერპლთა პროგრამა ჰქვია. ძალადობის მსხვერპლ სუბიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ შემაკავებელ ორდერს პოლიციისგან, ეძლევათ ერთჯერადი 200-ლარიანი დახმარება. მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ასევე კაციც. ამ პროგრამის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლს მერია უზრუნველყოფს ბინის ქირით“ - ადგილობრივი ექსპერტი.

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმირების წყაროდ ძირითადი ნაწილი - 41,17% ტელევიზიებს ასახელებს. შემდეგ ადგილზეა სოციალური ქსელით ინფორმაციის მიმღებთა ნაწილი 35,29%. არასამთავრობო ორგანიზაციებს მოიაზრებს პირველწყაროდ 11,11%, ხოლო მხოლოდ 5,88% იღებს ინფორმაციებს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. 5,2% ასახელებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და საინფორმაციო ფურცლებს **(დიაგრამა 10).**



საინტერესო საკითხია, რამდენად ხელმისაწვდომია არსებული სერვისები მოსახლეობისთვის. გამოკითხული ქალების პოზიციები პროცენტებში შემდეგნაირად გამოისახა: 48,36% აცხადებს, რომ არასაკმარისად ხელმისაწვდომია, 44,44% ადასტურებს ხელმისაწვდომობას, ხოლო 48,36%-ის აზრით, საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

რამდენად საკმარისია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები - ამ საკითხის მოკვლევით დასტურდება, რომ 43,79%-ის აზრით ნაწილობრივ არის საკმარისი. 18,95% საერთოდ არ იცნობს არანაირ პროგრამას. 15,68% ადასტურებს, რომ ის პროგრამები, რომელიც თვითმმართველობაში მუშაობს, სავსებით საკმარისია. 11,11%-ის აზრით, მნიშვნელოვანია ამ პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება.

პროგრამათა გამრავალფეროვნების აუცილებლობაზე საუბრობენ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებიც და თვითმმართველობასთან შეხვედრების დანერგვის აუცილებლობას ადასტურებენ.

„თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის შეხვედრის ფორმატი სასურველია აუცილებელი გახდეს. უნდა არსებობდეს მოსახლეობის ჯგუფთან საჯარო შეკრებები, კრებები. თუმცა არის შემთხვევა, როცა პირადი პრობლემის მოგვარება არის საჭირო. ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეხვედრას ვანიჭებ უპირატესობას“ - ვ.ლ., 31 წლის, ადგილობრივი.

„ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ნდობა უნდა მოიპოვოს. ამისთვის საჭიროა, უშუალოდ გაეცნოს ადგილებზე პრობლემებს. მეტი აქტიურობაა საჭირო. მოქალაქე მხოლოდ პრობლემის მოსაგვარებლად არ უნდა მიმართავდეს ხელისუფლებას პრობლემამდეც უნდა ჰქონდეს კომუნიკაცია“ - მ.ხ., 51 წლის, ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი.

„მთავარია, უფრო ეფექტიანი გახდეს კომუნიკაცია მოსახლეობასთან. საჭიროა საინფორმაციო ფორმატის შერჩევა. შეიძლება შეიქმნას უბნების მიხედვით მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც ინფორმაციას მიაწვდიან მოსახლეობას“ - დ.ზ., 48 წლის, დევნილი.

VII ბლოკი: ეკოლოგიური უსაფრთხოება

ეკოლოგიური უსაფრთხოების სეგმენტში ქალთა მღელვარებას იწვევს ის არადამაკმაყოფილებელი სიტუაცია, რომელიც არსებობს მათ თემში სანიტარული, გარემოს დაცვის კუთხით. მართალია, უმრავლესობა თვლის, რომ ნორმალურია ამ კუთხით არსებული სიტუაცია - 68,62%, თუმცა 25,49% ნეგატიურ შეფასებას იძლევა და ცუდს უწოდებს არსებულ სიტუაციას. 5,88%-ისთვის ეკოლოგიური კუთხით არსებული სიტუაცია ძალიან ცუდია **(დიაგრამა 11).**

როგორია თქვენს ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია აგრემოს დაცვის კუთხით?



ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად სახელდება: საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა - 30,71%, სანიაღვრე მილების არარსებობა ან გაუმართაობა - 26,14%. 29,41%-ის აზრით, დაბინძურებულია ჰაერი. 13,72%-ისთვის სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობაა მთავარი პრობლემა.

„დაბინძურებულია რკინიგზის ტერიტორია, ვინაიდან ეს ობიექტი წარმოადგენს რკინიგზის დეპარტამენტის საკუთრებას, სენაკის მერიას არ აქვს უფლება, იქ აწარმოოს ინფრასტრუქტურული სამუშაოები (განათება, გაწმენდა). ამ ტერიტორიაზე ხალხი მოძრაობს და სერიოზული დისკომფორტი იქმნება“ - დ.ს., 42 წლის, ადგილობრივი, დასაქმებული.

„ჩვენს დასახლებაში არსებულმა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება. არის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკები. დაბინძურებულ წყალს, რომელიც მიედინება სანიაღვრე არხებში, სვამს პირუტყვი. ამ პირუტყვის ხორცითა და რძით იკვებება მოსახლეობა. რა თქმა უნდა, არსებობს საშიშროება, გაჩნდეს ინფექციური დაავადებები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, როპ პატარებს კვებავენ ამ რძით და მაწვნით, კიდევ უფრო რთული სიტუაციაა“ - მ.დ., ქალი, დევნილი, სოციალურად დაუცველი.

VIII ბლოკი: ზოგადი კითხვები

ზოგად კითხვებში თავმოყრილია ისეთი საკითხები, რომლებიც ნათელს ხდის ადამიანური უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და რა ინტენსივობით ხდება კომუნიკაცია.

კითხვაზე, მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის პირადი, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად? -გამოკითხულ ქალთა 43,13% აცხადებს, რომ არ მიუმართავს. უარყოფითია 19,60%-ის აზრიც, რომელიც მიზეზად უნდობლობას ასახელებს და აცხადებს, რომ რეაგირების იმედი არ აქვს. თვითმმართველობასთან კომუნიკაციას ადასტურებს გამოკითხულთა 37,25% (დიაგრამა 12).



„2013 წლის წყალდიდობის დროს დიდი ზიანი მიადგა ჩემს საცხოვრებელ სახლს. იმ დროს მერიის მხრიდან ყურადღება არ მომკლებია, მაგრამ პრობლემა ისევ მოუგვარებელია. გვაქვს გელოლოგების დასკვნა, რომ სახლი მდებარეობს მეწყერსაშიშ ზონაში და იქ ცხოვრება საფრთხის შემცველია. მერე გაგრძელება არ ჰქონია ამ საკითხს“ - მ.დ., 54 წლის, ადგილობრივი.

„დედის ავადმყოფობის დროს ვითხოვე დახმარება და მეორე, ჩემი საცხოვრებლის გვერდით არსებული სანიაღვრე არხის გაწმენდა. ვერც ერთი პრობლემა ვერ მომიგვარდა. დიდი ზარალი მომადგა წყალდიდობის დროს. ეს იყო წლების წინ და დღეს უკვე მგონია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ვერ აგვარებს მსგავს პრობლემებს. შესაბამისად, არ ვაქტიურობ მათთან კომუნიკაციით. უფრო მეტიც, არანაირი სურვილი არ მიჩნდება მათთან ურთიერთობის“ - მ.ს., 49 წლის, ადგილობრივი.

„როცა გავიკეთე ოპერაცია და მომცეს საბუთები მერიაში წარსადგენად დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე, შეგნებულად არ მივმართე მერიას, არ მქონდა დაფინანსების იმედი“ - ს.გ., 61 წლის, სოციალურად დაუცველი.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის ყველაზე ეფექტიან ფორმატად 50,98% ასახელებს სოფლის კრებას. თვისებრივი მონაცემებიც ადასტურებს, რომ მოსახლეობა სწორედ ამ კრებებიდან იღებს ყველაზე საჭირო ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, რომ 26,14% კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას იყენებს. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ესწრებიან საკრებულოს სხდომებს, 6,53%-ია. ამდენივე ისმენს მერის ანგარიშებს, ჩართულია ბიუჯეტირების პროცესში, მონაწილეობა მიუღია პეტიციაში.

რამდენად პასუხობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს? - გამოკითხვით მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებელი ადასტურებს, რომ 46,40%-ის აზრით, ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. გამოკითხულთა 26,14% მიიჩნევს, რომ პროგრამები არ არის გათვალისწინებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის. 27,45% თავს იკავებს კატეგორიული შეფასებისგან და აცხადებს, რომ არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა, რაც ამ კითხვაზე უტყუარ პასუხს მოგვცემდა.

თვისებრივი ინფორმაციებიდან მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის საჭიროებათა კვლევაზე იყოს დაფუძნებული საბიუჯეტო პროგრამები და ყველა მოწყვლადი ჯგუფის ინტერესებს ასახავდეს.

> **„აუცილებელია, ტარდებოდეს კვლევები, მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე. მსგავსი საქმიანობის შესახებ არაფერი მსმენია. კომუნიკაცია მოსახლეობასთან მხოლოდ არჩევნების პერიოდში არ უნდა ხორციელდებოდეს. ამას უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და პროგრამებიც უნდა შემუშავდეს კვლევების შედეგად“ - ს.დ., 42 წლის, ადგილობრივი.**

> **„ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის არანაირი პროგრამა არ მოქმედებს. გადავიტანე ინსულტი და არ შემიძლია მუშაობა. ასაკის გამო არ მეძლევა ინვალიდობის პენსია. შემიძლია, შევასრულო ისეთი საქმე, რომელიც არ მოითხოვს ფიზიკურ დატვირთვას. იქნებ ჩემი კატეგორიის ადამიანებისთვის შემუშავდეს პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს სამოქალაქო ინტეგრირებას“ - მ.დ., 53 წლის, ადგილობრივი.**

ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი მაჩვენებელი ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური მიმართულებით ქალთა ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება და სხვადასხვა პრობლემაში ვლინდება. გამოკითხულ ქალთა 79,73% ადასტურებს, რომ გაზრდილია სტრესი და დაძაბულობა საზოგადოებაში. 49,01% ჯანმრთრლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე აკეთებს აქცენტს.

უიმედობას და მომავლის შიშს სერიოზულ პრობლემად აღიქვამს 47,05%. ამდენივე რესპონდენტი ფსიქოლოგიურ პრობლემებზე მიანიშნებს. 30,71%-ის აზრით, არსებული პრობლემები საგანგაშოდ ზრდის ქალთა მიგრაციას. 13,72% გახშირებულ ოჯახურ კონფლიქტებზე და ქალზე ძალადობის შემთხვევებზე იწყებს კონცენტრირებას, 13,72%-ს განსაკუთრებით აშინებს საზოგადოების საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები. 12,41%-ის აზრით, ძალიან მაღალია დაუცველობის შეგრძნება.

დასკვნა: მიღებული მონაცემების შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი პროგრამების ცნობადობის მიზნით მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაფართოება და საჭიროებათა შესწავლით სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება.

რეკომენდაციები

- პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამისი პროგრამების დანერგვა ადგილობრივ ბიუჯეტში.
- ადგილობრივი საჭიროებების შესწავლა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და შესაბამისი პროგრამების შექმნა.
- მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მოხალისეთა ჯგუფების შექმნა ადგილებზე და თვითმმართველობის პროგრამებზე მოსახლეობის ინფორმირება.
- ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა.
- სათემო ორგანიზაციების შექმნა და ახალგაზრდული პროგრამების დანეგვა.
- განათლების სფეროში განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, წამახალისებელი პროგრამები წარჩინებული მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის.
- ჯანმრთელობის უსაფრთხოების კომპონენტში არსებული საფრთხეების ანულირების მიზნით სოფლებში სამედიცინო ჯანპუნქტების ინფრასტრუქტურული გამართვა და აღჭურვა.
- ცენტრალურ მაგისტრალზე ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერების მიზნით შესაბამის უწყებებთან თვითმმართველობის შუამდგომლობით, „ჭკვიანი კამერების“, მწოლიარე პოლიციელების დამონტაჟება.
- მერიის სოციალურ პროგრამებში ხანდაზმულთათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამების დანერგვა.
- სოფლებში სკრინინგ პროგრამები ქალთა და გოგონათა ჯანმრთელობის პრევენციის მიზნით.
- ადგილებზე მობილური სამედიცინო ჯგუფების შექმნა ხანდაზმული მოქალაქეებისთვის.
- ოჯახური ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დახმარების ადგილობრივ პროგრამებზე მოქალაქეთა, ქალთა ინფორმირება, საინფორმაციო ფურცლების დაბეჭდვით და სხვა საშუალებებით.

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ლალი შენგელია

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

კვლევის მიზანი და მეთოდები

მოსახლეობის საჭიროებების შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ შემდგომში მათ დაეფუძნოს მუნიციპალური პროგრამები და გამოიყოს საბიუჯეტო თანხები მათი მოგვარებისთვის. ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ფონდი „სოხუმის“ პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისთვის“ ფარგლებში.

კვლევაში აქტიურად იყო ჩართული პროექტის ფარგლებში შექმნილი ქალთა საინიციატივო ჯგუფი. 2021 წლის აპრილში ჯგუფის წევრებმა გაიარეს სპეციალური სწავლება და მუშაობა წარმართეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევა გულისხმობდა ონლაინ კითხვარის შევსებას. კითხვარი შედგება რვა ბლოკისგან: დემოგრაფიული მონაცემები, ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, პირადი უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ზოგადი კითხვები. მსგავსი შეკითხვები შემუშავდა თვისებრივი კვლევისთვისაც, რომელიც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის და ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუს ტექნიკით.

კვლევის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება და მიღებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

მიღებული შედეგების ანალიზი

რაოდენობრივ ონლაინ კვლევაში უნდა ჩართულიყო 150 ქალი, მაგრამ კითხვარი შეავსო უფრო მეტმა - 172-მა. მათი ასაკობრივი მონაცემები ასეთია: 18-დან 30 წლამდე - 33 (19,18%), 31-დან 45 წლამდე - 66 (38,37%), 46-დან 65 წლამდე - 53 (30,81%) და 65 წლის ზევით - 20 (11, 62%).

თვისებრივი კვლევის მიზნით გაიმართა 4 ფოკუს-ჯგუფი ადგილობრივ სოციალურ ჯგუფებთან. პარალელურად ჩატარდა 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ - რესპონდენტებად შეირჩნენ ადგილობრივი ექსპერტები. თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის შედეგების დასაზუსტებლად თუ გასამყარებლად.

რაოდენობრივ კვლევაში ჩართულ ქალთა უმეტესობა იყო ადგილობრივი - 99 (57,55%), იყვნენ განსაკუთრებული სტატუსის მქონე მოქალაქეებიც: დევნილი - 62 (36,04%), სოციალურად დაუცველი - 37 (21,51%), მრავალშვილიანი დედა - 15 (8,72%), მარტოხელა დედა - 13 (7,55%), შშმ პირი - 6 (3,48%).



თვისებრივი კვლევისთვის სამიზნე ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდნენ მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, სოციალურად დაუცველი ქალები, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, შშმ პირები ან მათი ოჯახის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტთა სამუშაო სტატუსის (ძირითადი საქმიანობა) ამსახველი სურათი ასე გამოიყურება:

სახელმწიფოს მიერ დასაქმებული - 32 (18,60%), კერძო ბიზნესში დასაქმებული (ინდმეწარმე, თვითდასაქმებული) - 23 (13,37%), კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დაქირავებული - 12 (6,97%), სასოფლო-სამეურნეო საქმით დაკავებული - 18 (10,46%), სტუდენტი - 14 (8,13%), უმუშევარი - 69 (40,11%). უმუშევართა შორის: 22 დევნილია (31,88%), 43 - ადგილობრივი (62, 31%), 1 მარტოხელა დედა (1,44%) და 8 მრავალშვილიანი დედა (11,59%).



შეკითხვაზე, **ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი და თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო,** სადაც მონაწილეებს შეეძლოთ 2 პასუხის შემოხაზვა, შემდეგი მონაცემებია მიღებული: სახელფასო ანაზღაურება - 61 (35, 46%), მათ შორის: დევნილია 19 (31, 14%), ადგილობრივი - 21 (34, 42%), მარტოხელა დედა - 4 (6,55%) და მრავალშვილიანი დედა - 4 (6,55%).

დანარჩენი ჯგუფების შემოსავლის წყაროთა მაჩვენებლები ასე დაფიქსირდა: 51 ადამიანისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა პენსია (29, 65%), 36 რესპონდენტისთვის - სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა (20, 93%), ხოლო 45-ისთვის - დევნილის შემწეობა (26, 16%). საოჯახო მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს მიიჩნევს ძირითადად 51 ქალი (29,65%), მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავალს - 16 (9, 30%), 19 ადამიანისთვის განმსაზღვრელია ფულადი გზავნილი საზღვარგარეთიდან (11, 04%), ხოლო ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული 38 (22,09%).

ამათგან ცალკეა გაფილტრული მონაცემი - დევნილი მარტოხელა დედა. მათი რაოდენობა არის სამი და მათ აქვთ შემოსავალი სახელფასო ანაზღაურებისა და დევნილის შემწეობის სახით. რაც შეეხება მარტოხელა დედას, კვლევაში მხოლოდ ერთი იყო და მისი შემოსავალია სახელფასო ანაზღაურება.



პასუხის რამდენიმე ვერსია აქვს შეკითხვას **- რა შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ქალების ეკონომიკური გაძლიერებისათვის.** ერთის გარდა, ფაქტობრივად, ყველა ვერსია იქნა შემოხაზული: დასაქმების ნაკლები პერსპექტივები - 92 (53, 48%), დაბალი ფინანსური შემოსავალი - 85 (49, 41%), იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში - 50 (29, 06%), ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე - 89 (51, 74%), ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტურობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის - 29 (16, 86%), მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები - 0, კოვიდ-19-ის შედეგად შეწყვეტილი ბიზნეს საქმიანობის აღდგენაში ხელშეწყობა - 31 (18, 02%)

შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევა მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა დასაქმებული ქალებისთვის (მათ შორის, ბავშვის მოვლის/ზრუნვის გახანგრძლივებული სერვისები სკოლებსა და ბაღებში, მარტოხელა დედებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის), რაც ხელს უშლის ქალებს, რომ აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში. პასუხის ამ ვარიანტს დადებითად უპასუხა 26-მა გამოკითხულმა (3, 48%), მათ შორისაა: 7 დევნილი (26, 92%), 16 ადგილობრივი (61, 53%) და 6 მრავალშვილიანი დედა (23, 07%).



თვისებრივი კვლევის დროს მიღებული მონაცემებით კიდევ უფრო დაკონკრეტდა შემაფერხებელი ფაქტორების და ჩასატარებელი სამუშაოს ჩამონათვალი:

„ქალების გაძლიერებას ხელს შეუწყობს ტრენინგები და საგრანტო კონკურსები. მაგ., ჭრა-კერვის ან კულინარიის კურსები და შემდეგ მცირე დაფინასება“ (ჟ.ჯ., 46 წლის, დევნილი, დასაქმებული).

„მე პატარა ბავშვი მყავს და თუ ოჯახში ვიქნები დასაქმებული, უკეთესი იქნება, იმიტომ რომ ვერ ვტოვებ“ (ნ.ს., 42 წ., დევნილი, დიასახლისი).

„მქონდა პროექტი, მაქვს ფართი და მეზობლად მცხოვრები დევნილების დასაქმებასაც ვაპირებდი. არ გამოვიდა. უნდა ფინანსდებოდეს ასეთი პროექტები“ (მ.ქ., 52 წ., ადგილობრივი, დასაქმებული).

„განმუხურში გვაქვს ფართი საკმარისი, რომ შეიქმნას ჭრა-კერვის კურსები და მოხდეს ქალების გაძლიერება“ (ხ.ნ, 27 წ., დევნილი, სოციალურად დაუცველი).

შეკითხვაზე **- სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების რომელ (სოფლის მეურნეობის განვითარების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის) სახელმწიფო პროგრამებზე ფლობთ/გქონდათ ინფორმაცია,** პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: ყველაზე მეტად იცნობენ პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ - 127 (73, 83%), მათ შორის: დევნილი - 49 (38, 58%), ადგილობრივი - 73 (57, 48%), დანარჩენი მონაცემები ასე გამოიყურება: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა - 16 (9, 30%), დანერგე მომავალი - 56(32,55%), საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები - 75 (43,60%), სხვადასხვა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამა - 75 (43,60%) და საერთოდ არ აქვს ინფორმაცია 36 რესპონდენტს, რაც გამოკითხულთა 20,93%-ს შეადგენს.



საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობის, თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შესაქმელად ყველაზე მეტად რა არის საჭირო? ამ კითხვაზე შემოიხაზა სამი პასუხი და გაიფილტრა ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მიხედვით: ხელმისაწვდომი კრედიტები - 88 (51,16%), საგრანტო პროგრამები - 62 (36,04%), მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები - 99 (57,55%), მათ შორის: დევნილი - 34 (34,34%), ადგილობრივი - 49 (49, 49%), სოფლის მხარდაჭერის პროგრამები - 67 (38,95%), ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობის მხარდასაჭერად - 42 (24,41%), მოსახლე-

ობის მეტი ინფორმირება არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე - 92 (53, 48%), საკონსულტაციო სერვისები და დახმარება ბიზნეს პროექტების წერაში - 55 (31,97%).

საიდან იღებენ ინფორმაციებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პროგრამების შესახებ, ვინ არის პირველწყარო? გამოკითხვის შედეგები ასეთია: მუნიციპალიტეტის ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 39 (22,67%), ცენტრალური ხელისუფლების/სამინისტროს ვებგვერდი/ფეისბუქგვერდი - 19 (11,04%), საინფორმაციო ფურცლები/საინფორმაციო დაფები თემში - 20 (11,62%), მერის წარმომადგენელი თემში - 26 (15,11%), ადგილობრივი დეპუტატი - 26 (15,11%), ტელევიზია, რადიო - 116 (67,44%), ონლაინ მედიასაშუალებები, სოციალური ქსელები - 65 (37,79%), არასამთავრობო ორგანიზაციები - 83 (48, 25%), მეზობლები/ნაცნობები - 67(38,95%).

ფოკუს-ჯგუფებზეც აღინიშნა ინფორმაციის წყაროების შესახებ:

- **ინფორმაციას, ძირითადად, ვიგებ მეგობრისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.**
- **მოსახლეობა სარგებლობს სოციალური ქსელით.**
- **ორ სკოლაში ვასწავლი, ინფორმაციას ვიღებ სკოლიდან და მუნიციპალიტეტის გვერდიდან.**
- **ინფორმაციას იღებენ ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან, დეპუტატისგან.**
- **სოფლის წარმომადგენელი, დეპუტატი, მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები ხვდებიან მოსახლეობას და, აქედან გამომდინარე, თემში არ არის ინფორმაციის ნაკლებობა.**

შეკითხვაზე **- რა გიშლით ხელს თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღებაში?** პასუხებია ასეთია: არ ვინტერესდები ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით -16 (9,30%), მათ შორის 5 დევნილია (31, 25%) და 11 ადგილობრივი (56, 25%).

პასუხის სხვა ვერსიებზე ასეთი სურათი გამოვლინდა: არასაკმარისი კომუნიკაცია და მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან - 122 (70, 93%), მათ შორის: დევნილი - 43 (35,24%), ადგილობრივი - 75 (61,47%). არ აქვს ინტერნეტი 30 რესპონდენტს (17,44%), მათ შორისაა 11 დევნილი (36,66%), 15 ადგილობრივი (50%), 2 მარტოხელა დედა (6,66%), 14 სოციალურად დაუცველი (46,66%) და 2 მრავალშვილიანი დედა (6,66%).



„ინფორმაციის მიღებაში ხელს გვიშლის ინტერნეტის არარსებობა“ (ხ.ბ., 27 წ., დევნილი, სოციალურად დაუცველი).

შეკითხვაზე - **გაქვთ თქვენ ან თქვენს ოჯახის წევრებს საშუალება, გამოიყენოთ ხარისხიანი და მრავალფეროვანი საკვები პროდუქტები?** პასუხები არაა საერთოდ ატვირთული.

კითხვაზე - **თქვენთვის ყველაზე მეტად რა ფაქტორი უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს სასურსათო უსაფრთხოებას?** ქალებს შეეძლოთ, შემოეხაზათ ყველაზე პრიორიტეტული 2 ვერსია და, შესაბამისად, პასუხებიც ასე განაწილდა:

მაღალი ღირებულების პროდუქტები - 152 (88,37%), მათ შორის: დევნილი - 58 (38,15%), ადგილობრივი 85 (55,92%)

ხარისხიანი პროდუქტების არარსებობა - 124 (72,09%), მათ შორის: დევნილი - 54 (43,54%), ადგილობრივი - 63 (50,80%)

სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობა 43 (25%), მათ შორის: დევნილი - 7 (16,27%), ადგილობრივი - 34 (79, 06%)

ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური, ამ შეკითხვაზეც 3 ძირითადი პასუხის შემოხაზვა შეიძლებოდა და მონაცემები ასე განაწილდა: სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება - 41 (23, 83%), სანიაღვრე არხების გაკეთება - 52 (30, 23%), საკანალიზაციო სისტემის გამართვა - 56 (32,55%), სოფლის შიდა გზების მოწესრიგება - 89 (51,74%), წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება - 29 (16, 86%), ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 52 (30,23%), საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი, სამკერვალო, და ა.შ.) - 67 (38, 95%), გარე განათებების გამართვა - 41 (23,83%), ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების, ტროტუარების მოწესრიგება - 26 (15,11%), საბავშვო ბაღები - 6 (3,48%), სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები - 9 (5, 23%), სკოლის გარეშე წრეები ბავშვებისთვის - 21 (12,20%), ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები (სკოლის და ბაღის შემდგომი) დასაქმებული დედებისთვის - 16 (9,30%).



თვისებრივი კვლევის მონაცემებმა დააზუსტა პრობლემები, გაირკვა რესპონდენტების დამოკიდებულება მათ მიმართ:

„ძირითადი პრობლემაა უმუშევრობა, პანდემიაც დაემატა. ახალ ბინებში შეგვასახლეს, მაგრამ დღემდე სარდაფებში წყალია და ბევრი პრობლემაა ამის გამო“.

„ინგირში ძაან ცუდი გზებია, არ არის სანიაღვრეები. ჭებში საერთოდ წყალი არ გვაქვს, კარებთან გადის წყალი და ჩვენ არ გვაძლევენ, ეს ქალაქისაა“.

„განმუხურში დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემაა ცენტრალური წყლის დაერთება და გაუმართავი კანალიზაცია“.

„თემში არ არის აფთიაქი, ბანკი. ეს შემაფერხებელი ფაქტორი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით პანდემიის დროს გახდა თვალსაჩინო“.

„მოსახლეობაში დარიგდა თესლები და ბოსტნის დასამუშავებლად არ არის ტექნიკა“.

ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტებმაც ყურადღება გაამახვილეს არსებულ პრობლემებზე.

„ყველაზე პრიორიტეტულია სოციალური პრობლემა. ჯაჭვური რეაქციის პრინციპით, ის სხვა მრავალ მიმართულებაზე ახდენს სერიოზულ გავლენას. განათლების მიმართულებაზე სოციალურმა პრობლემებმა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში იჩინა თავი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა კარგი პლატფორმა, რომელიც ყველანაირად უწყობდა ხელს მასწავლებლებს, ვირტუალურ საკლასო ოთახში ჩაეტარებინათ გაკვეთილები. პრობლემა, რომელსაც წააწყდნენ ჩვენი კოლეგები, იყო წვდომა ინტერნეტთან. მშობლებმა, თავიანთი ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე (ბევრმა პანდემიის გამო სამუშაო ადგილი დაკარგა), ვერ შეძლეს ინტერნეტ პაკეტების შეძენა, ზოგიერთს არ ჰქონდა კომპიუტერი ან ტელეფონი, რომ დასწრებოდა ონლაინ გაკვეთილებს (ადგილობრივი ექსპერტი განათლების საკითხებში).

„მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამოცამდე სხვადასხვა სახის ქვეპროგრამას სწორედ ამ მიმართულებით. 2020 წლის პირველი სექტემბრიდან ჩვენ დაგვემატა კიდევ ახალი მიმართულება და ახალი პასუხისმგებლობა - ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება. ექვსშტატიანი განყოფილებაა და ეს არის კიდევ ახალი გამოწვევა ჩვენი სამსახურისთვის, მუნიციპალიტეტისთვის (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

კითხვაზე - **ჩამოთვლილთაგან, რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის,** მონაწილეებს შეეძლოთ, შემოეხაზათ 2 პრიორიტეტული პასუხი. შედეგად, მონაცემები ასე განლაგდა: კრიმინალის ზრდა - 136 (79, 06%), მათ შორის: დევნილი - 51 (37,5%), ადგილობრივი - 81 (59,55%), გაუმართავი საგზაო მოძრაობა - 19 (11, 04%), ალოკოჰოლიზმი/ნარკომანია - 109 (63,37%), მათ შორის: დევნილი - 43 (39,44%), ადგილობრივი - 59 (54,12%); საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება - 42 (24,41%), მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა - 18 (10,46%), დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალი დონე - 33 (19,18%), უმცირესობების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი ხარისხი - 27 (15,69%).



კითხვაზე **- აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა,** ასეთი პასუხები გაიცა: კი - 55 (31,97%), არა - 16 (9,30%. მათ შორის: დევნილი - 6 (37, 5%), ადგილობრივი - 8 (50%), სოციალურად დაუცველი - 5 (31,25%), მარტოხელა დედა - 1 (6,25%), მრავალშვილიანი დედა - 2 (12, 5%).

ნაწილობრივ - 101 (58, 72%), მათ შორის: დევნილი - 45 (44,55%), ადგილობრივი - 51 (50,49%), სოციალურად დაუცველი - 25 (24,75%), მარტოხელა დედა - 9 (8,91%), მრავალშვილიანი დედა - 10 (9,90%).

შემდეგი კითხვის პასუხებში ახსნილია მიზეზები (რესპონდენტებმა შემოხაზეს 2 ყველაზე ძირითადი): სწავლების დაბალი ხარისხი - 67 (38,95%), არასაკმარისი პროფესიონალი პედაგოგი - 43 (25%), გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა (ამორტიზებული, სარემონტო შენობა, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, წყლის არარსებობა და ა.შ.) - 28 (16,27%), სკოლა შორსაა სახლიდან - 23 (13,37%), სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა (კომპიუტერები, ინტერნეტი, სპეციალიზებული საგნობრივი კაბინეტები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ.) - 42 (24,41%), დაბალი ხარისხის ინტერნეტი (დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად) - 94 (54,65%).

ინტერნეტთან დაკავშირებით არაერთი კომენტარი გაკეთდა ფოკუს-ჯგუფების დროს, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პირობებში, ონლაინ სწავლებისას: ინტერნეტის გაუმართაობამ შეაფერხა მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართვა გაკვეთილებში.

აღინიშნა ასევე მხარდაჭერის პროგრამებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან.

„მერის გადაწყვეტილებით დაინერგა ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა, ქვეპროგრამა არის კონკრეტულად იმ სტუდენტების მხარდაჭერა, ვინც სწავლობს საზღვარგარეთ,

განისაზღვრება სამი ათასი ლარით და ირიცხება ერთჯერადად. ეს პროგრამა და ფინანსური საბიუჯეტო კოდი აერთიანებს სხვადასხვა პროგრამას: მერის სტიპენდია, სხვადასხვა ნიჭის მქონე ადამიანების გამგზავრების ხელშეწყობა, ბავშვების და ახალგაზრდების მხარდაჭერა (მერიის წარმომადგენელი).

შეკითხვას **- ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის, ოჯახის წევრისთვის ან თქვენი ნაცნობებისთვის უმაღლესი განათლება,** 59-მა რესპონდენტმა დადებითად უპასუხა (34,30%), 9-მ უარყოფითად (5,23%), დანარჩენმა 104-მა კი დააფიქსირა პასუხის მესამე ვერსია: „ნაწილობრივ“ (60, 46%).

კითხვაზე **- რას მიიჩნევთ პრობლემად უმაღლესი განათლების მისაღებად,** ასეთი პასუხებია წარმოდგენილი: არ არსებობს სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსები, რაც აფერხებს აბიტურიენტს მისთვის საუკეთესო პროფესიის არჩევაში - 33 (19,18%), რეგიონიდან სტუდენტისთვის ქალაქში ხელმიუწვდომელი უფასო საცხოვრებელი - 64 (37, 20%), სწავლების მაღალი საფასური - 68 (39,53%), სწავლების დაბალი ხარისხი - 5 (2, 90%).

ჩამოთვლილთაგან ჯანდაცვის კუთხით რომელი პრობლემაა უფრო აქტუალური და პრიორიტეტული თქვენს ოჯახში ან თემში, - ამ კითხვის საპასუხოდ მონაწილეებმა სამი სავარაუდო პასუხი შემოხაზეს და ასეთი სურათი მივიღეთ:

პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა - 21 (12,20%), მათ შორის: დევნილი - 11 (52, 23%), ადგილობრივი - 9 (42,85%).

სამედიცინო პერსონალის სიმცირე - 40 (23,25%), მათ შორის: დევნილი - 10 (25%), ადგილობრივი - 27 (67, 5%).

უხარისხო სამედიცინო მომსახურება - 56 (32,55%), მათ შორის: დევნილი - 13 (23,21%), ადგილობრივი - 29 (51,78%).

მაღალი ფასები მედიკამენტებზე - 133 (77,32%), მათ შორის: დევნილი - 48 (36,09%), ადგილობრივი - 78 (58,64%).

არაინფორმირებულობა ჯანდაცვის პროგრამებზე - 69 (40,11%), მათ შორის: დევნილი - 21 (30,43%), ადგილობრივი - 41 (59,42%).

უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა ადგილზე, სოფლებში - 71 (41,27%), მათ შორის: დევნილი - 24 (33,80%), ადგილობრივი - 45 (63,38%).

რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება - 33 (19,18%), მათ შორის: დევნილი - 8 (24, 24%), ადგილობრივი - 24 (72, 72%).

უფასო სამედიცინო სკრინინგ პროგრამები გოგონებისა და ქალებისათვის - 36 (20, 93%), მათ შორის:

დევნილი - 14 (38,88%), ადგილობრივი - 19 (52,77%)

იგპ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირე - 25 (14,53%), მათ შორის: დევნილი - 17 (68%), ადგილობრივი - 6 (24%).

ფოკუს-ჯგუფის დროს ქალებმა ისაუბრეს ჯანდაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე და მხარდაჭერაზეც მუნიციპალიტეტის მხრიდან. აღინიშნა, რომ აუცილებელია კოკის ამბულატორიის რეაბილიტაცია. სოფელში უნდა იყოს აფთიაქი და ყველაზე მოთხოვნადი წამლები. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა დააფიქსირეს, რომ თავად და მათ ახლობლებს დასჭირდათ მხარდაჭერა ჯანდაცვის სფეროში და მიიღეს კიდეც.



„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათია სახლების მშენებლობის პროგრამა. ეს არის გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან მდგრადი პროგრამა. პროგრამის სამიზნეები არიან მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირის ოჯახი, ანუ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები. ეს თავის დროზე იყო ერთჯერადი ფულადი დახმარების ჩანაცვლებით მიღებული პროგრამა. მეორე პროგრამაა ხანდაზმულთა შინ მოვლის პროგრამა. პროგრამა ეხმარება იმ ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახის წევრები და არ შეუძლიათ ჰიგიენის და ყოფითი პრობლემების გადაჭრა. ერთჯერადი ასლარიანი დახმარება ჩანაცვლდა სერვისით, რომელიც გაცილებით უფრო ძვირი ღირს. 100-ზე მეტი ბენეფიციარია. პერიოდულობით მათთან მიდის კვალიფიციური ჯგუფი. მულტიდისციპლინურ ჯგუფში არის ექიმი, რომელიც უწევს კონსულტაციას და დახმარებას. პროგრამაში ჩართულია როგორც ქალაქის, ისე თემის მოსახლეობა. შარშან დავიწყეთ ახალი პროგრამა - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა. 888 მაღალი რისკის მქონე ქალმა, რომელსაც არანაირი სპეციფიკური სიმპტომატიკა არ ჰქონდა, ჩაიტარა ხარისხიანი სამედიცინო სერვისი, მოხდა დიაგნოსტირება და ყველა შემთხვევაში პროგნოზი იყო კეთილსაიმედო. რეგიონის მონაპოვარია სკრინინგ ცენტრი, ჩეხეთის კარიტასის და მთავრობის სერიოზული ინვესტიცია“ (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

შემდეგი პასუხები დაფიქსირდა კითხვაზე - ჯანმრთელობის გაუარესების დროს, როგორ ახერხებთ პრობლემის გადაჭრას?

ა) თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა - 93 (34,06%), თქვენს მკურნალობას, ძირითადად, ფარავს კერძო დაზღვევა - 22 (12,79%), სამედიცინო მომსახურებას, ძირითადად, იღებთ საზღვარგარეთ - 1 (0,58%), მიმართავთ ექიმბაშს - 12 (6,97%), ეწევით თვითმკურნალობას - 43 (25%), მათ შორის: დევნილია 19 (44,18%) და ადგილობრივი - 20 (46, 51%).



უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე **- თქვენი მოსაზრებით, რამდენად აქტუალურია ოჯახური ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?**

აქტუალურია - 101 (58, 72%,) მათ შორის: დევნილი - 35 (34,65%), ადგილობრივი - 64 (63,36%), მათ შორის: მარტოხელა დედა - 7 (6,93%), სოციალურად დაუცველი - 23 (22,72%), მრავალშვილიანი დედა - 9 (8,91%), უმუშევარი - 38 (37,62%)

ძალიან აქტუალურია - 25 (14,53%), მათ შორის: დევნილი - 13 (52%), ადგილობრივი - 9 (36%), მარტოხელა დედა - 3 (12%), სოციალურად დაუცველი - 4 (16%), მრავალშვილიანი დედა - 3 (12%), უმუშევარი - 8 (32%)

პრობლემა არ არის აქტუალური 11 რესპონდენტისთვის (6,39%) და არ აქვს პასუხი 35-ს (20,34%).



შეკითხვაზე **- თქვენი დაკვირვებით, ჩამოთვლილთაგან, ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული თქვენს თემში?** პასუხები ასე განაწილდა:

ფიზიკური (ცემა, დამცირება ძალის გამოყენებით და ა.შ) - 41 (23,83%), ფსიქოლოგიური (დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, უგულებელყოფა და სხვა) - 88 (51,16%), ეკონომიკური (ფულადი სახსრებით მანიპულირება, ფინანსური დამოკიდებულება ოჯახის ერთ წევრზე, ფულის წართმევა, ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვა და ა.შ.) - 41 (23,83%), სექსუალური (გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება, ადევნება) - 2 (1,16%)

კითხვაზე **- გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ (ადგილმდებარეობა, ტელეფონი, რა კონკრეტულ მომსახურებას აწვდის)?** შემდეგი პასუხებია: დიახ - 73 (42,44%), არა - 57 (33,13%), მათ შორის: დევნილი - 17 (29,82%), ადგილობრივი - 38 (66,66%), ზოგიერთი მათგანი დააფიქსირა 42-მა (24,41%).

ამას მოსდევს ჩამონათვალი: სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებული კრიზისული ცენტრები - 22 (12,79%), სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები - 17 (9,88%), სახელმწიფო იურიდიული სამსახურები - 8 (4,65%), ცხელი ხაზი - 62 (36, 04%), არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი სერვისები - 29 (16,86%), მუნიციპალური სერვისები - 0, ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები - 18 (10%).

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ?



ამ კუთხით სრული ინფორმაცია იქნა მიღებული ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს, თუმცა ამ პროგრამების შესახებ ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის.

„მერიაში გვაქვს რიგი პროგრამები, რომლებიც წლების განმავლობაში ინერგებოდა, გამომდინარე იმ გამოწვევებიდან და რეალობიდან, რომლის წინაშეც დგას ჩვენი მოსახლეობა. ფუნქციონირებს ქალთა და ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო კრიზისული ცენტრი. უფრო მდგრადი აღმოჩნდა ის პროექტები, რომლებიც დავიწყეთ სამოქალაქო სექტორთან ერთად, ანუ როდესაც მულტისექტორული დაინტერესება გამოიკვეთა. თავშესაფრის მოსარგებლე ბენეფიციარების - ქალების და ბავშვების რაოდენობა იზრდება წლიდან წლამდე. ჩვენთან ფუქციონირებს უწყებათაშორისი კომისია (პოლიცია, პროკურატურა, ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი), რომელიც წლების განმავლობაში ახდენს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას“ (მერიის წარმომადგენელი).

„ჩვენ გვაქვს დღის ცენტრი და თავშესაფარი. რეგულაციების მოხსნისთანავე დაიწყო ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა. რეგულაციების დროს თითქოს შემცირდა ძალადობა. სინამდვილეში კი არ შემცირდა, უბრალოდ არ რეკავდნენ, შეიძლება ვერც რეკავდნენ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი ფლაგმანი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით - მაგალითად

მოგვყავს, როგორც სენსიტიური გენდერის და ძალადობის საკითხების მიმართ. პირველად ზუგდიდში დაინერგა პროგრამა - ერთჯერადი დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის. თუ ადრე იყო მუნიციპალური თანხა - 800 ლარი და აძლევდნენ მსხვერპლს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, ახლა ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: რამდენი შვილი ჰყავს, რა პირობებშია და ა.შ. პროგრამა მუშაობს და ეს კარგია. თავშესაფარი არის რეგიონალური და მთლიანად სამეგრელოდან მოდიან ბენეფიციარები. გადმოდიან აფხაზეთიდანაც“ (ადგილობრივი ექსპერტი ძალადობის საკითხებში).

შეკითხვას - **რა წყაროდან მიიღეთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ?** რესპონდენტებმა შემდეგი პასუხები გასცეს:

ტელევიზია, რადიო - 83 (48,25%), სოციალური ქსელი - 38 (22,09%), შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 46 (26,74%), შეხვედრები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 1 (0,57%), საინფორმაციო ფურცლები, განცხადებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - 3 (1,74%).



„მოსახლეობა ინფორმირებულია ადგილობრივი წარმომადგენლების, მაჟორიტარების მხრიდან. ჩვენ ყველა ინფორმაცია გამჭვირვალედ გვიდევს სოციალურ ქსელში“ (მერიის წარმომადგენელი).

„ძალადობის მსხვერპლი რეკავს 112-ში და პოლიციას გადმოჰყავს ჩვენთან. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პოლიციაში არ რეკავენ იმიტომ, რომ არ უნდათ, ქმარი დაიჭირონ და პირდაპირ მოდიან თავშესაფარში. დღის ცენტრში დადიან ქალები, რომლებსაც არ სჭირდებათ თავშესაფარი, მაგრამ სჭირდებათ გარკვეული სერვისები, ფსიქოთერაპიის კურსი, იურისტის, სოცმუშაკის დახმარება. პოლიციის ინფორმაცია უკვე იციან - ტელევიზიებიდან, ვიდეორგოლებიდან, მესიჯებიც მოდის. არის შემთხვევები, როცა პირდაპირ მიდიან მუნიციპალიტეტში, ან შემაკავებელი ორდერი აქვს და პოლიციელი ეუბნება, შეგიძლიათ მუნიციპალიტეტში გარკვეული სერვისი მიიღოთ. არის ინფორმაციის მიღება ნაცნობობით, ვიღაც იმის დაქალია, იმის მეზობელია და ა.შ.“ (ადგილობრივი ექსპერტი ძალადობის საკითხებში).

„მიყვარს აპელირება ერთი აღმოსავლური სიბრძნით „იცი - ნიშნავს, შეგიძლია“, ანუ ეს არის როგორც თვითმმართველობის, ასევე მოქალაქის სტრატეგია. ჩვენს ხელთ არსებულ ყველანაირ რესურსს ვიყენებთ. გვაქვს მოქალაქეებთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმატი - გარდა სტანდარტულისა, ის, რომ მოქალაქეს შეუძლია განცხადების შემოტანა, როგორც პირადად ასევე ელექტრონულად, არის ბეჭდვითი გამომცემლობა და პერიოდულად მიეწოდება მოსახლეობას გაზეთის სახით. აქტიურია სოციალური ქსელი, ცხელი ხაზი“ (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

შეკითხვაზე **- თქვენი მოსაზრებით, არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი ქალაქის (მუნიციპალიტეტის, სოფლის) მოსახლეობისთვის -** პასუხის სამი ვარიანტი გამოიკვეთა: ხელმისაწვდომია - 38 (22,09%), არასაკმარისად ხელმისაწვდომია - 108 (62,79%), საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი - 26 (15,11%).

არსებული სერვისები რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი ქალაქის (მუნიციპალიტეტის, სოფლის) მოსახლეობისთვის?



შეკითხვაზე **- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები საკმარისია?** პასუხების სხვადასხვა ვერსია დაფიქსირდაა: დიახ - 5 (2,90%), არა - 39 (22,67%), ნაწილობრივ - 66 (38,37%), არ ვფლობ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამების შესახებ - 31 (18,02%), აუცილებელია პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება - 31 (18,02%).

თვისებრივი კვლევის მასალებმაც საინტერესო მომენტები წარმოაჩინა:

„აქტიურად მოგვმართავენ ძალადობის მსხვერპლი ქალები. ზუგდიდი იყო ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი, რომელმაც დანერგა დახმარების პროგრამა. 100-დან 800 ლარამდე ეს არის ერთჯერადი, შეიძლება სიმბოლური მექანიზმი პირველადი საჭიროებისათვის. უფრო ეფექტიანი და გრძელვადიანია თავშესაფრები და ძალადობის მსხვერპლი ქალების ხელშემწყობი პროგრამები“ (მერიის წარმომადგენელი).

„ძალადობის კუთხით არის ბინის დაქირავების პროგრამა და ერთჯერადი დახმარება. ამით სარგებლობენ ჩვენი ბენეფიციარები. ბინის პროგრამა კარგია, მაგრამ მცირედია თანხა, 100 და 150 ლარად ზუგდიდში უკვე ვერაფერს ვერ იშოვი ისეთს, რომ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები გქონდეს, ბავშვებით რომ იცხოვრო“ (ადგილობრივი ექსპერტი ძალადობის საკითხებში).

„ჩვენ გვაქვს პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. ერთ-ერთმა აპლიკანტმა პროექტი დაწერა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, საბუღალტრო და სხვა მიმართულებით პროფესიის

დაუფლების და დასაქმების პერსპექტივით. პროგრამის 80%-ზე მეტმა ბენეფიციარმა დაიწყო მუშაობა. პროექტების დაფინანსების და კომისიური განხილვის დროს აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რომ თევზი კი არ მივცეთ, თევზის ჭერა ვასწავლოთ ჩვენს ბენეფიციარებს, რათა გაძლიერდნენ და შეძლონ დამოუკიდებლად ოჯახის რჩენა" (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები საკმარისია, გარკვეული წვლილი მიუძღვით არასამთავრობო ორგანიზაციებსაც - ტრენინგებით და პროექტებით. მეორე ნაწილის თქმით, პროგრამები არასაკმარისია.

ასეთია პასუხები შეკითხვაზე **- როგორია თქვენს ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია გარემოს დაცვის კუთხით, ხუთბალიანი სისტემის მიხედვით?**

ძალიან ცუდი -11 (6, 39%), ცუდი - 15 (8, 72%), ნორმალური - 123 (71,51%), კარგი - 21 (12,20%), ძალიან კარგი - 2 (1,16%).



ფოკუს-ჯგუფებში ქალებმა რამდენიმე პრობლემური საკითხი წამოსწიეს:

- **მაწანწალა ძაღლები ძალიან გვაწუხებს, სადარბაზოში ფეკალიებია, ანტისანიტარიაა.**
- **ცხოველთა თავშესაფარი არ არის, ჩვენ რამდენჯერმე დავუკავშირდით კონკრეტულ ადამიანებს, მაგრამ წაიყვანენ, აცრას გაუკეთებენ და უკან აბრუნებენ.**
- **ანტისანიტარიაა, წყლის პრობლემაა. საჭიროა სადეზინფექციო ხსნარებზე ხელწვდომა.**

შემდეგი პასუხები დაფიქსირდა შეკითხვაზე **- ჩამოთვლილთაგან, რომელია ეკოლოგიური პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს თემში:** დაბინძურებული ჰაერი - 50 (29,09%), სუფთა წყალთან არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა - 19 (11,04%), საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა - 43 (25%), სანიაღვრე მილების არარსებობა/გაუმართაობა - 60 (34,88%).

შეკითხვაზე **- მიგიმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად?** რესპონდენტებმა ასე უპასუხეს: დიახ - 76 (44,18%), არა - 63 (36,62%), არ მიმიმართავს, რადგან არ მჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება - 33 (19,18%).



ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს გამოვლინდა ორი პოზიცია.

„ვარ აქტიური. მაინც ვერანაირ პროექტში ვერ გავედი. ტრენინგებს გავივლი და ბოლოს მაინც არ არის ხელშეწყობა. სათბური მქონდა, მივმართე მერიას, ქარმა რომ გამინადგურა, სურათები დავურთე, არანაირი ყურადღება არ მომაქციეს. ნამცხვრებს ვაცხობ და მინდა, თავი ვირჩინო, მაინც არაფერი არ არის“ (ა.ბ., 40 წ., დევნილი, დაუსაქმებელი).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დააფიქსირეს პრობლემები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით მოგვარდა:

- მივმართე ინფრასტრუქტურული დახმარებისთვის და მყისიერი დადებითი პასუხი მივიღე.

- საახალწლოდ წყლის ტუმბო გაფუჭდა დასახლებაში და წყალი არ გვქონდა. მერიის ინიციატივით, სარეზერვო ფონდიდან ერთ დღეში შეიძინეს - დაუყოვნებელი რეაგირება იყო მათი მხრიდან.

- მივმართე ჯანდაცვის პროგრამას და დამიფინანსეს ძვირადღირებული მედიკამენტები.

- მეუღლის ოპერაცია დააფინანსეს 70%-ით.

- ინფრასტრუქტურული დახმარება დაგვჭირდა და რამდენჯერაც მივმართეთ, ყოველთვის დადებითი პასუხი მივიღეთ. ამ მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ.

- კოკის საჯარო სკოლას გაუკეთდა საპირფარეშოები, მოხდა გზების რეაბილიტაცია.

- შემოკავდა სოფლის სასაფლაოები.

- გამოვყოფ ჯანდაცვის პროგრამას. ჩემი ავადმყოფი და ჩართული იყო მომვლელის პროგრამაში. უსარგებლია მედიკამენტების პროგრამითაც.

აღინიშნა საპირისპირო მოსაზრებებიც:

- ყოველი წვიმის პერიოდში სანიაღვრეებზე წყალი არ გადის, მიმიმართავს წერილობითაც, ისედაც, მაგრამ დღემდე მოუგვარებელია. გვეუბნებიან, გაკეთდება, გაკეთდება და 5 წელიწადია, არ გაკეთდა. კი, რეაგირება იყო, შედეგი - არაფერი.

- ჩემს შვილს, როგორც კონფლიქტისპირა სოფლის სტუდენტს, დაფინანსება ჰქონდა მიღებული. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მას ორი წლის სწავლის თანხა აქვს გადასახდელი. მივმართე მერიას, გუბერნიას, მივწერე წერილი განათლების სამინისტროს, მაგრამ დღემდე არ არის პასუხი.

- ერთჯერად შემწეობაზე მაქვს განაცხადი შეტანილი, თუმცა არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტილება ამ ეტაპამდე არ მომსვლია.

- თუ შევაწუხებთ, გვპირდებიან, გაგიკეთებთ ყველაფერს, მაგრამ არავინ არაფერს არ გვიკეთებს.

შეკითხვაზე **- ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის სამოქალაქო ჩართულობის რა ფორმა გამოგიყენებიათ?** რესპონდენტებმა შემდეგი პასუხები დააფიქსირეს: დასახლების/სოფლის კრებები - 105 (61, 04%), საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 13 (7,55%), მერის, მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა - 8 (4,65%), პეტიცია - 3 (1,74%), მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო - 13 (7,55%), სამოქალაქო ბიუჯეტირება - 1 (0,58%), კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა (ელფოსტით მიმოწერა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებული წერილისთვის განკუთვნილი ფანჯარა) - 29 (16,86%).

ჩართულობის ფორმებზე გაამახვილეს ყურადღება ფოკუს-ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტებმაც.

„ვმონაწილეობდი სოფლის მხარდაჭრის პროგრამის შეხვედრაზე, სადაც განიხილებოდა შიდა გზების მოწესრიგება, შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი შენგელია და მისი წარმომადგენლები“.

„ვესწრებოდი სოფლის მხარდაჭერის შეხვედრას. გაკეთდა გზები, ბოგირები“.

„თვითმმართველობის კარები ღია არის მოქალაქეებისათვის. ჩვენთვის მისაღებია ყველანაირი ფორმა: შეხვედრები, პირდაპირი კომუნიკაცია თუ განცხადებები. ჩვენი პროგრამები ცნობილია ყველასთვის, მაგრამ გასვლით შეხვედრაზე გამოვლენილა თუნდაც რამდენიმე მოქალაქე, ვისაც არ ჰქონდა ინფორმაცია. ეს ბუნებრივი მოვლენაა და ამიტომ შეუძლებელია, იყო კმაყოფილი იმ ფორმატით, რაც გაქვს. კოვიდ-19 პანდემიას რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის და კერძო სექტორის შემოწირულობით 5000-მდე ოჯახს გადავეცით ჰუმანიტარული დახმარება. იყო ფსიქოლოგიური დახმარება. არ გაჩერებულა ცხელი ხაზი, 24-საათიან რეჟიმში გვირეკავდნენ მოქალაქეები. პროდუქტებთან ერთად ჩვენ მიგვქონდა სწორი ინფორმაცია. ისინი გრძნობდნენ, რომ თვითმმართველობა მათ გვერდით იყო. სოციალური დაცვის განყოფილებას 2020 წლის ბოლოს დაემატა გენდერული თანასწორობის ფუნქცია, განისაზღვრა გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. მიუხედავად პანდემიისა, განყოფილებამ სერიოზული კვლევა ჩაატარა სხვადასხვა მიმართულებით, მოხდა გენდერული ანალიზი. წელს ვფიქრობთ, განვავრცოთ ეს კვლევა, სხვა მიმართულებებიც მოვიცვათ. ერთ-ერთი მონაპოვარი არის ის, რომ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გადამზადდა ქალებისგან შემდგარი საკონტაქტო ჯგუფები, რომლებიც იქნებიან ჩვენი დესპანები, ანუ ვცდილობთ, მოვიპოვოთ ინფორმაცია აქტუალურ გენდერულ თემებზე, გამოწვევებზე და თვითმმართველობა შეეხიდოს მათ პრობლემების გადაჭრაში“ (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

„მოქალაქეები აქტიურად ესწრებიან სოფლის კრებებს და ადგილზე განიხილავენ რიგ პრობლემებს. მოქალაქეთა ჩართულობის ბევრი ფორმა არსებობს. არის კანონმდებლობით დადგენილი ფორმები, ამავდროულად საკრებულომ შეძლო, დაენერგა კარგი პროექტები. ესეც ჩართულობის ერთგვარი მექანიზმებია. სამოქალაქო ბიუჯეტი და მწვანე ბიუჯეტი, რაც გულისხმობს კონკრეტული საკითხების დაფიქსირებას, პროექტის შედგენას, არჩევნების ჩატარებას. ეს პროექტები არის დამხმარე მექანიზმები თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ინტერესების შეჯერება ან აზრთა სხვადასხვაობა არის ურთიერთობის კულტურა“ (მერიის წარმომადგენელი).

შეკითხვაზე **- რამდენად მორგებულია (ან ასახავენ) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს?** რამდენიმე პასუხია: ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებენ მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს - 36 (20,93%), პროგრამები არ ასახავენ ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს - 66 (38,37%), არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა - 70 (40, 69%).

თვისებრივ კვლევაში გამოიკვეთა ის, რაც აქამდე გაკეთდა და ისიც, რაც უნდა გაკეთდეს მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებებისთვის.

„უფრო შშმ პირებზე ვიტყოდი, მათ არ გააჩნიათ ტრანსპორტი, გადაადგილების საშუალება. მაგ., ეტლით მოსარგებლე ადამიანი ტაქსს გამოიძახებს, უარი უთქვამთ იმიტომ, რომ ცნობდნენ მის ნომერს და ეზარებოდათ ელემენტარული მოსახურება“ (ჟ.ჯ., 46 წ., დევნილი, დასაქმებული).

დაფიქსირდა სხვა მოწყვლადი ჯგუფებიც: მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მოხუცები, სოციალურად დაუცველები, ობლები, მარტოხელა დედები.

„მერიის ყველა პროგრამა მორგებულია ბენეფიციარებზე: სოციალურად დაუცველებზე, შრომისუუნაროებზე, მარტოხელა მოხუცებზე. ინფორმაციას გვაწვდიან სოფლის რწმუნებულები, მოგვმართავს მეზობელი ან ოჯახის წევრი, რომელსაც განაცხადი შემოაქვს. კომისია ადგილზე ეცნობა მდგომარეობას. ჩვენ ყოველწლიურად გვიწევს თანხების გაზრდა, რადგან მომართვიანობა იზრდება. პირობითად, თუ წინა წელს იყო 65, წელს გვყავს 70 დაფინანსებული ბავშვი და მომლოდინეში გვყავს 6. 120 მოქალაქემდე გვყავს ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩასმული. გვაქვს სახლების მშენებლობის პროგრამა. თუ მოქალაქეს აქვს მიწის ნაკვეთი, ვუშენებთ სახლს. ეს მდგრადი განსახლების პროგრამაა. სახლის მშენებლობა რამდენიმე ათასი ლარი ჯდება. ჩვენ წელიწადში ვაკმაყოფილებთ 20 სახლის მშენებლობას. ჩვენი მუნიციპალიტეტი გარკვეულ ჩარჩოებში ჯდება. უნდა მოვახდინოთ ამ თანხების მაქსიმალურად სწორად განაწილება. ჩვენ მოგვმართეს მშობლებმა, რომელთაც ჰყავთ შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვები. აგრეთვე ფუნქციონირებს შშმ პირთა საბჭო, სამოქალაქო საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო. ეს საბჭოები გვაძლევენ რეკომენდაციებს, რომელი მიმართულებით შეიძლება დაინერგოს ახალი პროგრამა“ (მერიის წარმომადგენელი).

„ვერ განსაზღვრავ, ვის ნაკლებად და ვის მეტად სჭირდება დახმარება. ეკონომიკურ გაძლიერებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები, დასაქმებაზე. სოფლის მეურნეობაზე მეტი ყურადღების მიქცევაა საჭირო, თუნდაც ტექნიკით აღჭურვა, ისეთი ტრაქტორებით, რომ შეეძლოთ მიწის დამუშავება და ხელმისაწვდომი იყოს. არის სხვა პრობლემებიც. ვთქვათ, მსხვერპლი უნდა გავიდეს თავშესაფრიდან, მივმართავთ იმ მუნიციპალიტეტს, სადაც არის მიწერილი (ზუგდიდი მარტო ზუგდიდის მიწერის მქონე ადამიანებს ეხმარება). როდესაც ვეკითხებით, რა გაქვთ აბა, რომ დაეხმაროთ, გვეუბნებიან: „ჩვენ არაფერი არ გვაქვს“. მომართვიანობა არ იყო და არ გაგვითვალისწინებიაო. როდესაც ვეუბნებით, როგორ მოგმართოს, როცა არ გაქვს. „როცა იქნება, მერე გავითვალისწინებთო“. მოქნილ ბიუჯეტს ვერ აკეთებენ, ან არ არიან სენსიტიურები თემის მიმართ“ (ადგილობრივი ექსპერტი ძალადობის საკითხებში).

„ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში. ეს ადამიანები ხშირად ყოველდღიური ქირის სანაცვლოდ მუშაობდნენ და ამ მწირი შემოსავლის გარეშე დარჩნენ. მათ კი ოჯახები ჰყავთ, ბავშვები, რომელთა ცხოვრებაზე

აისახება სოციალური პრობლემები. მოსახლეობის დასაქმება თუნდაც მცირე საწარმოებში და ოჯახური მეურნეობების ხელშეწყობა შეამცირებდა არსებულ პრობლემებს. საჭიროებების შესწავლა ხდება მოსახლეობის გამოკითხვის, მათი მონაცემების შესწავლის გზით. სკოლებშიც პერიოდულად ხდება მონაცემების მოძიება სპეციალური საჭიროების და შშმ მოსწავლეებზე. შინ სწავლებაზე გადაყვანას საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს. ხდება ინფორმაციის მოძიება სკოლებიდან, მაგ., ეტლით მოსარგებლე, სმენითი პრობლემების ბავშვებზე და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. მოსახლეობის საჭიროებები მეტნაკლებად შესწავლილია, უბრალოდ, ყველა პრობლემის აღმოფხვრა დაკავშირებულია ფინანსებთან" (ადგილობრივი ექსპერტი განათლების საკითხებში).

„შშმ პირები ყველაზე სერიოზული გამოწვევაა. 2024 წელს, როდესაც კანონი შევა ძალაში და ჩვენ მოგვეთხოვება სერვისის შეთავაზება, არ უნდა ვიყოთ ცარიელი ხელებით, გვქონდეს გამართული სისტემა. ყოველ წელს ჩვენ გვაქვს ჩვენი მთავარი მესიჯი. წელს არის - ხარისხი. ჩვენ გვაქვს ბევრი პროგრამა. მაგალითად, შინ მოვლის, მომვლელის პროგრამა მოიაზრებს დალოგინებული ან შშმ პირის, ეტლით მოსარგებლე ავადმყოფის მოვლის თანხის უზრუნველყოფას. ჩვენ გვინდა, რომ ამ მოქალაქეებს ხარისხიანი სერვისი მივაწოდოთ. ყველა პროგრამაში გვაქვს ბაზები. წლის განმავლობაში ხდება ამ ბაზების შინაარსობრივი ანალიზი. ჩვენ ყოველდღიურად გვაქვს ათობით ადამიანთან კომუნიკაცია. ვაფიქსირებთ იმ აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც ჯერჯერობით არ ასახულა ჩვენს პროგრამაში. შემდეგ, როდესაც საბიუჯეტო პროცესზე მიდის მუშაობა, ყველა კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით ვატარებთ შეხვედრას დაინტერესებულ მხარეებთან, დარგის ექსპერტებთან. ვეკითხებით საზოგადოების იმ სექტორს, რომელსაც აქვს მუშაობის გამოცდილება ამ კონკრეტულ პრობლემასთან თუ ჯგუფთან, ვიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას და პროგრამის თუ ქვეპროგრამის ინიცირებას ვახდენთ. ჩვენ ადრევე მივხვდით, რომ მხოლოდ ასე შენობაში, სტაციონალური კომუნიკაცია ვერ მოგვცემდა სრულყოფილ ინფორმაციას, ამიტომ გვქონდა სხვადასხვა ფორმატი შეხვედრების: ფოკუს-ჯგუფები, გასვლითი შეხვედრები, „ხიდებიც" აქტიურად დავიწყეთ, მაგრამ პანდემიამ ხელი შეგვიშალა. აქტიურად ვთანამშრომლობთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით. ერთობლივი ძალისხმევით მოხდა ის, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარება, რაც გვქონდა, შშმ პირებისთვის ჩავანაცვლეთ კომუნალურების თანაგადახდით. ანუ წლიდან წლამდე ჩვენ არ გვაქვს ხელუხლებელი პროგრამები, ყოველთვის ვცდილობთ, დავხვეწოთ, ახალი ინიციატივა შევიტანოთ, ამას ყველაფერს საფუძვლად უდევს ანალიზი, კვლევა და კომუნიკაცია საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან" (ადგილობრივი ექსპერტი სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებში).

შეკითხვაზე **- თქვენი დაკვირვებით ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი საფრთხე (ეკონომიკური, სასურსათო, საზოგადოებრივი, ჯანმრთელობის, პირადი, ეკოლოგიური) როგორ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე? (შემოხაზეთ 3 ყველაზე ძირითადი) -** შემდეგი პასუხებია: გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა - 110 (63,95%), თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები - 76 (44,18%), გამოკვეთილია უიმედობა, მომავლის შიში - 81 (47, 09%), იზრდება ფსიქოლოგიური პრობლემები - 59 (34,30%), იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები - 25 (14,53%), გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები - 47 (27, 32%), იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი - 72 (41, 86%), მაღალია დაუცველობის შეგრძნება - 39 (22,64%).



რეკომენდაციები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება წარიმართა კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით. ზუგდიდის ქალთა საინიციატივო ჯგუფის მუშაობის შედეგად დაგროვდა საკმაოდ დიდი და ანგარიშგასაწევი ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა სარეკომენდაციო წინადადებები ადგილობრივი სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებისთვის:

- არსებული მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ელექტრონულად და ბეჭდური სახით
- არსებული მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი, ეფექტიანობის შესწავლა, კორექტირება და ახალი პროგრამების შემუშავება
- თვითმმართველობის მხრიდან აქტიური და მუდმივი კომუნიკაცია მოსახლეობასთან სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესწავლის მიზნით
- მუნიციპალური პროგრამების შემუშავება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის
- საზოგადოების მეტი ჩართულობა ბიუჯეტის განხილვაში, ახალი პროგრამების შემუშავებაში
- განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები ქალების ინიციატივებისადმი

- სხვადასხვა შეთავაზების (კურსები, კონკურსები) შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის
- ქალების პროფესიული გადამზადება და ფინანსური მხარდაჭერა მცირე გრანტების სახით
- ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებების გატარება
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მხრიდან ქალებისთვის პრიორიტეტული საკითხების ადვოკატირება მუნიციპალურ და ცენტრალურ დონეზე
- ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო და ბიზნეს სექტორებთან მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისთვის
- ინფორმირებისთვის ელექტრონული რესურსების მეტად გამოყენება
- ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და სათანადო უნარ-ჩვევების სწავლება დაინტერესებული პირებისთვის
- დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფა შეღავათიანი ინტერნეტით
- სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება
- მოწყვლადი ოჯახების სტუდენტების განათლების სრული/ნაწილობრივი დაფინანსების ხელშეწყობა
- ოჯახური მეურნეობების განვითარების, საოჯახო სასტუმროების ხელშეწყობა
- ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ყველა სოფელში (ამბულატორიების რეაბილიტაცია, აფთიაქის გახსნა, ექიმთა ჯგუფების მობილიზება)
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრების გახსნა სოფლებში (სალონი, სამკერვალო, ფეხსაცმლის შეკეთება)

ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GREWS) მიხედვით წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

გურანდა გვანცელაძე

შესავალი

კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა (GREWS) გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლას და მოსალოდნელ რისკებზე ადრეული რეაგირების სისტემის შექმნას. აღნიშნული (GREWS) სისტემის დანერგვა გენდერზე ორიენტირებული მიდგომით მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობისა და კონფლიქტების განვითარების რისკს საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

ქვეყნის არამდგრადი პოლიტიკური გარემო, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, სამუშაო ადგილის და შემოსავლების დაკარგვის შიში, გარემოს დაბინძურება, ჯანმრთელობის დაცვის არასტაბილური გარანტიები, ძალადობის გაზრდილი მაჩვენებელი და სხვა სახის საფრთხეები ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, აფერხებს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად ზრდის ძალადობისა და კონფლიქტის განვითარების რისკს საზოგადოებაში. აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია ადრეული ჩარევა და რეაგირება.

გენდერზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS) მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადრეული რეაგირების, ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფლიქტის მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას გენდერული მიდგომით, რომლის შეფასებაც და ადრეული გაფრთხილების სისტემაში მოქცევა შექმნის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის განცდას საზოგადოებაში.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა **„ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასება კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მიხედვით“** ხელს შეუწყობს ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და შესაბამისი ადრეული რეაგირების (GREWS) მექანიზმის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

მოქალაქეთა საჭიროებების კვლევამ მოიცვა 18 წლიდან 65 წელს ზევით ასაკის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები, მათ შორის დევნილი, ადგილობრივი, სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები, შშმ პირები, ახალგაზრდები, პენსიონერები, სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები; ადგილობრივი

ექსპერტები თვითმმართველობის საკითხებში. რაოდენობრივ კვლევაში ჩართული იყო 157 ქალი. თვისებრივი კვლევისთვის ჩატარდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (1 კაცი და 3 ქალი) და 4 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია ადგილობრივ ქალებთან (სულ 30 ქალი).

რაოდენობრივ კვლევაში ჩართული მონაწილეები **ასაკის** მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: უმრავლესობას წარმოადგენენ საშუალო ასაკის პირები - 18-30 წელი – 29,30%, 31-45 – 36,30%, 46–65 - 28,66% და 65 წელს ზევით - 5,74%.

სოციალური სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა 21,01% არის დევნილი, 61,7% - ადგილობრივი, 15,28% - სოციალურად დაუცველი, 12,10% -მრავლშვილიანი დედა. გამოკითხულთაგან 6,38% მარტოხელა დედაა და მხოლოდ 0,63% არის შშმ პირი.

დიაგრამა №1



დასაქმების სტატუსის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა უმუშევარია 42,08%, ასევე დიდი წილი მოდის სახელმწიფოს მიერ დასაქმებულებზე, რომელთა მაჩვენებლი არის 21,65%, ბენეფიციართა 14,01% სტუდენტია, კერძო ბიზნესში დასაქმებულია 8,28%, კერძო/სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დაქირავებული - 4,45%, ხოლო 7,64% სასოფლო-სამეუნეო საქმით არის დაკავებული და 1,91% მოსწავლეა.

აღსანიშნავია ის, რომ **უმუშევართა შორის სურათი სოციალური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:** 37,11% ადგილობრივი, ხოლო 45,45 - დევნილი. რაც შეეხება მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს, მათ შორის ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: უმუშევარი მარტოხელა დედა - 50% და მრავალშვილიანი დედა - 47.36. **დიაგრამა №2**

კვლევის ძირითადი მიგნებები

1. ეკონომიკური უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტესობისთვის **ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს** წარმოადგენს საოჯახო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი - 38,4%, ასევე დიდი წილი სახელმწიფო ანაზღაურებაზე მყოფ ბენეფიციარებზე განაწილდა - 35,03%. შემოსავლის ძირითად წყაროდ 28,02%-მა პენსია დაასახელა. სახელმწიფო დახმარება გამოკითხულ სოციალურ ჯგუფებზე შემდეგნაირად განაწილდა: სოციალურად დაუცველი ოჯახის შემწეობა - 12,73%, დევნილის შემწეობა - 15, 92%. მცირე ბიზნესიდან მიღებული შემოსავლით ოჯახებს არჩენს 10,82%, მიგრანტებზე არის დამოკიდებული გამოკითხულთა 17,19% და ახლობლების დახმარებით საზრდოობა უწევს გამოკითხულთა 17, 83-ს.

საინტერესოა, როგორია **სახელმწიფო ანაზღაურების მაჩვენებელი დევნილ და ადგილობრივ თემზე,** რაზეც მონაცემთა ანალიზის შემდეგ ასეთი სურათი მივიღეთ: სახელმწიფო ანაზღაურებით სარგებლობს 27,27% დევნილი და 56,71% ადგილობრივი. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების შემოსავლის წყაროს, ძირითადად, წარმოადგენს პენსია, სახელმწიფო ანაზღაურება, საოჯახო მეურნეობა ფულადი გზავნილები. მრავალშვილიანი დედების 42,10%-ის შემოსავლის წყაროა პენსია, სახელმწიფო ანაზღაურებით და საოჯახო მეურნეობით სარგებლობს მრავალშვილიანი დედების ერთნაირი რაოდენობა - 36,85%. რაც შეეხება მარტოხელა დედებს, მათი 36,85%-ისთვის შემოსავლის წყარო არის პენსია, 40%-ის კი - ფულადი გზავნილები, სოციალურად დაუცველთა შემწეობით სარგებლობს 30%.

დიაგრამა №3



ეკონომიკური უსაფრთხოების ბლოკში მნიშვნელოვანი იყო იმ შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრა რაც არსებობს **ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის.** ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვნად დასაქმების ნაკლები პერსპექტივა დასახელდა, რაც 77,70%-ისთვის არის მნიშვნელოვანი. 61,78%-მა გამოყო დაბალი ფინანსური შემოსავალი, 49,68%-ისთვის კი შემაფერხებელი ფაქტორია ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე. შემდეგ მოდის იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში - 32,48%. ქალების 25,47% თვლის, რომ მაღალპროცენტიანი სესხები და კრედიტები აფერხებს მათ ეკონომიკურ განვითარებას. ნაკლებად მნიშვნელოვნად იქნა დასახელებული შემდეგი პუნქტები: ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო პროგრამების სიმცირე/არაეფექტურობა მცირე ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებისათვის - 19,10%, კოვიდ-19-ის შედეგად შეწყვეტილი ბიზნეს საქმიანობის აღდგენაში ხელშეწყობა - 10,82% და მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა დასაქმებული ქალებისთვის – 12,10%.

აღმოჩნდა, რომ დასაქმების ნაკლები პერსპექტივები მნიშვნელოვანია დევნილთა 75%-ისა და ადგილობრივთა 79%-ისთვის. რაც შეეხება დაბალ ფინანსურ შემოსავალს, მონაცემები შემდეგ-ნაირად დაფიქსირდა: დევნილი - 63,65% და ადგილობრივი - 61,85%. მონაცემებში გამოყოფილი იყო იძულებითი მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც მივიღეთ შემდეგი მაჩვენებელი: დევნილი - 42% და ადგილობრივი - 30%. არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინფლაცია და მაღალი ფასები საკვებ პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, სადაც პასუხები ასე განაწილდა: დევნილი - 48,50% და ადგილობრივი - 66%. გენდერული საჭიროებე-ბის გამოვლენისთვის საინტერესოა, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისთვის რამდენად **მნიშვნელოვანია მხარდაჭერის უფასო სერვისების არარსებობა.** მარტოხელა დედებისთვის ეს პრობლემა ნაკლებად სენსიტიური აღოჩნდა, ხოლო მრავალშვილიანი დედებიათვის კი მნიშვნე-ლოვან შემაფერხებელ ფაქტორად დასახელდა - 26.35%.

დიაგრამა №4



კითხვაზე, თუ რომელ **სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პროგრამებზე ფლობენ ინფორმაციას გამოკითხული ბენეფიციარები,** მივიღეთ შემდეგი სურათი: გამოკი-თხულთა 60,50% იცნობს პროგრამას „აწარმოე საქართველოში". საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებზე ინფორმაცია აქვს გამოკითხულთა 52,86%-ს, ხოლო დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამას იცნობს 34,39%. 32,48%-მა იცის სხვადასხვა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამაზე. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი", ამაზე ინფორმაცია აქვს 31,21%-ს, ხოლო გამო-კითხულთა 20,38% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას მსგავს პროგრამებზე. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ორ პრიორიტეტული მიმართულება: „აწარმოე სა-ქართველოში" და საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამე-ბი. დევნილი და ადგილობრივი საზოგადოების მაჩვენებელი ასე განაწილდა: ორივე მიმართუ-ლებას დევნილი თემის 57,60% იცნობს, ადგილობრივების 62,90%-მა იცის პროგრამა „აწარმოე საქართველოში" და 51,55%-მა - საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცი-ების პროგრამები.

დიაგრამა№5



ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია **საოჯახო მეურნეობის, მცირე მეწარმეობისა და თვითდასაქმებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა.** ამისთვის 64,33%-ის აზრით, აუცილებელია ხელმისაწვდომი კრედიტები, ხოლო 62,42% თვლის, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები. ამ ორ გამოკვეთილ საკითხში დევნილთა და ადგილობრივთა წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა. ხელმისაწვდომი კრედიტების არსებობა მნიშვნელოვანია დევნილთა 69,70%-ისა და ადგილობრივთა 62,90%-ისთვის, ხოლო მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებზე გაამახვილა ყურადღება ადგილობრივთა 65%-მა და დევნილთა 60,61%-მა. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 45,85% თვლის, რომ მნიშვნელოვანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამები, ხოლო 26,75%-ისთვის პრიორიტეტულია საგრანტო პროგრამები. დასახელდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები სოფლის მეურნეობის, სასათბურე და სხვა ტიპის საქმიანობის მხარდასაჭერად, რაც გამოკითხულთა 30,57%-ისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. მკაფიოდ გამოიკვეთა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა სახელმწიფო პროგრამებზე, რაც გამოკითხულთა 52,86%-მა დააფიქსირა. საკონსულტაციო სერვისებსა და დახმარებას ბიზნეს პროექტების წერაში მხოლოდ 12,10% გამოეხმაურა.

თვისებრივი კვლევის დროს გამოვლინდა **ქალთა ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები:** „აუცილებელია ქალების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა. სოფელში არიან ქალები, რომლებსაც აქვთ სურვილი, დაეუფლონ პროფესიას, ან აიმაღლონ არსებული ცოდნა. ამ კუთხით მათი დახმარება მნიშვნელოვანია“ (საბავშვო ბაღის თანამშრომელი, ადგილობრივი, 55 წლის).

„სურვილი მაქვს, რაიმე მცირე ბიზნესს მივყო ხელი, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ვაკეთებ, თუ იქნება ხელშეწყობა, ეს სტიმულს მოგვცემს, განვახორციელოთ რაიმე პროექტი“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 57 წლის).

„კარგი იქნება, თუ ვინმე რაიმე ღონისძიებებს განახორციელებს ჩვენს სოფელშ:, ცნობიერების ამაღლება ამ სფეროში, პროექტების დაწერაში ხელშეწყობა, უპროცენტო ან დაბალპროცენტიანი სესხებით უზრუნველყოფა, თანადაფინანსება და ა.შ.“ (უმუშევარი, ადგილობრივი, 30 წლის).

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ზემოთ აღნიშნულ პროგრამებზე მოსახლეობის 75,15% **ინფორმაციას იღებს** ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. ასევე პირველწყაროდ დასახელდა ონლაინ მედია-

საშუალებები, სოციალური ქსელები (59,87%) და ინფორმაციის მიღება მეზობლებისა და ნაცნობებისგან (35,03%). გამოკითხულთა 31,84% ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იღებს. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმართველობის ჩართულობას, 22,92% ასახელებს, რომ ინფორმაციას იღებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდის მეშვეობით, 11,46% ინფორმირებულია ადგილობრივი დეპუტატების დახმარებით და მხოლოდ 8,91% იღებს ინფორმაციას საინფორმაციო ფურცლებისა და საინფორმაციო დაფების მეშვეობით. დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თემებში მერის წარმომადგენლების მიერ ინფორმაციის გავრცელების კუთხით - 5,73%. რაც შეეხება ცენტრალურ ხელისუფლებას და სამინისტროს, მათი ვებგვერდიდან და ფეისბუქგვერდიდან ინფორმაციას იღებს გამოკითხულთა 14,01%.

საჭირო ინფორმაციის მიღებაში ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულთა 77,70% ასახელებს არასაკმარის კომუნიკაციას და მოსახლეობის ინფორმირებას სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან. ინტერნეტიზაციის პრობლემაც მნიშვნელოვნად სახელდება - გამოკითხულთა 10,82%-მა მიუთითა პრიორიტეტულად. მოსახლეობის დაბალი ინტერესი ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართულ სახელმწიფო და ადგილობრივ პროგრამებზე ხელის შემშლელ ფაქტორად დაასახელა 7,0%-მა.

დიაგრამა №6



პასუხები შეკითხვაზე: **სოციალური სტატუსის მიხედვით არასაკმარისი კომუნიკაცია და მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან,** ასე განისაზღვრა: დევნილი - 23,71%, ადგილობრივი - 81,44%. „არ ინტერესდება“ გამოკითხულ დევნილთა 6,06% და ადგილობრივთა 16,50%. ინტერნეტიზაციის პრობლემა აქვს ადგილობრივთა 9,29%-ს და დევნილთა 18,18%-ს.

როგორც თვისებრივი კვლევიდან გამოჩნდა, მონაწილეთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ადგილობრივ სერვისებზე. პერიოდულად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი იკვლევს მოსახლეობის საჭიროებებს, ადგილზე ხვდება მოსახლეობის დაინტერესებულ ჯგუფებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს სოფლის განვითარების პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებებს. თუმცა, ჯგუფის წევრების თქმით, პირადად მათ საკუთარი ინიციატივით არასდროს მოუძიებიათ სათანადო ინფორმაცია თვითმმართველობის პროგრამების გასაცნობად. გამოთქვეს მოსაზრება, რომ საუკეთესო გზას წარმოადგენს მეტი კომუნიკაცია და აქტიური თანამშრომლობა თემის წევრებსა და საჯარო მოხელეებს შორის.

„მოსახლეობას უნდა გააჩნდეს ყველა იმ პროგრამაზე ინფორმაცია, რომელიც გაწერილი აქვს მუნიციპალიტეტს თავის გეგმაში. განსაკუთებით ცუდი სიტუაციაა სამედიცინო მიმართულებით, არ ფინანსდება ძვირადღირებული გამოკვლევები, გაიცემა მხოლოდ ერთჯერადი დახმარებები“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 23 წლის).

„ახლახანს ფონდ „სოხუმთან“ ურთიერთობისას გავიგეთ, რომ მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული ჰქონია გარკვეული თანხა სკოლების რეაბილიტაციისთვის, მოვითხოვეთ და მოხდა სკოლის სახურავის გამოცვლა. ასე რომ ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 50 წლის).

„მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების შესახებ საერთოდ არ გვაქვს ინფორმაცია. არ ვიცით სოციალური, ინფრასტრუქტურის, განათლების და სხვა პროგრამების შესახებ. ერთადერთი, სოფლის პროგრამის დროს ვხვდებით თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ხშირად წინასწარ გათვლილი პროგრამებით მოდიან“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 57 წლის).

„ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, თუ როგორ ხდება საჭიროებების შესწავლა, ან ვინ მუშაობს ასეთ საკითხებზე, ალბათ რწმუნებული. მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ არის საკმარისი. იქნებ მუნიციპალიტეტს აქვს რაღაც ფორმა ამ მხრივ შემუშავებული, არც კი ვიცი“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 42 წლის)

„თუ როგორ ხდება ჩვენი საჭიროებების შესწავლა, ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს, ალბათ ასეთ საკითხებზე მუშაობს სოფლის რწმუნებული მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, რომლებსაც მოსახლეობა პრობლემების თაობაზე მიმართავს განცხადებით სხვადასხვა პრობლემის შესახებ - ეს არის ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასება, ჯანმრთელობის პრობლემები თუ სხვა საკითხები“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 42 წლის).

მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობაზე აქცენტს აკეთებენ ადგილობრივი ექსპერტებიც: **„მოქალაქემ უნდა იცოდეს, როგორი სოციალური დახმარებები აქვს სახელმწიფოსგან, მუნიციპალიტეტისგან. ინფრასტრუქტურის კუთხით თავის სოფელში რა პროექტები ტარდება. მაგალითად, სოფლის პროგრამები იწყება სოფლებში და სანამ სოფლის პროგრამა დაიწყებოდა, მანამდე ყველა სოფელში კრებები ჩატარდა. კრებებში მოსახლეობა იყო მოწვეული. თვითონ მოსახლეობამ არ იცის, იმ უბანში, სოფელში რა უნდა გაკეთებულიყო. აუცილებელია მოსახლეობის ჩართვა იმაში, რასაც სახელმწიფო და მუნიციპალიტეტი აკეთებს“ (საკრებულოს წარმომადგენელი).**

2. სასურსათო უსაფრთხოება

პრიორიტეტულ გენდერულ საკითხად დგას სასურსათო უსაფრთხოების თემა. კითხვაზე, **თქვენთვის ყველაზე მეტად რა ფაქტორი უქმნის საფრთხეს სასურსათო უსაფრთხოებას**, 92,99% პასუხობს, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალი ფასები პროდუქტებზე, ხოლო 73,88-ისთვის - ხარისხიანი პროდუქტების არარსებობა. სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობას 24,84% ასახელებს. ამ პასუხებში დევნილთა და ადგილობრივთა მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: პროდუქტებზე მაღალი ფასები მნიშვნელოვანი საფრთხეა 94,85% ადგილობრივებისთვის და 84,85% დევნილისთვის. ხოლო ხარისხიანი პროდუქტების არსებობა პრიორიტეტულია 60,60% დევნილისთვის, ნაკლები მაჩვენებელი დაფიქსირდა ადგილობრივ თემზე - 5.15%. თანაბარ მონაცემებია ორივე სოციალურ ჯგუფზე სიახლოვეს პროდუქტების მაღაზიის არარსებობის საკითხზე: ადგილობრივი - 24,75% და დევნილი - 24,25%.

3. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივ კვლევაში ჩართული ქალებიდან **საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ყველაზე აქტუალურად** სახელდება სამი საკითხი, რომლებზეც ასეთი პროცენტული მაჩვენებლებია: წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება - 44,58%, ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 41,40% და სოფლის შიდა გზების მოწესრიგება - 40,76%. ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით 28,02% მნიშვნელოვანია ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების, ტროტუარების მოწესრიგება. გამოკითხულთა თითქმის თანბარი რაოდენობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები: სანიაღვრე არხების გაკეთება - 24,84%, საკანალიზაციო სისტემის გამართვა - 24,20%, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში - 21,02%, სოფელში შემომავალი ცენტრალური გზის მოწესრიგება - 15,92% და გარე განათებების გამართვა - 14,01%. გამოკითხვაში დაფიქსირდა სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რაც მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 13,37%-ისთვის, ასევე გამოიკვეთა სკოლისგარეშე წრეების არსებობის მნიშვნელობა ბავშვებისთვის (20,38%). შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები (სკოლის და ბაღის შემდგომი) დასაქმებული დედებისთვის (5,09%) და საბავშვო ბაღები (2,54%).

დიაგრამა №7



ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებით გამოიკვეთა **ადგილობრივი თემის** მწვავე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, რაც თემში მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების მოუწესრიგებლობას ან სრულად მოუგვარებლობას უკავშირდება.

„ხელის შემშლელი ფაქტორია სათავესთან გაუმართავი წყალგაყვანილობა, არის საუბარი იმაზეც, რომ წყალი არის დაბინძურებული და სასმელად უვარგისი. ეს წყალი მაინც არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის, რადგან სოფელი არის მთაგორიანი. ასეთ ადგილებში გამოსავალი არის ჭაბურღილი, რომელიც ძვირი ჯდება“ (საბავშვო ბაღის თანამშრომელი, ადგილობრივი, 55 წლის).

დამსწრეთა უმრავლესობამ სკოლის ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ისაუბრა და გამოსავალს ახალი სკოლის მშენებლობაში ხედავს: **„ჩვენი სკოლა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ**

სწავლობენ მოსწავლეები აფხაზეთიდან, კერძოდ, სოფელ საბერიოდან, რომლებიც დღემდე ვერ ესწრებიან სასწავლო პროცესს. ამ ბავშვებს და მათ ოჯახებს ნამდვილად სჭირდებათ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან სათანადო თანაადგომა. გარემო, სადაც სასკოლო პროცესი იქნება მიმზიდველი მათთვის“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 37 წლის).

„იყო საუბარი, რომ საბაზო სკოლა გადაკეთდეს საშუალოდ, ანუ თორმეტი კლასი ადგილზე დაამთავრონ მოსწავლეებმა, არ მოუწიოთ სხვა სოფელში წასვლა. ბავშვებს უჭირთ ახალ გარემოსთან შეგუება. ხშირად მოსწავლეები ბულინგის მსხვერპლნი ხდებიან“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 42 წლის).

აქცენტი გაკეთდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემაზე: **„არ არის ტრანსპორტი, რაც აფერხებს მოსახლეობის გადაადგილებას, მუშაობენ კერძო მიკროავტობუსები. მათ საკმარისი რაოდენობის მგზავრი თუ არ ეყოლათ, შეიძლება არც გააკეთონ რეისი. ეს მიკროავტობუსები ადრე აკეთებდნენ ორ გზობას, მაგრამ პანდემიის შემდეგ, როდესაც აფხაზეთისკენ გზა ჩაიკეტა, მგზავრები შემცირდა და მძღოლები გადავიდნენ ერთ გზობაზე. რა თქმა უნდა, ეს სიტუაცია ჩვენზე ცუდად აისახა და გვიწევს ტაქსების გამოყენება. ბევრმა ქალმა, რომელსაც თავისი ოჯახის ნაწარმი გაჰქონდა ზუგდიდში, შეწყვიტა გატანა“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 57 წლის).**

როგორც რაოდენობრივი კვლევა **გვიჩვენებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი საფრთხეებია:** კრიმინალის ზრდა - 75,79% და ალკოჰოლიზმი/ნარკომანია – 46,49%. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვნად დაასახელა გამოკითხულთა 24,20%-მა. საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება საფრთხედ მიაჩნია გამოკითხულთა 22,29%-ს. გამოკითხულთა 17,19% საფრთხედ აფიქსირებს დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალ დონეს, ხოლო გაუმართავი საგზაო მოძრაობა საფრთხეა 16,56%-ისთვის. 12,10% საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვნად ასახელებს უმცირესობების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალ ხარისხს. პასუხებში ყველაზე მეტად დაფიქსირდა - კრიმინალი და ალკოჰოლიზმი. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა, თუ როგორ განაწილდა ეს მაჩვენებელი დევნილ და ადგილობრივ რესპონდენტებს შორის. ანალიზის შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: კრიმინალის ზრდა საფრთხედ მიაჩნია გამოკითხული ადგილობრივების 71.13%-ს და დევნილთა 60,60%-ს. ხოლო ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას ასახელებს ადგილობრივების 49,50% და დევნილთა 42,43%.

დიაგრამა №8



რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა განათლებაზე წვდომის ხარისხი. კითხვაზე, **აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა,** გამოკითხულთა 58,59%-მა უპასუხა - ნაწილობრივ. აქედან 58,76% არის ადგილობრივი, 51,52% - დევნილი, 54,16% - სოციალურად დაუცველი, 47,37% - მრავალშვილიანი და 30% მარტოხელა. ხარისხიანი საშუალო განათლება არ არის ხელმისაწვდომი 10,20%, რომელთაგან სოციალურ-დემოგრაფიული სტატუსის მიხედვით შემდეგი სურათი იკვეთება: ადგილობრივი - 5.15%, დევნილი - 21,21%, სოციალურად დაუცველი - 20,83%, მარტოხელა - 30% და მხოლოდ 5,26% მრავალშვილიანი. გამოკითხულთა 31,21% ასახელებს, რომ მათ შვილებს, შვილიშვილებს და ნაცნობებს აქვთ წვდომა ხარისხიან საშუალო განათლებაზე.

რაოდენობრივი კვლევით საშუალება გვქონდა, გაგვეგო მიზეზები: გამოკითხულთა 29,29% ასახელებს სწავლების დაბალ ხარისხს, 12,10% - პროფესიონალი პედაგოგების არასაკმარის რაოდენობას, 36,30%-ისთვის პრიორიტეტი არის გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა, 4,45% მიზეზად თვლის იმას, რომ სკოლა არის სახლიდან შორს. სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა პრობლემად მიაჩნია გამოკითხულთა 47,13%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის ინტერნეტი დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად - 36,30%-ს.

უმაღლესი განათლების მიღების კუთხით გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა, რომ გამოკითხულთა 48,40%-ის ოჯახის წევრებისა და ნაცნობებისთვის უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია. ამას არ ეთანხმება მხოლოდ 9,55%, 42,03% თვლის, რომ ამის საშუალება ნაწილობრივ არსებობს. უმაღლესი განათლების მისაღებად შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: არ არსებობს სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსები - 23,56%, რეგიონიდან სტუდენტისთვის ქალაქში ხელმიუწვდომელი უფასო საცხოვრებელი - 34,39%, სწავლების მაღალი საფასური - 38,85% და სწავლების დაბალი ხარისხი - 2,54%.

თვისებრივ კვლევაში ინტერნეტიზაციის პრობლემა მონაწილეების მხრიდანაც იქნა წამოწეული. ეს ხელის შემშლელ ფაქტორად გამოიკვეთა როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლების მიღების დროს: **„ინტერნეტის გაუმართაობამ შეაფერხა მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართვა ონლაინ გაკვეთილებში. ვსარგებლობთ სილქნეტის ინტერნეტით, მაგრამ არ არის გამართული და დამატებით გვიწევს ინტერნეტ პაკეტების შეძენა. მივმართეთ კომპანია მაგთის, მაგრამ ამაოდ. სოფლის დეპუტატმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ტენდერი გამოცხადდა, გამარჯვებული არის სილქნეტი და პრობლემა მოგვარებულიაო, მორიგი იმედგაცრუება ვიგემეთ“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 40 წლის).**

4. ჯანმრთელობის უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევა შეეხო **ჯანდაცვის კუთხით არსებულ პრობლემებს.** გამოკითხულ ქალებს საშუალება ჰქონდათ, გამოეკვეთათ ოჯახებში და თემში არსებული პრიორიტეტული და აქტუალური საკითხები. პირველადი ამბულატორიული სამედიცინო პუნქტის არარსებობა პრობლემას 24,84%-ისთვის წარმოადგენს, ხოლო სამედიცინო პერსონალის სიმცირე 44,03%-ისთვის. უხარისხო სამედიცინო მომსახურების პრობლემას ასახელებს 25,47%. საკმაოდ დიდმა ნაწილმა - 88,53%-მა პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ფასები დაასახელა, ხოლო 45,22%-ისთვის პრობლემაა უფასო სამედიცინო კვლევების არარსებობა ადგილზე, სოფლებში. ინფორმირებულობის დაბალი დონე გამოკითხულთა 29,93%-მა მიუთითა. აქვე დასახელდა რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე დაბალი ცნობიერება - 5,73%. 25,47% გამოკითხულისთვის პრობლემაა უფასო სამედიცინო სკრინინგ პროგრამები გოგონებისა და ქალებისათვის. იგპ და კონფლიქტით და-

ზარალებული ქალებისთვის მიზნობრივი ჯანდაცვის პროგრამების სიმცირე მხოლოდ 7,64%-მა აღნიშნა.

დიაგრამა №9



ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემების ფონზე კვლევისთვის საინტერესო იყო ის მაჩვენებლები, თუ ჯანმრთელობის გაუარესების დროს, როგორ ახერხენ პრობლემის გადაჭრას რაოდენობრივი კვლევის მონაწილე ქალები. აღმოჩნდა, რომ 31,84%-ის მკურნალობას, ძირითადად, ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, 10,19% მკურნალობას კი - კერძო დაზღვევა, 15,92% მიმართავს ექიმბაშს, 38,21% კი ეწევა თვითმკურნალობას.

დიაგრამა№10



ჯანდაცვის პრობლემები აქტუალურად ჩათვალეს თვისებრივი კვლევის მონაწილეებმაც:

„გამოვყოფდი ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვებს, მათ სჭირდებათ განსაკუთრებული ყურადღება, ხშირად ისინი ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო დაკვირვებას უსახსრობის გამო. აუცილებელია ასეთი ბავშვების საჭიროებების შესწავლა“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 58 წლის).

„ყურადღება უნდა მიექცეს ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს, მარტოხელა მოხუცებს, მარტოხელა დედებს. დახმარება, რასაც ისინი იღებენ, მიზერულია და არ შეესაბამება მათ საჭიროებებს“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 36 წლის).

„სოფელში არა გვაქვს ამბულატორია, რაც დამატებით პრობლემას ქმნის“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 60 წლის).

5. პირადი უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი სენსიტიური საკითხი, როგორიცაა **ოჯახში ძალადობის პრობლემა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება ამ საკითხთან დაკავშირებით.** კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის პრობლემას აქტუალურად თვლის 28,66%, ძალიან აქტუალურად - 1,91%, პასუხი არ აქვს 25,47%-ს, ხოლო გამოკითხულთა 43,96%-ისთვის პრობლემა არ არის აქტუალური. **დიაგრამა№11**



მონაწილეთა 61,15% **ყველაზე გავრცელებულ ძალადობის ფორმად** ფსიქოლოგიურ ძალადობას ასახელებს, 29,30% - ეკონომიკურ ძალადობას, 9,55% - ფიზიკურს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციას ფლობს 33,75%, არაფერი იცის 23,57%-მა, ხოლო 44,69%-ს ზოგიერთ სერვისზე აქვს ინფორმაცია.

დიაგრამა №12



ჩამოთვლილი სერვისებიდან ცხელ ხაზსა და მუნიციპალურ სერვისებზე ინფორმაცია მონაწილეებს საერთოდ არ აქვთ. ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათი სერვისებზე (24,16%), ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებზე (12,50%). მონაწილეებს აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებულ თავშესაფრებზე (7,5%), სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებულ კრიზისულ ცენტრებზე (4,16%) და სახელმწიფო იურიდიულ სამსახურებზე (3,33%).

გამოიკვეთა, რომ **ბენეფიციარებმა ძალადობის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდან** მიიღეს: 36,30% - ტელევიზია და რადიო, 35,66% - სოციალური ქსელი, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 19,10%, შეხვედრები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 0,63% და 6,36% საინფორმაციო ფურცლები, განცხადებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

დიაგრამა№ 13



თუ რამდენად ხელმისაწვდომია არსებული სერვისები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, 60,50% თვლის, რომ არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი. 26,11% აზრით, ეს სერვისები ხელმისაწვდომია, ხოლო 13,39% აცხადებს, რომ საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი.

დიაგრამა№14



რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების 26,75%-ს მიაჩნია, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე რეაგირებისთვის დანერგილი პროგრამები** ნაწილობრივ საკამრისია, 14,64% თვლის, რომ არ არის საკმარისი, ხოლო 9,55%-ის აზრით, საკმარისია. 24,84% არ ფლობს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამების შესახებ, 24,22% თვლის, რომ აუცილებელია პროგრამების გამრავალფეროვნება და ძალადობის მსხვერპლის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგება.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები შეეხო ოჯახში ძალადობას და ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს. ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების შეფასებისას ითქვა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზი, ერთი მხრივ, საზოგადოებაში დამკვიდრებული მენტალიტეტია. ასევე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი მხარდაჭერა და თანადგომა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ურთიერთდახმარების დამკვიდრებისთვის. აღინიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის უამრავი შემთხვევა რჩება რეაგირების გარეშე, ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადოება შეჩვეულია ძალადობის ფაქტების იგნორირებას. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი კი გაურკვეველია:

„ვიცით მარტო, 112-ზე რომ უნდა დავრეკოთ. თურმე არსებობს მსხვერპლის დახმარების სხვადასხვა სერვისი, რომლებზეც მხოლოდ თქვენთან შეხვედრებზე ვგებულობთ. უნდა იყოს შესაბამისი სამსახური, რომელიც თემში იმუშავებს ამ მიმართულებით“ (დიასახლისი, ადგილობრივი 40 წლის).

„ზოგადად ძალადობის თემა დახურული საკითხია სოფელში, არ არის მიმართვიანობა გარკვეული მიზეზების გამო, ნაკლებად ვართ ინფორმირებულები ძალადობის რეაგირებისთვის დანერგილ პროგრამებზე. საჭიროა ასეთი პროგრამების განმრავალფეროვნება, რათა ამაღლდეს ხალხში ამ თემასთან დაკავშირებით ცნობიერება“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 50 წლის).

თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის პრევენციას. ეს გამოიკვეთა ადგილობრივი ექსპერტების ინდივიდუალურ ინტერვიუებში:

„ჩვენ მეორე წელია, სოციალურ პროგრამაში გვაქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამა. ერთჯერადად ვაძლევთ 200 ლარს, ვინც მოგვმართავს რომ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. შარშან, 2020 წელს მოგვმართა სამმა მოქალაქემ, რომელთაც ფულადი დახმარება გავუწიეთ 200 ლარის ოდენობით. ჯერ არავის მოუმართავს, შეიძლება მენტალური ამბავიც არის, იყოს ოჯახში ძალადობა და გარეთ გამოტანის პრობლემა იყოს. ვისაც კი მოუმართავს, ჩვენ დავხმარებივართ“ (საკრებულოს წარმომადგენელი).

„ძალადობის პრობლემაზე მიმართვიანობა ნაკლებია ჩვენს მუნიციპალიტეტში, ჯერ კიდევ არსებობს სტიგმა. შარშან სულ გვქონდა სამი შემთხვევა, წელს საერთოდ არ გვაქვს. მიზეზი არის ცნობიერების არასაკმარისი დონე, შიშის გრძნობა, რა რეაგირება შეიძლება მოჰყვეს ამას, თუ ისინი მიმართავენ ფაქტზე“ (საკრებულოს წარმომადგენელი).

6. ეკოლოგიური უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს, როგორია მათ ქალაქში/სოფელში არსებული სანიტარული სიტუაცია და სიტუაცია გარემოს დაცვის კუთხით. შედეგად მივიღეთ შემდეგი მაჩვენებელი: 13,37% თვლის, რომ ამ კუთხით ძალიან ცუდი სიტუაციაა, 21,01% აზრით - ცუდი,

სიტუაციას ნორმალურად აფასებს გამოკითხულთა 56,05%, კარგად შეაფასა მხოლოდ 8,91%-მა და ძალიან კარგად- 0,66%-მა.

დიაგრამა №15



თემში მწვავე პრობლემებად დასახელდა: დაბინძურებული ჰაერი - 28,66%, სუფთა წყლის არაჯეროვანი ხელმისაწვდომობა - 32,48%, საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა - 15,94%, სანიაღვრე მილების არარსებობა- 36% ან გაუმართაობა - 22,92%.

ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით თვისებრივი კვლევის დროს დაფიქსირდა ნაგვის ურნების არარსებობით გამოწვეული პრობლემები. **„ნაგავი იყრება ქუჩაში, მდინარის სანაპიროზე, რაც აბინძურებს მდინარეს და გარემოს. აფხაზეთის გამყოფ ზოლთან ახლოს არის ერთი ურნა და მხოლოდ ერთი ურნისთვის მოდის მანქანა, არადა სკოლასთან, ბაღთან, ცენტრში მაღაზიებთან ნამდვილად საჭიროა ურნა“ (დიასახლისი, ადგილობრივი, 42 წლის).**

„პრობლემაა სანიაღვრეების არარსებობა. სკოლამდე მისასვლელი გზა მცირეოდენი წვიმის შემთხვევაშიც კი იტბორება და ბავშვებს უჭირთ გადაადგილება. პრობლემის მოსაგვარებლად მივმართეთ სოფლის გამგეობას, როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად, მაგრამ მაინც ვერ გადაწყდა. გადამისამართება გაგვიკეთეს საგზაო დეპარტამენტთან“ (პედაგოგი, ადგილობრივი, 42 წლის).

7. ზოგადი კითხვები

რაოდენობრივი კვლევის დროს გამოკითხულებს საშუალება მიეცათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება იმის შესახებ, **მიუმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ან სხვა სახელმწიფო რგოლისთვის რაიმე პირადი, სამსახურებრივი, საზოგადოებრივი საკითხის გადასაჭრელად.** პასუხი „დიახ“ გასცა 31,84%-მა, „არა“ - 34,39%-მა, ხოლო 33,79%-ს არ მიმუმართავს, რადგან არ ჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

დიაგრამა№16



ისინი, ვინც გამოიყენა ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსი კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად. **ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის სამოქალაქო ჩართულობის შემდეგ ფორმებს იყენებენ:** დასახლების/სოფლის კრებები - 49,68%, საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 5,73%, მერის, მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა - 6,36%, პეტიცია - 2,54%, მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო - 3,82, კომუნიკაციის ელექტრონული ფორმა - 31,85%. შეფასდა, **რამდენად მორგებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურებები და პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებებს.** გამოკითხულთა 14,64% თვლის, რომ ადგილობრივი პროგრამები ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს, ხოლო 35,70%-ის აზრით, პროგრამები არ ასახავს ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. 48,68% აზრით, არ არის დანერგილი მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების და პროგრამებით მათი კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა.

მოქალაქეები თვლიან, რომ არასათანადოდ არის პროგრამებში მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები ასახული და პროგრამებზეც ინფორმირების დაბალი დონეა, მაგრამ ინდივიდუალურ ინტერვიუებში შემდეგი კომენტარები დაფიქსირდა: **„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია ხალხის საჭიროებები, ახლაც მიმდინარეობას მუშაობა იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს შეტანილი ამ მხრივ მომავალი წლის ბიუჯეტში.მოსახლეობის საჭიროებების შესასწავლად მუნიციპალიტეტი ატარებს კვლევებს, ხდება შემოსული განცხადებების განხილვა“ (საკრებულოს წარმომადგენელი).**

„მუნიციპალიტეტში არსებულ პროგრამებზე ინფორმაცია განთავსებულია მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე. მოსახლეობის ინფორმირება ხდება მერიის სოციალური სამსახურისა და ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელების მიერ“ (მერიის წარმომადგენელი).

აქვე გაკეთდა კომენტარები, თუ რა პროგრამები საჭიროებს დახვეწას:

„ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მოწყვლად ჯგუფებს სჭირდებათ დახმარება, როგორიცაა მარტოხელა მოხუცები, რომლებსაც პენსია წინასწარ აქვთ აღებული და, ფაქტობრივად, უსახსროდ არიან დარჩენილები. ასევეა ახალგაზრდა ოჯახები, რომლებიც ზრდიან შვილებს, არიან უმუშევრები და არ იციან, როგორ გაუმკლავდნენ პრობლემებს. არცერთ პროგრამაში არ არიან ჩართულები, სამწუხაროდ. ასეთი ოჯახების კვლევა უნდა მოხდეს და გაეწიოთ რაიმე სახის დახმარება. ასეთ სიტუაციაში ძალადობის ფაქტებიც ხშირია - ეკონომიკური პრობლემა განაპირობებს ხშირად ძალადობას“ (საკრებულოს წარმომადგენელი).

„ადგილობრივი პროგრამებით დახმარება ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ ოჯახებს, შშმ პირებს, დედ-მამით ობოლ და მარტოხელა დედებს და მოხუცებს სჭირდებათ. ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში დავნერგავდი უსახლკაროთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროგრამას, განსაკუთრებით საშიში დაავადებების გამოკვლევისა და მკურნალობის პროგრამას“ (მერიის წარმომადგენელი).

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმა დააფიქსირეს თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ **როგორ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე ადამიანური უსაფრთხოების კუთხით გაზრდილი საფრთხე.** გამოკითხულთა 64,96%-მა დააფიქსირა, რომ გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა, 47,13-ის აზრით, თავს იჩენს ჯანმრეთლობასთან დაკავშირებული პრობლემები, 47,13% თვლის, რომ გამოკვეთილია უიმედობა, მომავლის შიში, 36,94% აფიქსირებს, რომ იზრდება ფსიქოლოგიური პრობლემი. სხვა მონაცემები ასეთია: იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები - 12,73%, გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები - 20,38%, იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი - 47,77%, მაღალია დაუცველობის შეგრძნება - 22,92%.

დიაგრამა№17



დასკვნა და რეკომენდაციები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასების დროს გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით კი პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროების ასახვას ადგილობრივ ბიუჯეტში და მათ ყოველდღიურობაში არსებული პრობლემების გადაჭრას.

- მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან დაინერგოს ინფორმაციის ფართოდ გავრცელების პრაქტიკა ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული ყველა პროგრამისა და მუნიციპალური სერვისის შესახებ, რისთვისაც მართებულია თვითმმართველობის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენება (ფეისბუქი, ვებგვერდი, მასმედიის საშუალებები, მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრები);
- ადგილობრივი პროგრამების შემუშავებისას და მომსახურების დაგეგმვისას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტული საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრის სისტემის დანერგვა;
- აუცილებელია, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ დაგეგმილი საკრებულოს სხდომების, საჯარო მოსმენების, სოფლის კრებების და სხვა შეხვედრების დეტალებზე და განსახილველ საკითხებზე - მედიასაშუალებებით, სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე ინფორმაციის გავრცელების გზით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდას;
- ადგილობრივ დონეზე პროგრამის შემუშავება მცირე და საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის, რაც ქალებს ეკონომიკურ სტაბილურობას მოუტანს;
- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საკუთარი საქმის დაწყების მსურველი ქალების კონსულტაციისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა - ამ პროფილით მომუშავე არასამთავრობო სექტორის დახმარებით და ჩართულობით;
- ჯანდაცვის კუთხით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვლილი პროგრამების გადახედვა და მოწყვლადი ჯგუფების უზრუნველყოფა/მხარდაჭერა ხელმისაწვდომი დიაგნოსტიკით და მკურნალობით;
- სწავლის გადასახადის შეღვათიანი სისტემის შექმნა სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის;
- ინტერნეტიზაციის პრობლემის წამოწევა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე და ამ პრობლემის გადაჭრით სრულფასოვანი განათლების მიღების ხელშეწყობა.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

საჭიროებათა შეფასების საბოლოო შემაჯამებელ ანგარიშზე მუშაობდა - ეკატერინე გამახარია

მუნიციპალიტეტების მონაცემების შეჯამებაზე მუშაობდნენ:

ხათუნა გოგუა, ლარისა შენგელია, გურანდა გვანცელაძე და ლალი შენგელია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: fundsukhumitbilisi@gmail.com

womansukhumi@gmail.com;

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/